ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 14 დეკემბერი 1999 №239 (1012) | ფასი 50 თეთრი

## კობა გოგოლაძემ ქამარი შემოირტყა

### პირველი პროფესიული ტიტული ქართულ კრივში



კობა გოგოლაძე პირველი ქართველი მოკრივეა, რომელმაც პროფესიონალებში ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ეს ამბავი პარასკევს, გვიან ღამით კვიპროსის დედაქალაქ ნიქოზიაში მოხდა. გოგოლაძე და ბენილუქსის ჩემპიონი პასკალ მონტელიე ათრაუნდიან მატჩში ინტერკონტინენტალის საჩემპიონო ქამარს ეცილებოდნენ ერთმანეთს. კობასთვის ეს მეხუთე პროფესიული ბრძოლა იყო, ბელგიელისთვის კი 39-ე, რომელთაგან 30 მოეგო. მეტოქის გამოცდილების მიუხედავად, კობამ მონტელიეს მეორე რაუნდში ნოკდაუნი აწვნია, როგორც მერე გაირკვა, მარჯვენა ხელიც დაშავებია, ასე ცალხელას კიდევ რვა რაუნდი უჩხუბია და მსაჯთა გადაწყვეტილებით გამარჯვებაც მას დარჩენია.

## რას გვარგებს ორი მღვრთნელი?

### საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია იმ მექანიზმის ამუშავებას აპირებს, რომელსაც არსად უმუშავია

## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით ოლიმპიური ჩემპიონები ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია, ნანა იოსელიანი და ნინო გურიელი პრესკონფერენციას გამართავენ შაბათს, 14 დეკემბერს, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ოფისში.

დასაწყისი 15 საათზე

*საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია*




REUTERS ფოტოქრონიკა

ჰოლანდიის ნაკრების თავკაცის თანაშემწე იოჰან ნეესკენსი (შუაში), ბელგიელი პოლ ვან ჰიმსტი (მარცხნივ) და უეფას აღმასრულებელი მდივანი გერჰარდ აიგნერი

## ნაცნობები

UEFA EURO 2000

2000 წლის 10 ივნისს, ბრიუსელის „მეფე ბოდუინის" სტადიონზე, ბელგიისა და შვედეთის ნაკრებთა შეხვედრით ევროპის მეთერთმეტე ჩემპიონატი დაიწყება. ამრიგად, ცნობილია ზუსტი კალენდარი, რაც თავის მხრივ, კვირას გამართულმა კენჭისყრამ გახადა შესაძლებელი.

კენჭისყრა ერთობ სასეირო გამოდგა, ვინაიდან მან ხუთი დღის წინ, ტოკიოში ჩატარებული მსოფლიოს 2002 წლის პირველობის შესარჩევი ეტაპის წილისყრის ოთხი შედეგი გაიმეორა. კერძოდ, ისევე, როგორც მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის შესარჩევში, ევრო 2000-ზეც ერთ ჯგუფში მოხვდნენ დანია და ჩეხეთი, იუგოსლავია და სლოვენია, შვედეთი და თურქეთი და, რაც მთავარია, ყველაზე გახმაურებული, 2006 წლის მსოფლიოს პირველობის მასპინძლობის მოცილე ქვეყნები, ინგლისი და გერმანია.

გამეორდა საკუთრივ ევრო 2000-ის შესარჩევის ორი წყვილიც: ნორვეგია-სლოვენია და პორტუგალია-რუმინეთი.

იხილეთ მერვე-მეცხრე გვერდები





ოთარ კორღალიძე

# დინამო: ასე იყო, ასე არის...

პირველი ეროვნული ჩემპიონატიდან მოყოლებული, ასე იყო და წლეულს ვითომ რატომ უნდა მოხდეს სხვანაირად? ჩვენი უცვლელი ჩემპიონი თბილისის „დინამო" ამჯერადაც განახლებული შემადგენლობით შეხვდება გაზაფხულს, ჩემპიონატის მეორე ეტაპს, მწვრთნელ ოთარ კორღალიძესაც თითქმის ახალი გუნდის გაკეთება მოუწევს.

მართალია, ჯერჯერობით საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის ყველა იმ ფეხბურთელის ვინაობა, რომლებიც „დინამოდან" წასვლას აპირებს, არც ის, გუნდს ვინ შეემატება, მაგრამ ცვლილება რომ მრავლად იქნება, ამას წყალი არ გაუვა.

დღესდღეობით ერთია გარკვეული — „დინამოში" აღარ ითამაშებს ჩემპიონატის ბომბარდირი მიხეილ აშვეთია, იგი კლუბმა ზაფხულამდე ვლადიკავკაზის „ალანიაში" გაანათხოვრა და „დინამოს" მაშინ დაუბრუნდება, როცა ევროტურნირების დრო დადგება. ასეთი ყოფილა ვლადიკავკაზელებთან შეთანხმება.

მის გარდა „დინამოს" ალბათ, ტყუპები — სოსო და ვასო გოგიაძეები დატოვებენ. სავარაუდოდ, ისინი სამტრედიაში დაბრუნდებიან და მეორე ეტაპიდან „იბერიაში" ითამაშებენ.

რეალურია, რომ „დინამოს" მეორე ლიდერი და ბომბარდირი რატი ალექსიძე ლონდონის „ჩელსიში" გადაბარგდეს. ბრიტანელები მას თავად შეხმიანებიან და „ჩელსიში" თამაშზე ჩამოუგდიათ სიტყვა, თუმც არაფერი დაუკონკრეტებიათ. ლონდონელებს უთქვამთ, 18 დეკემბრამდე კიდევ დაგირეკავთო. დინამოელებიც „ჩელსის" ზარს ელოდებიან კლუბებს შორის მოლაპარაკების დასაწყებად.

შეგახსენებთ, რატი ალექსიძეს „ალანიაც" ეპატიჟება და „ჩელსიში" მისი გადასვლა თუ არ მოხერხდა, იქნებ რატიმაც კარიერა რუსეთში გააგრძელოს. ისე, სიტყვამ მოიტანა და ყოფილმა დინამოელმა, თურქული „სამსუნსფორიდან" გამობრუნებულმა გიორგი კიკნაძემ „ალანიასთან" უკვე გააფორმა კონტრაქტი და გაზაფხულიდან ვლადიმერ გუცაევის გუნდში ითამაშებს.

„დინამოდან" წასვლას აპირებს ბოლო ხანს თბილისის „ლოკომოტივში" განათხოვრებული და ჩემპიონატის პირველი ეტაპის მერე უკანვე გამოთხოვილი ლევან ქებაძეც. საით უჭირავს თვალი, ჯერ უცნობია.

„დინამოს" კი ერთბაშად რამდენიმე ფეხბურთელი დაუბრუნდა: შოთა ჩომახიძე, რომელიც ქებაძესავით „ლოკომოტივში" იყო განათხოვრებული, გიორგი ჩიხრაძე და კახა გოგიჩაიშვილი, ასევე „ლოკომოტივიდან", ტრავმირებული, გერმანიაში ნაოპერაციევი ლევან ხომერიკი. დინამოელთა მაისურას პირველად მოირგებს დავით დათუაძე, რომელიც ბოლოს „სიონში" თამაშობდა.

მათ გარდა ოთარ კორღალიძეს „თბილისის" ხუთი-ექვსი ფეხბურთელიც ჰყავს შეგულებული, რომელთა ვინაობაც უახლოეს მომავალში გვეცოდინება.

და კიდევ: „დინამოს" დიდი სურვილი აქვს, „სამგურალიდან" 19 წლის მერაბ ძოძუაშვილი გადმოიბიროს, ფეხბურთელსაც არაფერი ჰქონია საწინააღმდეგო, არც წყალტუბოელთა ხელმძღვანელებს, მაგრამ საქმე ისაა, დინამოელებს ვერასდიდებით მიუწვდენიათ ხმა ძოძუაშვილისთვის. არადა, დინამოელები მას 20 დეკემბერს დილის საწვრთნელ ბაზაზე ელიან.

„დინამო" მეორე ეტაპისთვის მზადებას სწორედ ოციდან იწყებს. ისინი ჯერ თბილისში ივარჯიშებენ, მერე კი მოსკოვში გაემგზავრებიან და ესენგეს ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მიიღებენ მონაწილეობას. თბილისელებს უცხოური შეკრებაც აქვთ დაგეგმილი.

**კობა ინასარიძე**



რატი ალექსიძე

# გვპირდებიან დუ...

ჯერ მხოლოდ პროგნოზების გაკეთება შეიძლება. ახლა სწორედ ამის დროა. პროგნოზები და სიტყვა იმაზე, არგებს თუ არა საქართველოს ნაკრებს ორი, თანაბარუფლებიანი მწვრთნელი.

დღეს ვერავინ იტყვის, რა იქნება ხვალ, ისევ ფიასკო, სირცხვილი, თუ პირიქით, გამარჯვება, სიხარული... როგორი გუნდი იქნება საქართველოს ნაკრები, რას მიაღწევს ორმწვრთნელა გუნდი. პარასკევის შემდეგ ხალხს სწორედ ეს აკერია პირზე.

უცნაური გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ, საკვირველი.

კაი ხანი სულ უმწვრთნელოდ იყო ეროვნული გუნდი და ახლა ერთბაშად ორი დანიშნეს — ძოძუაშვილი და ყიფიანი.

კი, როგორ არა, ამისი პრეცედენტი ყოფილა, თანაც რამდენიმე, საკითხავი ისაა, როგორ გაუმართლებია. ხალხს ზოგჯერ საკუთარი აზრის ჩამოყალიბება უჭირს, ვერ ახერხებს, ნაკრების ფეხბურთელები აქამდე ერთი მწვრთნელის ნათქვამს ვერ იგებდნენ ნორმალურად და მინდორზე სხვას აკეთებდნენ და ვითომ ახლა, ორი მწვრთნელის ხელში აეწყობა საქმე?

ღმერთმა ქნას, თუმცა ეჭვი კი მეპარება. მით უმეტეს, ვერ იტყვი, ყიფიანიც და ძოძუაშვილიც ერთნაირად აზროვნებენ, ერთი მიმართულება აქვთ, ფეხბურთს ერთი თვალით უყურებენო. ასეც რომ იყოს, მაინც გაუჭირდებათ. ნათქვამი კი არის, ორი თავი სჯობს ერთსო, მაგრამ შემთხვევასაც ხომ გააჩნია? როდის სჯობს?

სჯობს ანალიზისას, დაგეგმვისას. აი, ომში კი... ისიც არის ნათქვამი, ომს ერთი უნდა სარდლობდესო.

ასეა ეს ცხოვრება და... სათქმელს ერთი პირი გასაგებად უკეთ გადმოსცემს.

საქართველოს ნაკრების ერთი ფეხბურთელისა არ იყოს, ორი მწვრთნელი კი დაგვინიშნეს, მაგრამ ჩვენ, ფეხბურთელებმა ახლა რა ვქნათ, მატჩის შესვენებაზე ხუთი წუთი ძოძუაშვილი რომ დაგველაპარაკება, ხუთიც ყიფიანი, თქვენი აზრით, მეორე ტაიმში უკეთ ვითამაშებთ? სულ დავიბნევითო.

ერთი სიტყვით, ფედერაციის გადაწყვეტილების მართებულობას მომავალი გამოაჩენს, ეროვნული გუნდის შედეგი.

ახლა კი ერთი-ორი მწვრთნელ ძოძუაშვილზე და მწვრთნელ ყიფიანზე.

**რევაზ ძოძუაშვილი** — სელექციის დიდი უნარი აქვს. აქცენტს ახალგაზრდებზე აკეთებს და ისინიც უმართლებენ. სრულიად გამოუცდელს შესაძლოა გადამწყვეტი მატჩისას ენდოს. ხშირად აკეთებს მოულოდნელ სვლებს. დისციპლინის მოყვარულია, ემოციური. აქვს თავისებური პრინციპები, რომელსაც არ ღალატობს. მაგალითად, „დინამოს" მწვრთნელობისას ცოლიანებს არ სწყალობდა, ადრე რომ დაოჯახდები, ფეხბურთზე ნაკლებს იფიქრებო, ამბობდა. გუნდში მისი სიტყვა კანონი უნდა იყოს შეპასუხება აღიზიანებს.

ხშირად თამაშობს 4-4-2 სისტემით. ლატვიის ნაკრების მწვრთნელობისას დაცვითი ფეხბურთის მიმდევრის სახელი გაუვარდა, მაგრამ, მისი თქმით, ყოველივე კონტიგენტიდან გამომდინარეობდა, ლატვიელები სხვანაირად ვერ ითამაშებდნენო.

იშვიათად, ძოძუაშვილი ფეხბურთელში შეცდეს. სხვათაგან დაწუნებულს შეუძლია შესაბამისი ადგილი გამოუძებნოს და ამით გუნდს ასარგებლოს.

შეუძლია დღედაღამ ტელევიზორთან გაატაროს მეტოქე გუნდის შესასწავლად. მინდორზე შექმნილ ვითარებას სწრაფად აფასებს და ფეხბურთელებსაც ხშირად უცვლის ადგილს. მისი შეგირდები ბევრს მოძრაობენ, დაცვიდან შეტევაზე ძირითადად გრძელი პასებით გადადიან.

ჟურნალისტებთან კარგი ურთიერთობა აქვს.

**დავით ყიფიანი** — დაცვითი ფეხბურთის მიმდევარიაო, მასზე უფრო ითქმის. რაციონალისტია. გადაწყვეტილებამდე ბევრს ფიქრობს, ურისკოა. ძოძუაშვილზე მეტად მკაცრია. კარგი ფსიქოლოგია და ახსნის კარგი უნარიც აქვს. ცოტა არ იყოს, ამბიციურია, ხანდახან ზედმეტადაც, რის გამოც ჟურნალისტებთან ურთიერთობა უჭირს, ამას თავადაც ამბობს. ჩვენთვის კი, ეს მნიშვნელოვანია.

უმეტესად 3-5-1-1 ტაქტიკურ სქემას ანიჭებს უპირატესობას. თავად გამთამაშებელი იყო და მისი გაწვრთნილი გუნდების თამაშიც ძირითადად გამთამაშებელზეა აწყობილი. უფრო გამოცდილ ფეხბურთელებს ენდობა. შემადგენლობას იშვიათად ცვლის. თუ გუნდი იგებს, დაცვას კიდევ უფრო აძლიერებს. ფეხბურთელებიც ხან ინარჩუნებენ ანგარიშს, ხან... მატჩისას რადიკალურ ცვლილებებს არ მიმართავს. მსაჯების მიმართ უკმაყოფილებას სახალხოდ გამოხატავს.

ჯერჯერობით ეროვნული ნაკრების მწვრთნელებიდან საუკეთესო შედეგი აქვს. იმ დროს მისი თანაშემწე სწორედ ძოძუაშვილი იყო.

ჩვენ ერთიღა დაგვრჩა საკითხავი, გაუგებენ კი ერთმანეთს ძოძუაშვილი და ყიფიანი? ამბობენ, გავუგებთო. ვნახოთ.

ისე, ერთი მწვრთნელი მაინც სჯობდა ორს.

**კობა ინასარიძე**

# განქორწინება მირონის წყალობით

## მაჩანჩალა ნივადან ამბიციურ მეტალურგში

გორელი ალექსანდრე კაიდარაშვილის ტერნოპოლის „ნივაში" წვალებას ბოლო მოეღო. უკრაინის ჩემპიონატის აუტსაიდერი გუნდის წვალებაზე მოგახსენებთ, თორემ ქართველ თავდამსხმელს არც „ნივაში" თამაშისას დაჰკლებია სპეციალისტთა ყურადღება. მას თვით კიევის „დინამოს" მესვეურებმაც დაადგეს თვალი, თუმც ლობანოვსკის კლუბში მოხვედრა რომ ძალიან რთულია, ესეც ცნობილია. აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთი გრანდის ხელმძღვანელობა მხოლოდ კარგა ხნის დაკვირვების შემდეგ ირჩევს სასურველ ფეხბურთელს და გუნდშიც უპრობლემოდ რიცხავს.

ჰოდა, ვიდრე კიეველები კაიდარაშვილის შესაძლებლობებს სრულად შეისწავლიან, მაჩანჩალა „ნივას" ჩამოცილებული ალეკო ამბიციამოჭარბებულ ზაპოროჟიეს „მეტალურგში" ითამაშებს. ზაპოროჟიელნი ხომ უეფას თასის საგზურის მოსაპოვებლად იბრძვიან.



ალექსანდრე კაიდარაშვილისა და ნიკოლოზ ტოგონიძის (№1) დუელი

კაიდარაშვილის მეშვიდეადგილოსან „მეტალურგში" ერთი წლით გადაბარგების ამბავი ფაქტობრივად გადაწყვეტილია. კლუბებს შორის მოლაპარაკება დადებითად დასრულდა და ჩვენებურს ამ დღეებში ზაპოროჟიეში ელიან.

ახლა ცოტა რამ ალეკოს ახალ გუნდზეც ვთქვათ. მიმდინარე გათამაშების პირველი წრე „მეტალურგმა" კარგად დაიწყო და თავიდანვე საპრიზო ადგილებზე განაცხადა პრეტენზია. კლუბს სათავეში ედგა იური დიაჩუკ-სტავიცკი. სტავიცკის მთავარი მწვრთნელობის წარსულში მოხსენიება კი გუნდის დაღმასვლის შედეგია. პრეზიდენტმა ვიქტორ მეჟეიკომ მას თანაშემწის ფუნქცია დააკისრა და „მეტალურგში" უკრაინაში უმკაცრესი მწვრთნელის სახელით ცნობილ მირონ მარკევიჩს უხმო. მარკევიჩმა ფეხბურთელების წმენდა დაიწყო. ნოემბრის დასაწყისში მისულმა თავკაცმა ოცამდე გაისტუმრა გუნდიდან და ახალი სატრანსფერო პოლიტიკა გააჩაღა. კაიდარაშვილიც მან გადაიბირა — „ნივას" ერთ-ერთ თამაშში ალეკოს მიერ შესრულებული დუბლი ნახა, მოიხიბლა ქართველით და მაშინვე დაიწყო ტერნოპოლელებთან მოლაპარაკება.

ზაპოროჟიეს „მეტალურგს" ფირმა „ზაპოროჟსტალი" სპონსორობს და ფინანსურად არ უჭირს. სამეორეწრეო სამზადისს გუნდი ჩვენებურთან ერთად 18 დეკემბერს შეუდგება. მირონ მარკევიჩის შეგირდები ახალ წლის დადგომამდე ტრუსკავეცში გაივლიან შეკრებას, 8 იანვრიდან კი 3 კვირით ემირატებში გაემგზავრებიან და რამდენიმე საკონტროლო შეხვედრასაც გამართავენ.

**ხვიჩა სანიკიძე**

# რას გვარგებს ორი მწვრთნელი?

## საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია იმ მექანიზმის ამუშავებას აპირებს, რომელსაც არსად უმუშავია

ᲨᲝᲠᲡ გაუვარდება სახელი ქართულ ფეხბურთს, თუ ასე გავაგრძელეთ, რა თქმა უნდა. ამიერიდან, ალბათ, აუცილებლად დაგვეტყობა წინსვლა. საქმეს ორი კაცი უკეთ მიხედავს, ორი თვალი უკეთ დაინახავს, ორი ყური უკეთ მოისმენს. თუმც ჯერ კიდევ გასარკვევია, რას მოისმენს ორი (უკაცრავად, ოთხი) ყური, ქება-დიდებას თუ...

უცნაური და საკვირველი გადაწყვეტილება მიიღო ფეხბურთის ფედერაციამ. ეროვნული ნაკრების თავკაცობა ერთ პიროვნებას ვერ ანდო, ხელმძღვანელად მწვრთნელთა ტანდემი დანიშნა.

დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი. ორივე მათგანი დაფასებული ადამიანი გახლავთ. ამათ თანაშემწეებისა და უბრალოდ, დამხმარეების მთელი „პოლკიც" დაუნიშნეს. ფედერაციამ გული დაიარხეინა. საქვეყნოდ ამტკიცებს ასეთი გადაწყვეტილების სისწორეს.

ქართული ფეხბურთის მამამთავრებს, როგორც თავად ალიარებენ, დიდხანს უფიქრიათ, სანამ გადაწყვეტილებას მიიღებდნენ (ნუთუ უკეთესის მოფიქრება არ შეიძლებოდა). მაშ ასე, ერთ ოჯახს (ეროვნულ ნაკრებს) ორი უფროსი ეყოლება, ორის ნაუფროსალი, თანაც ქართველის, ყველას კარგად მოეხსენება, რაც იქნება.

ძნელია, კაცს ნამოქმედარი დაუწუნო და აკრიტიკო, როცა საქმეს ჯერაც არ შესდგომია. იქნებ მართლა გაამართლოს ორი მწვრთნელის მოღვაწეობამ, მაგრამ აქვს კი ქართულ ფეხბურთს დრო ექსპერიმენტების ჩასატარებლად? გვგონია, რომ არა. რალა მაინცდამაინც ჩვენში გაამართლებს ის, რასაც შედეგი არსად და არავისთვის მოუტანია?!

მსოფლიოს საფეხბურთო სამყაროს ორხელისუფლებიანობის რამდენიმე პრეცენდენტი ახსოვს. არც ერთი გამომდგარა წარმატებული. ან სრული კრახით მთავრდებოდა დუეტის (გნებავთ, ტრიოს) ნამოღვაწარი, ანაც ორიდან ერთი დროულად ხვდებოდა, ზედმეტი რომ იყო და გაცლას ამჯობინებდა.

რახან ისტორია ვახსენეთ, ბარემ მაგალითებიც დავასახელოთ. იქნებ სადმე, როგორმე, ჩვენთვის საიმედო ამბავს (უფრო სწორად, ზღაპარს) წავაწყდეთ.

1982 წელი. ესპანეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატებული ასპარეზობისთვის საბჭოთა იმპერიის ნაკრებს მაშინდელმა ჩინოვნიკებმა მწვრთნელთა ტრიუმვირატი დაუნიშნეს. კონსტანტინ ბესკოვი, ვალერი ლობანოვსკი და ნოდარ ახალკაცი.

ურწმუნო და ინტრიგანი უნდა იყო კაცი, რომელიმე მათგანზე თქვა, სუსტი სპეციალისტი იყოო. არაფერი გამოვიდა იმ საქმიდან. საბჭოეთის ნაკრებმა ითამაშა უფერულად და უსახურად. დროზე ადრე დატოვა ესპანეთი.

ეს მოხდა მაშინ, როცა სამ მწვრთნელში ერთი, კონსტანტინ ბესკოვი, მთავარი და პასუხისმგებელი გახლდათ.



ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია ჟურნალისტებს ნოვატორული იდეის უპირატესობას უმტკიცებს

1994 წელი. ხორვატიის ეროვნულ სიამაყეს, ეროვნულ ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში თამაშის უფლება დართეს. მწვრთნელებად კი მიროსლავ ბლაჟევიჩი და ტომისლავ ივიჩი დაამტკიცეს. ორივეს თანაბარი უფლებები ებოძა. ბლაჟევიჩი — რკინისებური დისციპლინის მიმდევარი სპეციალისტი, ივიჩი — უფრო აკადემიური სტილის მომხრე.

თავიდან თითქოს შეხმატკბილდნენ მწვრთნელები, მაგრამ მერე უთანხმოებამ თავი იჩინა და ივიჩი წავიდა. სადღაც არაბეთში გადაიხვეწა. ბლაჟევიჩმა კი ხორვატები მსოფლიოს საფეხბურთო მარაქაში გარია.

1998-99 წლის ჩემპიონატის დასაწყისში ინგლისურმა „ლივერპულმა" მენეჯერ როი ევანსს მეწყვილედ ფრანგი ჟერარ ულიე დაუნიშნა. სამი თვის მანძილზე გრძელდებოდა ორი მენეჯერის წვალება. შედეგი ერთი იყო, „ლივერპული", საპრიზო ადგილებზე არაფერს ვამბობთ, ევროთასებს მიღმა დარჩა.

მეტად გავთამამდები და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს მერაბ ჟორდანიას შევეკამათები. ბატონი მერაბის თქმით, კიევის „დინამოში" ვალერი ლობანოვსკისა და ოლეგ ბაზილევიჩის თანამშრომლობამ დადებითად იმოქმედა უკრაინის უპირველეს გუნდზე.

ლობანოვსკისა და ბაზილევიჩის დუეტი სულ სხვა მისიით ჩამოყალიბდა. მიუხედავად მაშინ არსებული ვითარებისა, მუსიკას ლობანოვსკი უკვეთავდა. ბაზილევიჩი საჩემპიონო თეორიას ქმნიდა. შინ მოგება, სტუმრად ფრე — ასეთი იყო ბაზილევიჩის თეორია. მან წარმატებით დაიცვა დისერტაცია და გახდა პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. მერე გაეცალა ლობანოვსკისა და კიევის „დინამოს", სხვა გუნდში განაგრძო სამწვრთნელო კარიერა.

ღმერთმა შეუძლებელი შეაძლებინოთ დავით ყიფიანსა და რევაზ ძოძუაშვილს, მაგრამ იქნებ ჩვენ ჩამოვრჩით მოვლენებს და რაღაც გამოგვრჩა კიდეც, მაშინ დიდი კრძალვით დავსვამთ ერთ კითხვას. რომელი ერთი აპირებს დისერტაციის დაცვას, ბატონი დავითი თუ ბატონი რევაზი?

ქართული ფეხბურთის (გნებავთ, მისი თავკაცების) საქმე [illegible] ლებული რომ [illegible] 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრა [illegible] მიზნის მისაღწევად უკვე ძველი, გაცვეთილი ხერხები მოიშველიეს. არაფერი ახალი, არაფერი პროგრესული.

სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე ასე ვფიქრობ: ორი მწვრთნელი იმისთვისაა საჭირო რომ ან ორივე დაიძიროს და სამუდამოდ ჩამოშორდეს ქართულ ფეხბურთს, ანაც ორიდან ერთი გაიწიროს.

დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი, მათი თქმისა არ იყოს, ერთად სხდებიან ნავში. ისინი ან ერთად ჩაიძირებიან, ანაც... დღევანდელი გადასახედიდან ძნელია, უკეთესზე იფიქრო.

ორივე ან ერთიო, ვთქვით, მაგრამ თავად ნაკრებზე არაფერი გვითქვამს. ანაც რა შეიძლება ითქვას გუნდზე, რომელსაც გამარჯვების სიტკბო დავიწყებია, მისი მოტანილი ქულაც კი სანატრელია. ყველა შემთხვევაში ეროვნული ნაკრებიც განწირულია, იმიტომ, რომ ასაღორძინებლად ძველ, არაფრისმომცემ გზაზე დაუყენებიათ.

და მაინც, იქნებ არის სულ მცირე, იოტისოდენა იმედი?! ალბათ, არის. დავით ყიფიანს და რევაზ ძოძუაშვილს ერთად და წარმატებით უმუშავიათ „დინამოში". სწორედ მათი მწვრთნელობის დროს ავინაცვლეთ მესამე კალათაში, რომელიც ნაკრებისთვის დღემდე საუკეთესო შედეგია.

ერთიანი ძალით ისინი მუდამ უკეთეს შედეგს იმკიდნენ, თუმც იმასაც ვაღიარებთ, რომ უფროს-უმცროსის, მთავრისა და თანაშემწის ფუნქციები ადრე დაცული იყო. ახლა ორივე მთავარია, ორივე ერთნაირი უფლებით ისარგებლებს. ჩაეტევა კი ქართული ფეხბურთის ორი ბუმბერაზის ამბიციები ერთ ნაჭუჭში? აი, ეს გახლავთ საკითხავსაფიქრალი. ვნახოთ, რა სარგებელს მოუტანს ქართულ ფეხბურთს ეროვნული ნაკრების ორი მთავარი მწვრთნელი.

ბოლოს ფეხბურთის ფედერაციის ერთ ნათქვამსაც გავიხსენებდი: „ახლა ყველა უნდა გავერთიანდეთ, ერთმანეთის მხარში დავუდგეთ და დახმარების ხელი გავუწოდოთ". მაშინ ჟურნალისტებიც ახსენეს, მაგრამ არ დაუკონკრეტებიათ, ჩვენ მხრიდან რა სახის დახმარებას მოელიან.

რაზეც კი ხელი მიგვწვდენია, ინფორმაცია თუ სხვა სახის დახმარება არავისთვის დაგვიმალლებია და ეს კარგადაც უწყიან როგორც ადრინდელი და ამჟამინდელი ფედერაციის თავკაცებმა, ისე ნაკრების მწვრთნელებმა. ახლაც არაფერი შეიცვლება, მხოლოდ შავზე თეთრიაო, ცუდზე კარგიაო, ამას ვერ ვიტყვით.

ნაკრების მიმართ დამოკიდებულებას ვერაფერი შეცვლის, უბრალოდ ვიტყვით, დღევანდელი გადასახედიდან ასე ჩანს, წარმატების მიღწევის შანსი, ფაქტობრივად, ნულის ტოლია.

**მამუკა კვანტალიანი**



საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი დავით ყიფიანი



საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი

სიონი

«ა» ზონა
მეოთხე ადგილი

საქართველოს 11 ჩემპიონატი

# ალ(მ)ასიონი



სპარტაკ არჩვაძე

ნუგზარ კეთილაძის ფოტო

### ცეცხლი პროვინციიდან

მოდი და ნუ იტყვი, რომ პროვინციალიზმი ფეხბურთს არ უხდება. დიახაც რომ უხდება, ისეთ ფეხბურთსაც კი, რომელსაც ქართული ჰქვია. პირადად ჩემთვის ჩემპიონატის ნახევარმა სულ პროვინციულ ნოტაზე ჩაიარა. ახლა რომ ვუკვირდები, ამან ერთიორად გამიადვილა უკუნეთ სიბნელეში ასანთის მოძებნა და, ალალად ვამბობ, რაღაცნაირად გულიც შემივარდა შინაურ ჩემპიონატზე. რა ხდებაო, იკითხავთ. ახლავე მოგახსენებთ. იწყებოდა ჩემპიონატი და ვიცოდი, რომ „დინამო" ბევრ თამაშს მოიგებდა, „ტორპედო" პირველი დახურავდა ზონას, „კოლხეთი" და „ბათუმი" კვლავაც შეინარჩუნებდნენ მუდმივი პრიზიორების იმიჯს. იმაშიც დარწმუნებული ვიყავი, რომ რჩეულთა შორის ალზევებულნი აუტსაიდერებად დარჩებოდნენ, „დილა" კი ჩვენი გორის სიამაყე, ჩვეულ სტილში მოხვდებოდა უკეთეს რვა გუნდში... მოკლედ, თითქმის წინასწარ ვიცოდი ყველაფერი. არადა, ინტრიგა მჭირდებოდა, რაღაც ახალი, რაც დოგმად ქცეული ჩემპიონატის ჩარჩოებს დალეწავდა, ხანძარს ააგიზგიზებდა და ცეცხლიც მოვიდა, მოვიდა პროვინციული ბოლნისიდან...

დღეს მეთერთმეტე ეროვნულ ჩემპიონატს თავისი გამლამაზებელი ჰყავს — „სიონი", ბოლნისის „სიონი".

### კოკა-კოლას მოსვლამდე

ერთი, არცთუ შორეული ამბავი მახსენდება. სფფ-ს ახალი შემადგენლობა XI ეროვნული ჩემპიონატის სამზადისით იყო გართული და ამ დროს ქარმა ბოლნისიდან ცუდი ამბავი მოიტანა. ფინანსურად შეჭირვებული „სიონი" პირველ ჯგუფში დაბევებული ადგილის დათმობას აპირებდა, რაც რეალობასმოკლებული სულაც არ იყო. „სიონმა" X საიუბილეო ჩემპიონატში ტანჯვა-წამების ფასად (ასე იცის უფულობამ) შეინარჩუნა ადგილი რჩეულთა შორის და უიმედო მდგომარეობაში ჩავარდნილი სამომავლოდ ეკლიანი გზით სიარულს აღარ აპირებდა. მაგრამ XI ეროვნულს მინორულ ნოტაზე დაწყება არ ეწერა, რადგან მაშინ ბოლნისში გამოჩნდა კაცი, რომელმაც თავის თავზე აიღო ბევრი რამ და ჩემპიონატს გუნდი, ბოლნისს კი ფეხბურთი შეუნარჩუნა. ბოლნისის გამგებელის — ზურაბ ჯაფარიძის ღვაწლი მართლაც დიდია „სიონის" წინაშე. ფეხბურთის მოყვარულმა (ყოფილმა ფეხბურთელმა) გამგებელმა გუნდს მალე სპონსორიც გამოუნახა ფირმა „კვარციტის" სახით, მეცენატებს თავადაც ენერგიულად წააშველა ხელი და „სიონიც" ჩაება ჩემპიონატის ფერხულში. შემდეგ ბოლნისში „კოკა-კოლას" მოსვლაზეც ალაპარაკდნენ. დიდი პერსპექტივა გაუჩნდა პროვინციულ გუნდს, „ლოკომოტივთან" მესამე ტურის მატჩის წინ ბოლნისს თემურ ჭყონიაც ესტუმრა, მორალურ-მატერიალურადაც შეეწია ფეხბურთელებს და ამით ანთებულმა სიონელებმა პირველი მარცხიც აგემეს რკინიგზელებს, მაგრამ ეს იყო და ეს. „კოკა-კოლაზე" საუბარი ერთხანს ინერციით კვლავაც გაგრძელდა, თუმცა ჭყონია აღარ გამოჩენილა ბოლნისში და „სიონიც" მჟავე წყლის და ჯაფარიძე — „კვარციტის" დუეტის ამარა დარჩა, თუმცა ესეც საკმარისი აღმოჩნდა.

### ოქროს შუალედი

უცანურია, არა? „სიონმა" მოუგებლად დაიწყო, საწყის ორ ტურში ერთი ქულის აღება შეძლო საშინაო მატჩში დებიუტანტ „თბილისთან". პირველი ეტაპის დასასრულიც ერთობ მარცხიანი გამოდგა ბოლნისელთათვის. დასკვნით ორ ტურში გუნდი ორჯერვე დამარცხდა „ბათუმთან" და „დინამოსთან", თანაც ბურთების საშინელი მაჩვენებლით — 1:7 (0:4 „ბათუმთან", 1:3 „დინამოსთან") და მაინც კლუბმა საოცნებო შედეგს მიაღწია — მოხვდა „ა" ზონის პირველ ოთხეულში. „სიონმა" მართლაც დიდებულად წარმოაჩინა თავი პირველი ეტაპის შუაწელში. თავისი წილი დამსახურება არ უნდა დავუკარგოთ მთავარ მწვრთნელს სპარტაკ არჩვაძეს. სწორედ მას უნდა ვუმადლოდეთ, რომ კრიტიკულ მომენტში (ასეთი კი მრავლად ჰქონდა „სიონს") გუნდი არ კარგავდა თავის სახეს და მატჩის გადარჩენის უტყუარ საშუალებას პოულობდა. მისი წყალობით „სიონი", რამდენიმე მატჩის გამოკლებით, საოცრად შეკრული, დაბალანსირებული კოლექტივის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

მეკარით დავიწყოთ. გრანდებთან ჭიდილში ჩაბმული გუნდის კარის დარაჯისთვის 14 თამაშში გაშვებული 16 გოლი არ უნდა იყოს ურიგო შედეგი. თემურ ვოლკოვი წლეულს ერთ-ერთ ნაყოფიერ სეზონს ატარებს თავის კარიერაში. საიმედოა „სიონის" დაცვაც, რაც არჩილ შაკიაშვილის და კახა სიდამონიძის დამსახურებაა. საგრძნობლად მოუმატა ნუკრი მინდიაშვილმაც. დავით სოლოლაშვილის დამატებამ აშკარად მოუხსნა „სიონს" პრობლემები შუა ხაზში და გუნდის უდავოდ გამორჩეულ ლიდერს დავით დათუაძეს მეტი გასაქანი მიეცა. დათუაძე მართლაც ფასდაუდებული განძი იყო „სიონისთვის" და მისი „დინამოში" გადასვლა სამეორეეტაპოდ დიდ პრობლემებს შეუქმნის ბოლნისელებს. ურიგოდ არც დავით გოდერძიშვილს და ბახვა მოსეშვილს უასპარეზიათ, მაგრამ აშკარაა, ყველაზე მეტი პრობლემა „სიონს" თავდასხმის ხაზში აქვს. ამას თოთხმეტ თამაშში გატანილი ცამეტი გოლიც მოწმობს.

„სიონი" ოთხეულში გავიდა, რაც ჩემპიონატის მეორე წრის თავბრუდამხვევმა დასაწყისმა განაპირობა. გასვლაზე „თბილისის" დამარცხებას უხვგოლიან მატჩში (4:3), ბოლნისელებმა საშინაო ფრე (0:0) მოაყოლეს „ვიტ ჯორჯიასთან", შემდეგ კი „ეროვნულზე" სენსაციაც გამოაცხვეს, „ლოკომოტივი" დაამარცხეს (1:0) და ოთხეულის ხავერდოვანი გზაც გამოჩნდა. მომდევნო ორ მატჩში „სიონმა" ალალი 6 ქულა მიითვალა „სამგურალთან" და „არსენალთან" შეხვედრებში და ბოლო ორ ტურში თავს მოდუნების საშუალება მისცა. „სიონის" წარმატების ერთ უტყუარ ფაქტზეც ვთქვათ. დაგროვილ ქულათა დიდი ნაწილი გუნდმა საშინაო შეხვედრებში მოიპოვა. „თემურ სტეფანია" ბრძოლის, მონდომების, შემართების შთაგონებაა „სიონისთვის". აბა, რა გასაკვირია, რომ ერთგული გულშემატკივრით ბევრჯერ გადაჭედილ შინაურ სარბიელზე მხოლოდ ერთხელ (ბოლო ტურში „დინამოსთან") დამარცხდნენ ბოლნისელები.

### ალა

ფეხბურთით ცხოვრობს ალა, სულ სტადიონზეა. ბოლნისში, თბილისში, წყალტუბოში, ბათუმში. მწვანე მინდორი მეორე სახლია მისთვის. „სიონის" ქომაგია ალა. როკავს, მღერის, იგინება, ხან იქით შემოუძახებს, ხან აქეთ თანამოსაქმეთ მიუტრიალდება, დირიჟორივით ხელებალმართული და... მოწესრიგებული, ხმაშეწყობილი გუგუნი დაღლილ სხეულს უთბობს რჩეული გუნდის ფეხბურთელებს. მატჩის დროს ბავშვებშიც უყვარს ჩაჯდომა, მათაც აიყოლიებს, ტაშით, სიმღერით... „სიონი" უყვარს ალას. მოწინაალმდეგის, ვაჟკაცური ბრძოლის ფასიც იცის, ლამაზი გოლით მოხიბლული, ბევრჯერ წამოდგომია ფეხზე სტუმარ ფეხბურთელს, ტაშითაც ხშირად გაუცილებია მეტოქე ბრძოლის შემდეგ, იცის ფეხბურთის ფასი ალამ და ამიტომაცაა ფეხბურთის კაცი.

პირველი ეტაპის ბოლო ტურის ბოლნისური მატჩი მახსენდება — „სიონი" — „დინამო". მასპინძლებს 1:0 მოჰყავთ შეხვედრა. გულშემატკივრის ემოციის შეკავება მოედნის დამცავ ღობესაც უჭირს. სტადიონი ვულკანს ჰგავს, ბევრიც არ დარჩენილა მატჩის დამთავრებამდე და ამ დროს „დინამოს" ჯერ ერთი, მერე მეორე გოლი გააქვს მასპინძელთა კარში, ალა კი ყვირის, ხელებს იქნევს, აქეთ-იქით აწყდება, ამაოდ ცდილობს საბოლოოდ გატეხილი სამწყსოს აყოლიებას, უკვე მარტო გაჰკივის „სიონი", „სიიონიი"... ანჩაბაძეს ბოლო წუთზე ეფექტური, ლამაზი გოლი გააქვს ვოლკოვის კარში... ალა ფეხზე ამდგარი, წელში გასწორებული ტაშს უკრავს გოლის ავტორს. საოცრად ამაყი და მართალი... ასეთი კაცია ალა.

„სიონი" და ალა ჩემპიონატის მეორე ეტაპსაც ერთად შეხვდებიან. იქ კი უფრო გაუჭირდებათ ბოლნისელებს, რადგან წინ გაცილებით რთული ბარიერია, ერთობ რთული, „სიონი" კი პროვინციული, პატარა გუნდია. მაგრამ იქ, მეორე ეტაპზე მოპოვებული შედეგის მიუხედავად, ბოლნისელებს ამთავითვე აქვთ საამაყო, მათ ხომ უკვე დიდ წარმატებას მიაღწიეს, ოთხეულში შევიდნენ და თანაც ინტრიგა და ლაზათი შემატეს საქართველოს ჩემპიონატს.

**პაატა კვანტალიანი**



„დავითი და გოლიათი": დავით დათუაძე და გივი კვარაცხელია

ბადრი კეთილაძის ფოტო

**პირველი ეტაპის შედეგები**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | თბილისი | 2:2 | შ | მოსეშვილი, მ. სამხარაძე |
| 2 | ვიტ ჯორჯია | 0:3 | ს | |
| 3 | ლოკომოტივი | 1:0 | შ | გოდერძიშვილი |
| 4 | სამგურალი | 0:1 | ს | |
| 5 | არსენალი | 1:0 | შ | შაკიაშვილი |
| 6 | ბათუმი | 0:0 | შ | |
| 7 | დინამო | 0:3 | ს | |
| 8 | თბილისი | 4:3 | ს | დათუაძე 2, გოდერძიშვილი 2 |
| 9 | ვიტ ჯორჯია | 0:0 | შ | |
| 10 | ლოკომოტივი | 1:0 | ს | მოსეშვილი |
| 11 | სამგურალი | 2:0 | შ | შაკიაშვილი, დათუაძე |
| 12 | არსენალი | 1:0 | ს | შაკიაშვილი |
| 13 | ბათუმი | 0:4 | ს | |
| 14 | დინამო | 1:3 | შ | გოგოლაძე |

| | თ | გ | ყ | წ |
|---|---|---|---|---|
| დავით დათუაძე | 14 | 3 | 0 | 0 |
| თემურ სამხარაძე | 14 | 0 | 2 | 0 |
| თემურ ვოლკოვი | 14 | -16 | 2 | 0 |
| არჩილ შაკიაშვილი | 13 | 3 | 5 | 0 |
| კახა სიდამონიძე | 13 | 0 | 3 | 0 |
| მურმან გოგოლაძე | 13 | 1 | 0 | 0 |
| ბახვა მოსეშვილი | 13 | 2 | 1 | 0 |
| დავით გოდერძიშვილი | 13 | 3 | 2 | 0 |
| თემურ დიმიტრიშვილი | 12 | 0 | 1 | 0 |
| დავით სვანიძე | 11 | 0 | 1 | 0 |
| ნუკრი მინდიაშვილი | 11 | 0 | 1 | 0 |
| დავით სოლოლაშვილი | 11 | 0 | 2 | 0 |
| მირზა სამხარაძე | 10 | 1 | 0 | 0 |
| კახა გოდერძიშვილი | 7 | 0 | 3 | 0 |
| ლავრენტი გაგუა | 7 | 0 | 2 | 0 |
| ირაკლი კაპანაძე | 4 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი ყიფშიძე | 3 | 0 | 1 | 0 |
| ვეფხია ტარულაშვილი | 3 | 0 | 0 | 0 |
| დავით ჯაფარიძე | 2 | 0 | 0 | 0 |
| ნუგზარ დალაქიშვილი | 2 | -3 | 0 | 0 |
| ელგუჯა ჯაფარიძე | 1 | 0 | 0 | 0 |
| მახარე მინდიაშვილი | 1 | 0 | 1 | 0 |




თ - თამაში; გ - გოლი;
ყ - გაფრთხილება; წ - გაძევება

| «ა» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | დინამო | 14 | 11 | 1 | 2 | 38:12 | 26 | 34 | 7 | 6 | 1 | 0 | 24:6 | 18 | 19 | 7 | 5 | 0 | 2 | 14:6 | 8 | 15 |
| 2 | ბათუმი | 14 | 6 | 7 | 1 | 15:4 | 11 | 25 | 7 | 5 | 2 | 0 | 12:1 | 11 | 17 | 7 | 1 | 5 | 1 | 3:3 | 0 | 8 |
| 3 | ვიტ ჯორჯია | 14 | 6 | 5 | 3 | 20:12 | 8 | 23 | 7 | 4 | 2 | 1 | 14:4 | 10 | 14 | 7 | 2 | 3 | 2 | 6:8 | -2 | 9 |
| 4 | სიონი | 14 | 6 | 3 | 5 | 13:19 | -6 | 21 | 7 | 3 | 3 | 1 | 7:7 | 0 | 12 | 7 | 3 | 0 | 4 | 6:14 | -8 | 9 |
| 5 | ლოკომოტივი | 14 | 5 | 3 | 6 | 21:19 | 2 | 18 | 7 | 2 | 3 | 2 | 8:7 | 1 | 9 | 7 | 3 | 0 | 4 | 13:12 | 1 | 9 |
| 6 | თბილისი | 14 | 3 | 4 | 7 | 21:31 | -10 | 13 | 7 | 3 | 1 | 3 | 14:19 | -5 | 10 | 7 | 0 | 3 | 4 | 7:12 | -5 | 3 |
| 7 | სამგურალი | 14 | 3 | 2 | 9 | 9:27 | -18 | 11 | 7 | 3 | 1 | 3 | 4:6 | -2 | 10 | 7 | 0 | 1 | 6 | 5:21 | -16 | 1 |
| 8 | არსენალი | 14 | 2 | 3 | 9 | 10:23 | -13 | 9 | 7 | 2 | 1 | 4 | 6:10 | -4 | 7 | 7 | 0 | 2 | 5 | 4:13 | -9 | 2 |

**მეორე ეტაპი**

I-VIII ადგილები

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ტორპედო | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 18 |
| 2 | დინამო | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 17 |
| 3 | კოლხეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 13 |
| 4 | ბათუმი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 13 |
| 5 | ვიტ ჯორჯია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 12 |
| 6 | სიონი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 11 |
| 7 | დილა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 10 |
| 8 | იბერია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 9 |

## გერმანია

XV ტური

### ფრაიბურგი 0:1 ჰერთა

0:1 დაეი (76)
ფრაიბურგი: გოლცი, შ. მიულერი (კონდე 83), დიარა, ჰერმელი, ცაიერი (კორელი 71), ვილი, ვაისჰაუპტი, კობიაშვილი, ბაია, სელიმი, ბრუნსი (რამდანე 77)
ჰერთა: კირალი, ჰ. ჰერცოგი (ვან ბურიკი 58), სვერისონი, რეკდალი, შმიდტი (კონსტანტინიდისი 59), ჰარტმანი (ტომი 75), მიხალკე, კოვიჩი, ვოში, დაეი, პრეეცი
გაფრთხილება: დაეი, მიხალკე, შმიდტი, სვერისონი, ვან ბურიკი
მსაჯი: კრუგი

### ლევერკუზენი 2:2 ჰამბურგი

0:1 ნ. კოვაჩი (32პ), 1:1, 2:1 ბაინლიხი (34, 49), 2:2 ნოვოტნი (55ს.კ.)
ლევერკუზენი: მატიშეკი, რეები, ნოვოტნი, რ. კოვაჩი, რამელო, ბალაკი (რაიხენბერგერი 83), ბ. შნაიდერი, ბაინლიხი, ზე რობერტო, პონტე (ბრდარიჩი 83), ნოივილი
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, ჰოოგმა, გრავესენი, ჰირში, ფ. ერნსტი, ნ. კოვაჩი, გრამოცისი, კარდოზო, მაჰდავიკია (დოლი 77), პრეგერი (პაკიხატიბი 77), იებოა (ჰაშემიანი 90)
გაფრთხილება: ბაინლიხი, კარდოზო, გრავესენი
მსაჯი: ჰაინემანი

### ულმი 3:1 კაიზერსლაუტერნი

1:0 გორა (3), 2:0 ვან დერ ჰაარი (19), 3:0 ბოდოგი (22), 3:1 ბოდოგი (55ს.კ.)
ულმი: ლაუქსი, ბოდოგი, მარკესი, შტადლერი, რადოკი, ოტო (როსლერი 76), უნსოლდი, მაიერი, გორა (შარინგერი 90), ლეანდრო, ვან დერ ჰაარი (ზდრილიჩი 84)
კაიზერსლაუტერნი: რაინკე, შტრასერი (რიშე 25), კოხი, შონბერგი, რამოსი (რაიხი 30), რატინიო, სფორცა, მ. ვაგნერი (პეტერსონი 46), ბასლერი, ჯორკაეფი, ხრისტოვი
გაფრთხილება: გორა, უნსოლდი, ჯორკაეფი, კოხი, შონბერგი, ვაგნერი
მსაჯი: ფრიოლიხი

### ვოლფსბურგი 1:0 აინტრახტი

1:0 ბილიშკოვი (57)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, კრიგერი, ბალვანცი, ბილიშკოვი, გრაინერი (მალტრიცი 59), ნოვაკი, დამაიერი, ვაისერი, აკონორი, ფელდჰოფი (შრიოდერი 78), იუსკოვიაკი (ვიუკი 73)
აინტრახტი: ნიკოლოვი, კუჩერა, კრახტი, იანსენი, შური (ცამპახი 66), რასიევსკი, გებჰარდტი, გუიე მიენი, ფალკი (დომბი 73), სალუ, ჩენ იანგი (ვესტერტალერი 73)
მსაჯი: კოოპი

### მიუნხენი 3:3 შალკე

1:0 პესლერი (19), 1:1 ვილმოტსი (24), 1:2 სანდი (36), 2:2 მაქსი (53), 3:2 ჩერნი (69), 3:3 სანდი (90)
მიუნხენი: ჰოფმანი, შტრანცლი, ვანენბურგი, კურცი, ზელიჩი, ტაპალოვიჩი, ჩერნი (პასლაკი 87), ტაისი (პიურკი 54), პესლერი (ბორიმიროვი 74), მაქსი, ვინკლერი
შალკე: რეკი, ვალდოხი, ნემეცი, ჰაპე, კამპუისი, კმეტჩი (ჰაინალი 79), ბიუსკენსი (ანდერბრიუგე 76), გუსენსი (ჰელდი 76), ვილმოტსი, ასამოა, სანდი
გაფრთხილება: ჩერნი, ზელიჩი, კმეტჩი, ნემეცი, სანდი
მსაჯი: იანსენი

### არმინია 0:1 დუისბურგი

0:1 კოვაჩევიჩი (75პ)
არმინია: კოხი, შტრატოსი, კლიცპერა, შტრაალი, მაისნერი, ვატერინკი (ბაგერი 79), პეეტერსი (რიდლევიჩი 75), ბომე, მ. ვაისენბერგერი, ლაბადია, ვიშნიარეკი (გიოქთანი 46)
დუისბურგი: სტაუჩე, ჰაიტო, მ. შნაიდერი, კოვაჩევიჩი, ტოფტინგი, ჰირში, ჰოერსენი, ოსტჰოფი, ცაიერი (ვოსი 83), ბაიერლე (დრშეკი 90), რაისი (შპისი 71)
გაფრთხილება: გიოქთანი, ჰირში
მსაჯი: ალბრეხტი

### დორტმუნდი 1:1 შტუტგარტი

1:0 ბობიჩი (23), 1:1 დანდი (26)
დორტმუნდი: ლემანი, როიტერი, ნიეგუსი, კ. ბაუმანი, კოლერი, რიკენი, ბარბარესი (სტევიჩი 73), ვ. ბუტი, ადო (ვიორნსი 52), ბობიჩი, იკპება (ჰერლიხი 68)
შტუტგარტი: ვოლფარტი, ტიამი, ბერთოლდი, ბორდონი, კარნელი, სოლდო, პინტო (ენდრესი 64), გერბერი, ლისტეში, ბალაკოვი (ჰოსნი 68), დანდი (რისტიჩი 83)
გაფრთხილება: იკპება, ადო, როიტერი, რიკენი, ბერთოლდი, ბორდონი, კარნელი, პინტო
მსაჯი: აუსტი

### ჰანზა 0:3 ბაიერნი

0:1, 0:2 პაულო სერჟიო (45, 54), 0:3 სანტა კრუზი (65)
ჰანზა: ბროოტიგამი, რ. შნაიდერი, ჰოლეჩეკი (ვაილანდტი 38), ელერსი, იასერი, ლანცი, მაიაკი (ემარა 85), ვიბრანი, ბრანდი, ბაუმგარტი, არვიდსონი (აგალი 58)
ბაიერნი: კანი, ბაბელი (ლინკე 46), კუფური, მათეუსი, სალიჰამიჯიჩი, ფინკი, იერემისი, ტარნატი, ვისინგერი, პაულო სერჟიო (სინკალა 79), სანტა კრუზი (იანკერი 72)
გაფრთხილება: ჰოლეჩეკი, მაიაკი, ბაბელი, ფინკი, სალიჰამიჯიჩი
მსაჯი: კემლინგი

### ვერდერი 2:2 უნტერჰახინგი

1:0 მაქსიმოვი (27), 2:0 აილტონი (35), 2:1 შტრაუბე (76), 2:2 ბრაიტენრაიტერი (88)
ვერდერი: ფ. როსტი, ტიკუზუ, ფ. ბაუმანი, სესარი, ფრინგსი, ტრარესი, მაქსიმოვი (აილტსი 66), ბოდე, ა. ჰერცოგი, აილტონი, პიზარო
უნტერჰახინგი: ვიტმანი, შტრემელი, ზაიფერტი, ბუგერი, მატიას ციმერმანი, ჰერტლი (ჰაბერი 46), შვარცი, შტრაუბე, ობერლაიტნერი, რაკლი (ბრაიტენრაიტერი 72), ზაიცი (გარსია 84)
გაფრთხილება: მაქსიმოვი, ტრარესი, შტრაუბე
მსაჯი: ვაინერი

# ასეც ხდება


REUTERS ლევერკუზენიდან

ლევერკუზენი — ჰამბურგი 2:2. სტუმართა თავდამსხმელ ენტონი იებოას (მარჯვნივ) ფუნქცია მასპინძელთა მცველმა ავტოგოლის ავტორმა იენს ნოვოტნიმ შეასრულა

„რას ვიზამთ, ასეც ხდება ხოლმე. ყველამ ნახა, როგორ ვითამაშეთ, მაგრამ მაინც წავაგეთ. ფეხბურთელებისადმი სასაყვედურო არაფერი მაქვს. ახლა მთავარია, გული არ გავიტეხოთ, არც ჩვენ და არც ქომაგებმა" - ეს სიტყვები „ფრაიბურგის" მთავარმა მწვრთნელმა ფოლკერ ფინკემ ბერლინის „ჰერტასთან" საშინაო მარცხის შემდეგ წარმოთქვა.

„ფრაიბურგმა" წარუმატებელი სერია ვერ შეწყვიტა. გუნდმა ბოლო ოთხ მატჩში მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვა და ცოტა ხნის წინ ლიდერთა მარაქაში მყოფი აუტსაიდერთა შორის აღმოჩნდა.

„ჰერტასთან" მატჩით თუ ვიმსჯელებთ, ფინკე და მისი შეგირდები ამას არ იმსახურებენ. წინა შეხვედრებისგან განსხვავებით ბერლინელებთან „ფრაიბურგმა" ჩინებულად ითამაშა, თუმცა ბედმა არ გაუღიმა. უდიდესი უპირატესობის მიუხედავად, მასპინძლებმა გოლი ვერ გაიტანეს. მატჩის მიწურულს სტუმართა მიერ განხორციელებული ერთ-ერთი იშვიათი კონტრშეტევა კი შედეგიანი გამოდგა. ირანელმა ალი დაეიმ სვერისონის პასი გამოიყენა და გადამწყვეტი ბურთი შეაგდო. შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელად „ჰერტას" უნგრელი მეკარე გაბორ კირალი აღიარეს, რომელმაც უშეცდომოდ ითამაშა.

სტუმართა კარის დაბომბვას „ფრაიბურგი" მეორე წუთიდან შეუდგა, თუმცა არაფერი გამოუვიდა, კირალის წინაალმდეგობა ვერავინ (ვერც ლევან კობიაშვილმა) დასძლია. ორჯერ დაკარგა გოლის გატანის რეალური შანსი ბუნდესლიგის ერთ-ერთმა ბომბარდირმა ადელ სელიმიმაც.

ალექსანდრე იაშვილმა და ლევან ცქიტიშვილმა ტრავმების გამო კვლავ ვერ ითამაშეს.

ერთი მარცხისა და ფრის შემდეგ ისევ მოიგო ჩემპიონატის ლიდერმა, მიუნხენის „ბაიერნმა". ბავარიელებმა სტუმრად „ჰანზა" არ დაინდეს და 3:0 მოუგეს. მიუნხენელთა თავკაცმა ოტმარ ჰიცფელდმა ჯოვანი ელბერის (მას მძიმე ტრავმა აწუხებს) არყოფნაში შეტევაში ბრაზილიელი პაულო სერჟიო და პარაგვაელი ყმაწვილი როკე სანტა კრუზი გაამწესა, მათაც მწვრთნელს იმედი არ გაუცრუეს. პირველი ორი გოლი ბრაზილიელმა ჩაიწერა თავის აქტივში, მესამე კი — პარაგვაელმა. ტაბლომ ამ ორი კლუბის ძალთა თანაფარდობა კარგად ასახა.

„ბოლო მატჩებში განცდილი წარუმატებლობის შემდეგ ეს გამარჯვება გუნდისთვის ძალიან საჭირო იყო. სამშაბათს „არმინიას" ვხვდებით, ვეცდებით, მასაც მოვუგოთ. მინდა, „ზამთრის ჩემპიონები" გავხდეთ, ეს ფსიქოლოგიური თვალსაზრისით წაგვადგება. მიმდინარე სეზონში კარგად რომ გამოვიდეთ, ერთი დიდი პრობლემაც უნდა დავძლიოთ. წრეებს შორის შესვენებისას ლოთარ მათეუსის ღირსეული შემცვლელი უნდა მოვძებნოთ" — განაცხადა ჰიცფელდმა ნამატჩევს.

ბოლო წლებში „ბაიერნის" მუდმივმა კონკურენტმა „ლევერკუზენმა" შინ მესამე ადგილზე მყოფ „ჰამბურგს" უმასპინძლა და ქულას დასჯერდა (2:2). „ლევერკუზენს" რომ მოეგო, ქულებით „ბაიერნს" გაუტოლდებოდა, „ჰამბურგს" კი ოთხი ქულით ჩამოიტოვებდა, მაგრამ მასპინძლებს ერთი გოლი ნიკო კოვაჩმა გაუტანა, ფეხბურთელმა, რომელიც „ჰამბურგში" ამ სეზონის წინ სწორედ „ლევერკუზენიდან" გადავიდა. მეორე გოლი კი მასპინძელმა იენს ნოვოტნიმ საკუთარ კარში შეაგდო. ეს 55-ე წუთზე მოხდა, როცა „ლევერკუზენი" ბაინლიხის დუბლის წყალობით 2:1-ს იგებდა.

მთლიანად მატჩი საინტერესო და კარგი სანახავი გამოდგა. სტადიონზე შეკრებილმა 22500-მა გულშემატკივარმაც ისიამოვნა, თუმცა საბოლოო შედეგით, რაღა თქმა უნდა, უკმაყოფილო დარჩა. არადა, შეიძლებოდა, ამითაც გაეხარა, მაგრამ... „დღეს ორი ქულა დავკარგეთ. არ უნდა დაგვეკარგა, ბუნდესლიგაში მოთამაშე ფეხბურთელი შედეგზეც უნდა ფიქრობდეს და ბურთს ცარიელ კარს არ უნდა აცილებდეს. ასეთ მომენტებს ხელიდან არ უნდა ვუშვებდეთ" — განაცხადა თამაშის შემდეგ თავისი ფეხბურთელები ლევერკუზენელთა მწვრთნელმა [illegible] ფეხბურთია, ასეც ხდება.

კიდევ ერთ [illegible] მოეგო [illegible] ნდის „ბორუსიაა". დორტმუნდელები შინ, 60500 ქომაგის თვალწინ, „შტუტგარტს" 1:1 დაუზავდნენ. ექსშტუტგარტელი ფრედი ბობიჩის მიერ 23-ე წუთზე გატანილი გოლი სტუმრებმა სამ წუთში გაქვითეს. თავი გაგერმანელებულმა სამხრეთ აფრიკელმა შონ დანდიმ გამოიჩინა. მასპინძლებს მაშინვე შეეძლოთ ხელმეორედ დაწინაურება, მაგრამ იკპებამ ხელსაყრელი მდგომარეობიდან ბურთი ძელს გაარტყა.

მეორე ნახევარში „დორტმუნდმა" ტემპს უმატა, „შტუტგარტის" კართან ზეწოლაც გააძლიერა, თუმცა ამით ვერ იხეირა. მასპინძლებმა რამდენიმე რეალური საგოლე მომენტი ქარს გაატანეს.

ხუთშაბათს აღმავლობის გზაზე მდგარი „კაიზერსლაუტერნი" შოკში ჩავარდა. უეფას თასის მატჩში ფრანგულ „ლანსთან" შინ 1:4 განადგურებამ, ეტყობა, „ლაუტერნზე" დამთრგუნველად იმოქმედა. ყოველ შემთხვევაში, კვირას აუტსაიდერ „ულმთან" სტუმრად 1:3 განცდილი მარცხი სწორედ ამაზე მეტყველებს. ულმელებმა თავიდანვე აქტიურად დაიწყეს და „კაიზერსლაუტერნს" პირველი ნოკდაუნი მე-3 წუთზევე აგემეს — შტადლერის პასით გორამ „ულმი" დააწინაურა. 22-ე წუთზე კი სტუმრები უკვე 0:3-ს აგებდნენ. რაინკე ვერც ვან დერ ჰაარისა და ბოდოგის დარტყმულს აღუდგა. ანგარიშში სხვაობა თავად მასპინძლებმა შეამცირეს. იმავე ბოდოგმა ავტოგოლი გაიტანა. მანამდე კი ბასლერმა და ვაგნერმა შეაზანზარეს „ულმის" კარის ძელები. მეტი მომენტი სტუმრებს, ფაქტობრივად, აღარც ჰქონიათ.

ფრედ ითამაშა ლიდერთა ჯგუფის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა „მიუნხენ 1860"-მა. მიუნხენელებმა „შალკეს" უმასპინძლეს და ბოლო წუთამადე 3:2-ს უგებდნენ. წონასწორობა საბოლოოდ „შალკეს" დანიელმა თავდამსხმელმა ებე სანდმა აღადგინა. იმ დროს 90-ე წუთი მიმდინარეობდა. რას იზამ, ფეხბურთია, ასეც ხდება.

**ვანო ოქროპირიძე**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბაიერნი | 15 | 9 | 3 | 3 | 29:12 | 17 | 30 | 7 | 4 | 2 | 1 | 18:6 | 12 | 14 | 8 | 5 | 1 | 2 | 11:6 | 5 | 16 |
| 2 ლევერკუზენი | 15 | 7 | 7 | 1 | 25:16 | 9 | 28 | 8 | 5 | 3 | 0 | 19:10 | 9 | 18 | 7 | 2 | 4 | 1 | 6:6 | 0 | 10 |
| 3 ჰამბურგი | 15 | 7 | 6 | 2 | 32:17 | 15 | 27 | 7 | 5 | 2 | 0 | 19:4 | 15 | 17 | 8 | 2 | 4 | 2 | 13:13 | 0 | 10 |
| 4 მიუნხენი | 15 | 7 | 4 | 4 | 25:19 | 6 | 25 | 8 | 5 | 2 | 1 | 17:8 | 9 | 17 | 7 | 2 | 2 | 3 | 8:11 | -3 | 8 |
| 5 დორტმუნდი | 15 | 6 | 6 | 3 | 20:13 | 7 | 24 | 8 | 3 | 4 | 1 | 12:9 | 3 | 13 | 7 | 3 | 2 | 2 | 8:4 | 4 | 11 |
| 6 ვერდერი | 15 | 6 | 5 | 4 | 33:22 | 11 | 23 | 8 | 4 | 2 | 2 | 17:11 | 6 | 14 | 7 | 2 | 3 | 2 | 16:11 | 5 | 9 |
| 7 ლაუტერნი | 15 | 7 | 2 | 6 | 20:26 | -6 | 23 | 7 | 4 | 1 | 2 | 11:9 | 2 | 13 | 8 | 3 | 1 | 4 | 9:17 | -8 | 10 |
| 8 შტუტგარტი | 15 | 6 | 3 | 6 | 16:17 | -1 | 21 | 7 | 2 | 1 | 4 | 8:10 | -2 | 7 | 8 | 4 | 2 | 2 | 8:7 | 1 | 14 |
| 9. ჰერტა | 15 | 5 | 6 | 4 | 21:23 | -2 | 21 | 7 | 3 | 3 | 1 | 12:6 | 6 | 12 | 8 | 2 | 3 | 3 | 9:17 | -8 | 9 |
| 10 შალკე | 15 | 4 | 8 | 3 | 21:19 | 2 | 20 | 7 | 1 | 5 | 1 | 8:9 | -1 | 8 | 8 | 3 | 3 | 2 | 13:10 | 3 | 12 |
| 11 ვოლფსბურგი | 15 | 5 | 5 | 5 | 20:27 | -7 | 20 | 8 | 5 | 0 | 3 | 13:14 | -1 | 15 | 7 | 0 | 5 | 2 | 7:13 | -6 | 5 |
| 12 უნტერჰახინგი | 15 | 5 | 4 | 6 | 16:17 | -1 | 19 | 7 | 5 | 2 | 0 | 10:2 | 8 | 17 | 8 | 0 | 2 | 6 | 6:15 | -9 | 2 |
| 13 ჰანზა | 15 | 4 | 5 | 6 | 21:32 | -11 | 17 | 8 | 4 | 3 | 1 | 15:12 | 3 | 15 | 7 | 0 | 2 | 5 | 6:20 | -14 | 2 |
| 14 ფრაიბურგი | 15 | 4 | 4 | 7 | 21:22 | -1 | 16 | 8 | 4 | 1 | 3 | 15:7 | 8 | 13 | 7 | 0 | 3 | 4 | 6:15 | -9 | 3 |
| 15 დუისბურგი | 15 | 2 | 7 | 6 | 17:23 | -6 | 13 | 7 | 1 | 5 | 1 | 9:7 | 2 | 8 | 8 | 1 | 2 | 5 | 8:16 | -8 | 5 |
| 16 ულმი | 15 | 3 | 4 | 8 | 14:24 | -10 | 13 | 8 | 3 | 2 | 3 | 9:7 | 2 | 11 | 7 | 0 | 2 | 5 | 5:17 | -12 | 2 |
| 17 აინტრახტი | 15 | 3 | 2 | 10 | 16:22 | -6 | 11 | 7 | 2 | 1 | 4 | 10:8 | 2 | 7 | 8 | 1 | 1 | 6 | 6:14 | -8 | 4 |
| 18 არმინია | 15 | 2 | 5 | 8 | 11:27 | -16 | 11 | 8 | 1 | 4 | 3 | 7:10 | -3 | 7 | 7 | 1 | 1 | 5 | 4:17 | -13 | 4 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ბოდე (ვერდერი) | 8 |
| სელიმი (ფრაიბურგი) | 8 |
| კირსტენი (ლევერკუზენი) | 8 |

### XVI ტური

14 დეკემბერი
ჰერტა - მიუნხენი
შტუტგარტი - ჰანზა
დუისბურგი - ვერდერი
ბაიერნი - არმინია

15 დეკემბერი
ლაუტერნი - ფრაიბურგი
უნტერჰახინგი - ჰამბურგი
ვოლფსბურგი - ულმი
შალკე - დორტმუნდი
აინტრახტი - ლევერკუზენი

## მეორე ბუნდესლიგა

XV ტური

### კიოლნი 4:0 ალემანია

1:0 ჩიკონი (27), 2:0 კურტი (32), 3:0 ტიმი (58), 4:0 დონკოვი (76)

### ბერლინი 2:1 მაინცი

1:0 როსლერი (40), 1:1 პოლიკელა (65), 2:1 კრამნი (67ს.კ.)

### კიკერსი 2:2 ქემნიცი

1:0 მარიჩი (25), 1:1 დიტგენი (49), 1:2 კრუპნიკოვიჩი (60), 2:2 იოზქანი (74)

### ფიურტი 0:0 ჰანოვერი

### ბოხუმი 2:1 ნიურნბერგი

1:0 შინდცილორცი (24), 1:1 ლეიტლი (39), 2:1 შტოილასი (89ს.კ.)

### გლადბახი 0:0 ფორტუნა

### ზანქტ პაული 1:0 კოტბუსი

1:0 პოლუნინი (19)

### ოფენბახი 1:1 ვალდჰოფი

1:0 ვლადოიუ (10), 1:1 ვასმერი (90)

### ობერჰაუზენი — კარლსრუე

გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 15 | 10 | 4 | 1 | 33:10 | 34 |
| კოტბუსი | 15 | 9 | 1 | 5 | 31:17 | 28 |
| ბერლინი | 15 | 6 | 7 | 2 | 24:17 | 25 |
| ნიურნბერგი | 15 | 7 | 3 | 5 | 25:27 | 24 |
| ბოხუმი | 15 | 7 | 2 | 6 | 25:22 | 23 |
| ქემნიცი | 15 | 6 | 4 | 5 | 24:19 | 22 |
| ალემანია | 15 | 6 | 4 | 5 | 25:30 | 22 |
| მაინცი | 15 | 5 | 6 | 4 | 19:19 | 21 |
| ჰანოვერი | 15 | 5 | 4 | 6 | 21:20 | 19 |
| ფიურტი | 15 | 4 | 7 | 4 | 10:14 | 19 |
| ზტ. პაული | 15 | 4 | 6 | 5 | 16:19 | 18 |
| გლადბახი | 15 | 4 | 5 | 6 | 19:21 | 17 |
| ვალდჰოფი | 15 | 4 | 5 | 6 | 18:23 | 17 |
| კიკერსი | 15 | 4 | 5 | 6 | 23:29 | 17 |
| ფორტუნა | 15 | 3 | 6 | 6 | 11:19 | 15 |
| ობერჰაუზენი | 14 | 3 | 5 | 6 | 13:18 | 14 |
| კარლსრუე | 14 | 2 | 6 | 6 | 20:24 | 12 |
| ოფენბახი | 15 | 2 | 6 | 7 | 11:20 | 12 |

## იტალია

XIII ტური

### პიაჩენცა 0:0 პერუჯა

პიაჩენცა: რომა, ლუკარელი, პოლონია, ვერხოვოდი, მანიგეტი, გაუტიერი, ლამაკი, მაცოლა, სტრომპა (სტატუტო 67), რასტელი (პიოვანი 80), რიციტელი (დიონიჯი 85)
პერუჯა: მაცანტინი, ილარიო, კალორი, რიპა, მილანეზე, ბა (ესპოზიტო 60), ბიზოლი, ოლივე, რაპაიჩი (კაპიოლი 81), ნაკატა, ნ. ამორუზო
გაფრთხილება: მანიგეტი, მაცოლა
მსაჯი: ტრენტალანჯე

### რეჯინა 1:1 კალიარი

0:1 მაიელე (41), 1:1 კალონი (58)
რეჯინა: ორლანდონი, ჯაკეტა, ჩირილო (კოცა 77), სტოვინი, ფოლიო, ბრევი, პრალია (რეგი 53), მორაბიტო, პირლო, კალონი, პოსანცინი (ოშადოგანი 88)
კალიარი: სკარპი, ლოპესი, ვილა, ძებინა, ბერეტა, მოდესტო, დე პატრე, მაჩელარი, მაიელე (დილიზო 92), მბომა (კორადი 81), ოლივეირა
გაფრთხილება: დე პატრე, პრალია, ჯაკეტა, მაჩელარი, ვილა, მაიელე
გაძევება: ოლივეირა (1)
მსაჯი: პელეგრინო

### უდინეზე 3:3 ვერონა

0:1 სოტილი (10ს.კ.), 0:2 ადაილტონი (27), 1:2 მუცი (29), 1:3 ადაილტონი (46), 2:3 ლოკატელი (55), 3:3 სოტილი (62)
უდინეზე: დე სანტისი, სოტილი, ძანკი (პოჯი 53), ბერტოტო, ბისგაარდი, გარგო, ფიორე, იორგენსენი, ლოკატელი (პიზარო 86), მარჯიოტა (სოსა 78), მუცი
ვერონა: ფრეი, ლაურსენი, აპოლონი, ფრანჩესკეტი, ფალსინი, ჯანდებიაჯი (დიანა 39), ბროკი, მარასკო, მელისი (ფილიპინი 62), სალვეტი (კოლუჩი 69), ადაილტონი
გაფრთხილება: მარასკო, მუცი, ფიორე
გაძევება: დიანა (73)
მსაჯი: პაპარესტა

### მილანი 2:0 ტორინო

1:0 ბირჰოფი (3), 2:0 შევჩენკო (75პ)
მილანი: აბიატი, სალა, კოსტაკურტა, მალდინი, გულიელმინპიეტრო, ალბერტინი (გატუზო 81), ამბროზინი, სერჟინიო (ჰელვეგი 78), ბობანი (ჯუნტი 73), ბირჰოფი, შევჩენკო
ტორინო: ბუჩი, ბონომი, ფიკადენტი, გალანტე, ტრიკარიკო, ბრამბილა, ანდრე კრუზი, მენდესი (ივიჩი 62), კოკო (ლენტინი 62), სომეზე (კრიპა 74), არტისტიკო
გაფრთხილება: ტრიკარიკო, ფიკადენტი, კოსტაკურტა, მალდინი, ანდრე კრუზი, ამბროზინი
მსაჯი: ბრაში

### ვენეცია 0:2 პარმა

0:1 კანავარო (12), 0:2 კრესპო (75)
ვენეცია: კონსელი, კარდონე (ბუდანი 73), პავანი, ლუპი, ბეტარინი, ვალტოლინა, ვოლპი, იაკინი (პედონე 60), ბერგი, პეტკოვიჩი (კასაცა 26), მანიერო
პარმა: მიჩილო, ტურამი, ტორიზი, კანავარო, სერენა, ფუზერი (ბრედა 84), ბოგოსიანი (ვალემი 25), დ. ბაჯო, ვანოლი, სტანიჩი (ბენარივო 56), კრესპო
გაფრთხილება: კანავარო, ტორიზი, იაკინი, ბაჯო, ვანოლი, პავანი, ბეტარინი, ლუპი, ვოლპი
გაძევება: კონსელი (25), ვალემი (84)
მსაჯი: როდომონტი

### ლეჩე 1:0 ბარი

1:0 კონტიჩიო (62)
ლეჩე: კიმენტი, პივოტო, ვიალი, სავინო, ბალერი, კონტიჩიო, ლიმა, პიანჯერელი, ტრავერსა (კოლონელო 85), სესა (დი კარლო 92), ბილოტი (მარინო 74)
ბარი: მანჩინი, დე როსა, გარსია, ნექროიზი, ინოჩენტი, კოლაუტო, მარკოლინი, მარკიჩი (ენინაია 72), პეროტა (ოლივარესი 46), სპინეზი, კასანო (ჯორჯეტი 81)
გაფრთხილება: სავინო, ნექროიზი, პეროტა, ვიალი, სესა
გაძევება: სპინეზი (64), დე როსა (69)
მსაჯი: რაკალბუტო

### იუვენტუსი 1:0 ინტერი

1:0 ინძაგი (21)
იუვენტუსი: ვან დერ სარი, ტუდორი, მონტერო, იულიანუ, კონტე (ბირინდელი 79), ტაკინარდი, დავიდსი, პესოტო, ზიდანი, ფ. ინძაგი (კოვაჩევიჩი 82), დელ პიერო (რამპულა 62)
ინტერი: პერუცი, პანუჩი, ბლანი, ფრეზი (რ. ბაჯო 77), ხ. ძანეტი, კოუ (რეკობა 46), დი ბიაჯო (დაბო 70), იუგოვიჩი, გეორგატოსი, ვიერი, სამორანო
გაფრთხილება: ტაკინარდი, ტუდორი, დი ბიაჯო, ძანეტი, რეკობა
გაძევება: ვან დერ სარი (61)
მსაჯი: ტომბოლინი

### ლაციო 2:0 ფიორენტინა

1:0 ბოკშიჩი (13), 2:0 სტანკოვიჩი (69)
ლაციო: მარკეჯანი, გოტარდი, ნესტა, მიხაილოვიჩი, ფავალი, დ. სტანკოვიჩი, ვერონი (სიმეონე 57), სენსინი, ნედვედი, მანჩინი (ს. ინძაგი 76), ბოკშიჩი (ლომბარდო 86)
ფიორენტინა: ტოლდო, რეპკა (ბრესანი 46), ფირიკანო, პიერინი, ტორიჩელი, კოისი (ბალბო 57), დი ლივიო (როსიტო 72), ჰაინრიხი, რუი კოშტა, კიეზა, ბატისტუტა
გაფრთხილება: სტანკოვიჩი, ტორიჩელი, ფირიკანო, ბალბო
მსაჯი: ბაცოლი

### ბოლონია 1:0 რომა

1:0 სინიორი (25)
ბოლონია: პალიუკა, პარამატი, ბია, პაგანინი, ნერვო (ფალკონე 72), ინგესონი, პიაჩენტინი, ზე ელიასი (ფონტოლანი 85), ტარანტინო, კ. ანდერსონი, სინიორი (ვომე 91)
რომა: ანტონიოლი, რინალდი (ბარტელტი 82), ალდაირი, მანგონე, კაფუ, მარკოს ასუნსაო, დი ფრანჩესკო (ტომაზი 57), კანდელა, ტოტი, მონტელა, დელვეკიო
გაფრთხილება: პაგანინი, ანდერსონი, მანგონე, მონტელა, ტარანტინო, მარკოს ასუნსაო, პარამატი, ფონტოლანი, ფალკონე
მსაჯი: კოლინა



REUTERS რომიდან

ლაციო — ფიორენტინა 2:0. რომაელი დეიან სტანკოვიჩი (№20) და ფლორენციელი იორგ ჰაინრიხი ბურთისთვის იბრძვიან

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ლაციო | 13 | 8 | 4 | 1 | 28:13 | 15 | 28 | 7 | 5 | 2 | 0 | 19:7 | 12 | 17 | 6 | 3 | 2 | 1 | 9:6 | 3 | 11 |
| 2 | იუვენტუსი | 13 | 8 | 4 | 1 | 16:6 | 10 | 28 | 7 | 6 | 1 | 0 | 13:3 | 10 | 19 | 6 | 2 | 3 | 1 | 3:3 | 0 | 9 |
| 3 | რომა | 13 | 7 | 4 | 2 | 26:12 | 14 | 25 | 6 | 3 | 2 | 1 | 12:7 | 5 | 11 | 7 | 4 | 2 | 1 | 14:5 | 9 | 14 |
| 4 | პარმა | 13 | 7 | 3 | 3 | 25:17 | 8 | 24 | 6 | 4 | 1 | 1 | 14:6 | 8 | 13 | 7 | 3 | 2 | 2 | 11:11 | 0 | 11 |
| 5 | ინტერი | 13 | 7 | 2 | 4 | 23:10 | 13 | 23 | 7 | 5 | 1 | 1 | 21:5 | 16 | 16 | 6 | 2 | 1 | 3 | 2:5 | -3 | 7 |
| 6 | მილანი | 13 | 6 | 5 | 2 | 27:17 | 10 | 23 | 6 | 5 | 1 | 0 | 16:4 | 12 | 16 | 7 | 1 | 4 | 2 | 11:13 | -2 | 7 |
| 7 | ბარი | 13 | 4 | 5 | 4 | 15:16 | -1 | 17 | 6 | 1 | 5 | 0 | 7:6 | 1 | 8 | 7 | 3 | 0 | 4 | 8:10 | -2 | 9 |
| 8 | ბოლონია | 13 | 4 | 5 | 4 | 9:10 | -1 | 17 | 7 | 3 | 3 | 1 | 6:1 | 5 | 12 | 6 | 1 | 2 | 3 | 3:9 | -6 | 5 |
| 9 | ფიორენტინა | 13 | 4 | 5 | 4 | 14:16 | -2 | 17 | 7 | 4 | 1 | 2 | 10:8 | 2 | 13 | 6 | 0 | 4 | 2 | 4:8 | -4 | 4 |
| 10 | პერუჯა | 13 | 5 | 2 | 6 | 13:16 | -3 | 17 | 6 | 3 | 1 | 2 | 9:7 | 2 | 10 | 7 | 2 | 1 | 4 | 4:9 | -5 | 7 |
| 11 | ლეჩე | 13 | 5 | 2 | 6 | 15:23 | -8 | 17 | 7 | 5 | 1 | 1 | 10:5 | 5 | 16 | 6 | 0 | 1 | 5 | 5:18 | -13 | 1 |
| 12 | უდინეზე | 13 | 4 | 4 | 5 | 18:22 | -4 | 16 | 7 | 3 | 2 | 2 | 12:12 | 0 | 11 | 6 | 1 | 2 | 3 | 6:10 | -4 | 5 |
| 13 | ტორინო | 13 | 3 | 5 | 5 | 10:16 | -6 | 14 | 6 | 2 | 2 | 2 | 6:5 | 1 | 8 | 7 | 1 | 3 | 3 | 4:11 | -7 | 6 |
| 14 | ვერონა | 13 | 3 | 3 | 7 | 10:20 | -10 | 12 | 6 | 3 | 1 | 2 | 6:2 | 4 | 10 | 7 | 0 | 2 | 5 | 4:18 | -14 | 2 |
| 15 | პიაჩენცა | 13 | 2 | 5 | 6 | 9:14 | -5 | 11 | 7 | 2 | 4 | 1 | 6:4 | 2 | 10 | 6 | 0 | 1 | 5 | 3:10 | -7 | 1 |
| 16 | რეჯინა | 13 | 2 | 5 | 6 | 13:21 | -8 | 11 | 6 | 1 | 3 | 2 | 6:10 | -4 | 6 | 7 | 1 | 2 | 4 | 7:11 | -4 | 5 |
| 17 | ვენეცია | 13 | 2 | 3 | 8 | 9:18 | -9 | 9 | 7 | 2 | 2 | 3 | 5:7 | -2 | 8 | 6 | 0 | 1 | 5 | 4:11 | -7 | 1 |
| 18 | კალიარი | 13 | 0 | 6 | 7 | 12:25 | -13 | 6 | 6 | 0 | 3 | 3 | 5:10 | -5 | 3 | 7 | 0 | 3 | 4 | 7:15 | -8 | 3 |

# ყოფილ მოსწავლეთა გამარჯვება

„ბული შედეგმა დამწყვიტა და არა ჩემი გუნდის თამაშმა“ — განაცხადა ბოლონიაში 0:1 დამარცხების შემდეგ ექვს ტურში წაუგებელი „რომას“ მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ. არადა, თავიდან ისე ჩანდა, თითქოს სტუმრები მორიგ წარმატებას მიაღწევდნენ — მე-10 წუთზე ვინჩენცო მონტელამ ბოლონიელთა კარის ძელს გაარტყა ბურთი.

რომაელებს 25-ე წუთმა უმტყუნა, როდესაც შვედი კენეტ ანდერსონის ჩაწოდებულ ბურთს ჯუზეპე სინიორიმ აკრობატული დარტყმით მათ კარში მიუჩინა ადგილი.

ანდერსონს მოგვიანებით გოლი არ ჩაუთვალეს, „რომას“ კი ყველა ცდა გაუცუდდა — რამდენჯერმე ჯანლუკა პალიუკამ დაიცვა ბოლონიელთა კარი, მარკო დელვეკიომ მონტელას ბედი გაიზიარა.

საინტერესო შეხვედრა გაიმართა ტურინში, სადაც მარჩელო ლიპის ყოფილი გუნდი „იუვენტუსი“ ახლანდელს, „ინტერს“ მასპინძლობდა. მეორე ტაიმის მე-16 წუთზე მსაჯმა მოედნიდან მასპინძელთა ჰოლანდიელი მეკარე ედვინ ვან დერ სარი გააძევა. აღსანიშნავია, რომ პირველი დანაშაული ვან დერ სარმა თამაშის დასაწყისშივე ჩაიდინა, როდესაც საგოლე პოზიციაში მყოფ მილანელ ივან სამორანოს ხელი უბიძგა, მაგრამ დაუსჯელი დარჩა. მეორედ კი მეკარე სასჯელს ველარ გადაურჩა: კარს იგივე სამორანო უტევდა, როდესაც ჰოლანდიელმა საჯარიმოს გარეთ ბურთი ხელით შეაჩერა.

ამ ორ ეპიზოდს შორის, 21-ე წუთზე, იუვენტუსელებმა, ალესანდრო დელ პიერომ და ფილიპო ინძაგიმ ჩინებული კომბინაცია ჩაატარეს და ყოფილი მასწავლებლის გუნდის კარი დალაშქრეს. დელ პიერომ მეტოქე მცველებს, კრისტიან პანუჩისა და ლორან ბლანს შორის ჩაიქროლა და ბურთი ინძაგის დაუგორა, რომელმაც შეხვედრის ერთადერთი და თავისი მეექვსე გოლი შეაგდო. ამ გოლის წყალობით „ბებერი ქალბატონი“ „ლაციოსთან“ ერთად 28 ქულით ლიდერობს.

რაც შეეხება „ინტერს“, მაშინაც კი, როდესაც მასპინძლებს ვან დერ სარი გაუძევეს და მის ნაცვლად კარში მიქელანჯელო რამპულა დადგა, ერთი ხეირიანი მომენტის შექმნაც ვერ შეძლო. მასპინძელთა ნახევარმცველებს ედგარ დავიდსსა და ალესიო ტაკინარდის, კრისტიან ვიერი და ზემოთ ორჯერ ხსენებული სამორანო საიმედოდ ჰყავდათ დამალული.

„ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ისეთ ლიგაში, სერია A რომ არის, თავდაცვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება“ — განაცხადა „ლაციოს“ შვედმა თავკაცმა სვენ გორან ერიკსონმა, რომელიც სიტყვაში „ეს“ გოლის არგაშვებას გულისხმობდა. საქმე ის გახლავთ, რომ ლიდერმა ბოლოს ოთხი ტურის წინ, „რომასთან“ 1:4 მარცხის დროს იხილა, როგორ შედის მის კარში ბურთიებ.

ამჯერად რომაელები „ფიორენტინას“ მასპინძლობდნენ. მე-13 წუთზე ხორვატმა ალენ ბოკშიჩმა არგენტინელი ხუან სებასტიან ვერონის პასი მიიღო და ფრანჩესკო ტოლდოს დიაგონალური დარტყმით გაუტანა. ამის შემდეგ „ლაციოს“ კვლავ ჰქონდა რამდენიმე შესაძლებლობა, მაგრამ 69-ე წუთამდე ვერ მიაღწია მიზანს, 69-ზე კი იუგოსლაველმა დეიან სტანკოვიჩმა შეაგდო.

84-ე წუთზე „ფიორენტინას“ არგენტინელმა თავდამსხმელმა, ვეტერანმა აბელ ბალბომ ხელით დალაშქრა რომაელთა კარი და გვარიანი ზეიმიც წამოიწყო, მაგრამ მსაჯი ხრიკს მიუხვდა და, ბუნებრივია, გოლი არ ჩათვალა.

ვენეციაში პარმელთა სტუმრობის ბედი, ფაბიო კანავაროსა და ერნან კრესპოს გოლებმა გადაწყვიტეს. ამ შეხვედრაში ორივე გუნდს გაუძევეს მოთამაშე. ვენეციელთაგან წითელი ბარათი ავსტრიელმა მეკარემ მიხაელ კონსელმა იხილა, ხოლო პარმელთაგან ბელგიელმა იოჰან ვალემმა.

ერნან კრესპოსთვის „ვენეციას“ კარში გატანილი გოლი სეზონში მეათე გახლდათ.

**პაპუნა ძედია**

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| კრესპო (პარმა) | 10 |
| შევჩენკო (მილანი) | 8 |
| ფ. ინძაგი (იუვენტუსი). | 6 |
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 6 |
| ვიერი (ინტერი) | 6 |
| სალასი (ლაციო) | 6 |
| მუცი (უდინეზე) | 6 |
| დელვეკიო (რომა) | 6 |
| ლუკარელი (ლეჩე) | 6 |

XIV ტური

18 დეკემბერი

ბარი — ინტერი
კალიარი — ლეჩე
ფიორენტინა — იუვენტუსი
ლაციო — პიაჩენცა
მილანი — რეჯინა
პარმა — რომა
პერუჯა — ბოლონია
ტორინო — უდინეზე
ვერონა — ვენეცია

## სერია B

XV ტური

### ალძანო 0:4 ნაპოლი

0:1 შვოხი (23), 0:2 ბელუჩი (42), 0:3 შვოხი (49), 0:4 სტელონე (93)

### ჩეზენა 3:3 მონცა

1:0 ბაროლო (6), 1:1 ამბროზი (23), 1:2, 1:3 ბრნჩიჩი (44, 50), 2:3, 3:3 მანცო (67, 71)

### კიევო 2:2 რავენა

1:0 დე ჩეზარე (38პ), 2:0 მარაზინა (54), 2:1, 2:2 გრაბი (73პ, 86)

### ემპოლი 0:0 ატალანტა

### ფერმანა 1:1 კოზენცა

0:1 ჟაბოვი (12), 1:1 რაჩინი (86)

### პისტოიეზე 1:0 ტრევიზო

1:0 ბანკელი (54პ)

### სალერნიტანა 3:2 ვიჩენცა

0:1 ძაული (5), 0:2 ლუიზო (39), 1:2 დი მიკელე (54პ), 2:2 გვიდონი (79), 3:2 ვანუჩი (90)

### სამპდორია 2:1 პესკარა

1:0 პალმიერი (22), 1:1 ჯელსი (39), 2:1 საკიჩი (65)

### სავოია 0:1 ტერნანა

0:1 მიკოლი (45)

### ბრეშა — ჯენოა

წუხელ გვიან გაიმართა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიჩენცა | 15 | 9 | 2 | 4 | 30:17 | 29 |
| ბრეშა | 14 | 7 | 7 | 0 | 21:8 | 28 |
| ატალანტა | 15 | 8 | 3 | 4 | 21:14 | 27 |
| ნაპოლი | 15 | 7 | 5 | 3 | 22:15 | 26 |
| სამპდორია | 15 | 6 | 6 | 3 | 16:12 | 24 |
| ალძანო | 15 | 6 | 4 | 5 | 17:20 | 22 |
| ტრევიზო | 15 | 6 | 3 | 6 | 22:17 | 21 |
| ჩეზენა | 15 | 4 | 8 | 3 | 20:16 | 20 |
| რავენა | 15 | 4 | 8 | 3 | 17:14 | 20 |
| მონცა | 15 | 4 | 8 | 3 | 15:15 | 20 |
| კიევო | 15 | 5 | 4 | 6 | 18:19 | 19 |
| სალერნიტანა | 15 | 4 | 6 | 5 | 19:22 | 18 |
| ტერნანა | 14 | 4 | 6 | 4 | 14:18 | 18 |
| კოზენცა | 15 | 3 | 8 | 4 | 11:13 | 17 |
| პესკარა | 15 | 3 | 7 | 5 | 20:22 | 16 |
| ემპოლი | 15 | 4 | 4 | 7 | 8:20 | 16 |
| პისტოიეზე* | 14 | 5 | 3 | 6 | 13:17 | 14 |
| ჯენოა | 14 | 3 | 4 | 7 | 15:16 | 13 |
| სავოია | 15 | 2 | 6 | 7 | 12:22 | 12 |
| ფერმანა | 15 | 1 | 4 | 10 | 11:25 | 7 |

** „პისტოიეზეს“ დაკლებული აქვს 4 ქულა*

## სერია C1/A

XIV ტური. ალბინოლეფე — ჩიტადელა 2:0; კარარეზე — ლუმეცანე 3:1; კრემონეზე — პიზა 1:1; ლეკო — ლუკეზე 0:2; ლივორნო — მოდენა 1:1; მონტევარკი — კომო 0:2; რეჯანა — ვარეზე 3:2; სანდონა — ბრეშელო 2:0; სპალ — სიენა 0:1

## სერია C1/B

XIV ტური. ასკოლი - სტაბია 2:1; აველინო - დი სანგრო 2:1; ბენევენტო - ნოჩერინა 0:0; კატანია - ფ. ანდრია 1:0; კროტონე - გუალდო 3:0; ჯულიანოვა - ატლეტიკო 1:1; ლოდიჯანი - ვიტერბეზე 0:1; მარსალა - არეცო 0:1; პალერმო - ანკონა 1:0

# ვიგოელთა პირველი და მადრიდელთა კიდევ ერთი ფრე

## ესპანეთი

XV ტური

**სევილია 3:2 ბარსელონა**

1:0 ხუან კარლოსი (12), 1:1 დანი (28), 1:2 ლუის ენრიკე (58), 2:2 ხუან კარლოსი (79), 3:2 ვიქტორი (87)

სევილია: რაბაიდა, ნანდო (ხესული 75), ტაბარე, პიბიჩი, მარჩენა, პაკო მიიე (ექტორი 85), ლორენი (ვიქტორი 67), ცარტასი, ფრანსისკო, ხუან კარლოსი, მარსელო ოტერო

ბარსელონა: არნაუ, ფ. დე ბური, დეუ, რაიციგერი, კოკუ, გვარდიოლა, ზენდენი (სერხი 46), ლუის ენრიკე (ხავი 76), ფიგუ, რივალდო, დანი

გაფრთხილება: ფრანსისკო, ზენდენი, პაკო მიიე, ლუის ენრიკე

მსაჯი: მენა დავილა

**რასინგი 1:1 რეალი**

0:1 რაული (24), 1:1 ვივარ დორადო (82)

რასინგი: სებალიოსი, სიეტესი, ნერუ, მელბერგი, ისმაელი, ესპინია, ვივარ დორადო, ბესჩასტნიხი (რუშფელტი 56), სალვა, ამავისკა, მანხარინი

რეალი: კასილიასი, კარანკა, რობერტო კარლოსი, იერო, ივან ელგუერა, გუტი, სავიო (ანელკა 60), რედონდო, კარემბუ, რაული, მორიენტესი (მანუელ სანჩისი 77)

გაფრთხილება: რედონდო, ამავისკა, გუტი

მსაჯი: ანდრადას ასურმენდი

**სოსიედადი 0:1 დეპორტივო**

0:1 გერერო (37ს.კ.)

სოსიედადი: ალბერტო, ანტია (ადეპოჯუ 50), არანსაბალი, პიკაბეა, დე პედრო, არამბურუ, გომესი (პაკო ლორენტე 67), კუჰბაუერი, ხ. გერერო, სა პინტუ, დე პაულა (ბონილია 50)

დეპორტივო: სონგო, რომერო, მანუელ პაბლო, ნაიბეტი, იოკანოვიჩი, ჯალმინია (ფერნანდო 90), ფლავიო კონსეისაო (ხაიმე 86), მაურო სილვა, დონატო, მაკაი (პაულეტა 69), ვიქტორ სანჩესი

გაფრთხილება: გერერო, სონგო

მსაჯი: პრადოს გარსია

**ატლეტიკო 1:2 ვალენსია**

0:1 მენდიეტა (16), 1:1 ჰასელბაინკი (26), 1:2 ხუან სანჩესი (53)

ატლეტიკო: მოლინა, სანტი, აგილერა, გუსტავო (უგო ლეალი 79), შამოტი, გამარა, ვალერონი, ბეიბლი (სოლარი 72), ბარახა, კორეა (პაუნოვიჩი 66), ჰასელბაინკი

ვალენსია: პალოპი, პელეგრინო (ბიორკლუნდი 46), კარბონი, ჯუკიჩი, ანგლომა, მილია (ალბელდა 66), ხერარდი, ფარინოსი, მენდიეტა, კლაუდიო ლოპესი, ხუან სანჩესი (სორია 74)

გაფრთხილება: სანტი, ფარინოსი, აგილერა, ხერარდი, შამოტი

გაძევება: ხერარდი (70), კარბონი (72), კლაუდიო ლოპესი (87)

მსაჯი: ხაპონ სევილია

**სელტა 1:1 ბილბაო**

1:0 ტურდო (43), 1:1 ესკერო (79)

სელტა: დუტრუელი, ჯოროვიჩი, კასერესი, ველასკო, მოსტოვოი, კარპინი, ჯოვანელა (სელადესი 65), მაკელელე, ხუანფრანი, ტურდო, გუსტავო ლოპესი (რევივო 65)

ბილბაო: ი. ეჩებერია, ლასა (ედუ ალონსო 65), ლაკრუსი, კარლოს გარსია, ალკორტა, ი. გერერო, იმასი (ხავი გონსალესი 54), ალკისა (ურსაისი 74), ურუტია, ხ. ეჩებერია, ესკერო

გაფრთხილება: ჯოვანელა, იმასი, მაკელელე, კასერესი

მსაჯი: დიას ვეგა

**ალავესი 2:0 ბეტისი**

1:0 კოდრო (22), 2:0 ხავი მორენო (46პ)

ალავესი: ერერა, ბერუეტი, კონტრა, ტორეს მესტრე, კარმონა, ნან რივერა (ასკოიტია 67), პაბლო, დესიო, მორალესი, ხავი მორენო (ხაპონი 85), კოდრო (ხულიო სალინასი 61)

ბეტისი: ტონი პრატსი, მერინო, ლუის ფერნანდესი, ფილიპესკუ, კარპანი (გალვესი 78), ფინიდი, რომერო, იტო (ოლი 58), ბენჟამინი, კროსა, ალფონსო

გაფრთხილება: დესიო, ლუის ფერნანდესი

მსაჯი: დავინო იბანიესი

**ესპანიოლი 1:1 ვალიადოლიდი**

1:0 გალკა (44პ), 1:1 როდრიგო (93)

ესპანიოლი: კავალიერო, ლოპო, ნანდო, კრისტობალი, არტეაგა, როხერი, გალკა, ველამასანი (სერხიო 29), მაურო ნავასი, ტამუდო (სერანო 80), ბენიტესი (დე ლუკასი 55)

ვალიადოლიდი: სესარი, მარკოსი, ტორეს გომესი, სანტამარია (ალბერტო 82), პეკა, გარსია კალვო, ტურიელი, აროლდ ლოზანო, ვისკაინო (კამინერო 73), როდრიგო, ვიქტორი (პეტერნაკი 46)

გაფრთხილება: მაურო ნავასი, ტორეს გომესი, ნანდო, როდრიგო, ტამუდო, კამინერო

გაძევება: მაურო ნავასი (83)

მსაჯი: ლოსანტოს ომარი

**მალიორკა 1:1 ოვიედო**

0:1 დელი ვალდესი (62), 1:1 დიეგო ტრისტანი (67)

მალიორკა: ლეო ფრანკო, მიგელ სოლერი (ჯოკაი 10), სივიერო, ნადალი, ოლაიზოლა, კარერასი, ჩიჩი სოლერი (იბაგასა 59), ენგონგა, ლორენი, ლეო ბიაჯინი (კარლოსი 68), დიეგო ტრისტანი

ოვიედო: ესტებანი, რაბარივონი, დანჟუ, ბორისი, ონოპკო, პომპეი, პაულო ბენტუ, კეიტია (ესკურსა 51), გონსალესი (კლასენსი 77), დელი ვალდესი, ლოსადა (ხაიმე 51)

გაფრთხილება: ენგონგა, რაბარივონი, ნადალი, დანჟუ, კეიტია

მსაჯი: ანსუარტეგი როჩა

**სარაგოსა 3:3 ნუმანსია**

0:1 რუბენ ნავარო (28), 1:1 იორდი (44), 1:2 ბარბუ (49), 2:2 იორდი (69), 2:3 რუბენ ნავარო (73), 3:3 ველისკა (79)

სარაგოსა: ხუანმი, სოლანა, პაბლო, აგუადო, კუარტერო, გარიტანო (იორდი 33), არაგონი, აკუნია, მილოშევიჩი, ველისკა, ხუანელე

ნუმანსია: ნუნიესი, ოქტავიო, ივან როჩა, მუნისი, ბელსუე, პაჩეტა, ბარბუ (რივერა 69), ნაგორე, კასტანიო, რუბენ ნავარო (მორალესი 82), ოხედა (ხორხე პერესი 92)

გაფრთხილება: იორდი, ბარბუ, აკუნია, ოქტავიო, აგუადო, მუნისი, სოლანა

მსაჯი: მეხუტო გონსალესი

**რაიო ვალეკანო 4:1 მალაგა**

1:0 ბოლო (18), 1:1 კატანია (25), 2:1 ერნანდესი (37), 3:1 ლორენსი (79), 4:1 კანაბალი (81)

რაიო ვალეკანო: კელერი, ლორენსი, ჰელდერი, ფერონი, ალკასარი, ერნანდესი (მანდრა 83), კოტა (კლოტე 46), ესტიბარისი, მიჩელ I, ლუის სემბრანოსი, ბოლო (კანაბალი 80)

მალაგა: კონტრერასი, ფერნანდო სანსი, ბრავო (სანდრო 72), ვალკარსე, როხასი, რუანო (კიკი მუსამპა 72), მოვილია, დე ლოს სანტოსი, ლუკე, კატანია (აგოსტინო 27), ედგარი

გაფრთხილება: ერნანდესი, მოვილია, მიჩელ I, ლუკე, ედგარი, ვალკარსე

მსაჯი: იტურალდე გონსალესი

REUTERS მადრიდიდან



ატლეტიკო — ვალენსია 1:2. მადრიდელი ფერნანდო კორეა (№20) და ვალენსიელი გაისკა მენდიეტა

ესპანეთში „ბარსელონას" და „რეალის" გარდა რომელიმე სხვა გუნდი თუ გაჩემპიონდა, ეს, როგორც წესი, ამ ორი სუპერკლუბის სუსტად თამაშის შედეგად ხდება. წლევანდელ სეზონშიც ასეთი ამბავია. გათამაშების ცხრილში მადრიდის „რეალი" რომ მოძებნოთ, ეს ცხრილი ბოლომდე უნდა ჩაიკითხოთ და იქ სადღაც ფსკერზე შეგხვდებათ. ჩემპიონობისთვის მებრძოლთაგან „ბარსას" ჩამოწერა ჯერ ნაადრევია, თუმცა უამბიციურეს კლუბს ჩატარებული თამაშების ნახევარი მაინც ხომ უნდა მოეგო?

მე-15 ტურში კატალონიელები „სევილიას" სტუმრობდნენ. მასპინძელთა გუნდი იმით იყო გამორჩეული, რომ აქამდე ერთადერთი მოგება გაეხერხებინა და „რეალსაც" კი ჩამორჩებოდა (მადრიდელთა თაყვანისმცემლებს ამ ხუმრობისთვის ბოდიშს ვუხდი). შეხვედრა „სევილიას" უპირატესობით დაიწყო. სამართლიანობისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ ამას „ბარსელონამაც" შეუწყო ხელი. პირველივე წუთებში არნაუს კართან რამდენიმე მომენტი შეიქმნა, რასაც მე-12 წუთზე ხუან კარლოს გომეშის გოლი მოჰყვა. ამის შემდეგ კატალონიელები თითქოს გამოერკვნენ და ძალაც მოიკრიბეს. 28-ე წუთზე დანიმ ანგარიში გაათანაბრა. ეს ფეხბურთელი მინდორზე ტრავმირებული პატრიკ კლუივერტის ნაცვლად გავიდა. შესვენების შემდეგ რივალდო-ლუის ენრიკეს კომბინაცია ამ უკანასკნელმა გოლად აქცია შეხვედრის ბოლო თერთმეტ წუთში დაცვის უხეშმა შეცდომებმა იმავე ხუან კარლოსმა და ვიქტორის გოლები განაპირობა. 87-ე წუთზე გაშვებული მესამე ბურთის შემდეგ „ბარსამ" თამაშის შემობრუნება ველარ შეძლო, ამისთვის დრო აღარ დარჩა.

მატჩის შემდეგ ლუის ვან გაალს კონკრეტულად არც ერთი ფეხბურთელი არ გაუკრიტიკებია. მან დამარცხებაში მთელი გუნდი დაადანაშაულა. წაგების მიზეზი უდისციპლინობაა. ფეხბურთელები არასაკმარისი ენთუზიაზმით თამაშობდნენ. გოლები მცველთა შეცდომების გამო გავიდა, მაგრამ ყველაფერს მხოლოდ მათ ვერ დავაბრალებ. ნახევარმცველები და თავდამსხმელები ძალიან ხშირად და გაუმართლებლად კარგავდნენ ბურთს. ამან კი მოწინააღმდეგეს ჩვენზე ზეწოლის საშუალება მისცა" — თქვა ჰოლანდიელმა.

დამარცხების შემდეგ „ბარსელონა" გათამაშების ცხრილში მეექვსეა. გუნდმა 15 მატჩში 22 ქულა დაკარგა — სუპერკლუბისთვის ეს მეტისმეტია.

კატალონიელთა მარცხით თუ ვინმემ გაიხარა, ეს პირველ ყოვლისა გალისიური „დეპორტივოა". ამ გუნდმა „ბარსასთან" სხვაობა ათ ქულამდე გაზარდა, უახლოეს მდევარს კი ხუთი ქულით უსწრებს. ლაკორუნიელებმა ამისთვის მადლობა სანსებასტიანელ ხოსე ფელიქს გერეროს უნდა უთხრან. „რეალ სოსიედადის" და „დეპორტივოს" მატჩში ერთადერთი გოლი 37-ე წუთზე ბასკმა ფეხბურთელმა საკუთარ კარში შეაგდო. გეროს საჩუქარი მით უფრო დასაფასებელია, რომ „დეპორტივოს" თამაშს საუკეთესო ნამდვილად არ ეთქმოდა.

წინა ტურის გმირ „სარაგოსას" „სანტიაგო ბერნაბეუზე" სამეფო კლუბის ძლევა ისე არ გასჭირვებია, როგორც შინ „ნუმანსიასთვის" ერთი ქულის წართმევა. სტუმრები შეხვედრაში სამჯერ დაწინაურდნენ. „სარაგოსამ" სამჯერვე გაათანაბრა. მატჩში ორ-ორი გოლი მასპინძელთაგან იორდი გონსალესმა, ხოლო სტუმართაგან რუბენ ნავარომ შეაგდეს. თითოჯერ მარტინ ველისკამ და კონსტანტინ ბარბუმ იხეირეს. სარაგოსელებმა 26 ქულა დააგროვეს, მესამე ადგილზე არიან და ლიდერს შვიდი ქულით ჩამორჩებიან.

„სარაგოსას" ფრედ ნათამაშევმა მატჩმა „სელტას" მეორე ადგილი შეუნარჩუნა. ვიგოელებმა შინ ბილბაოს „ატლეტიკის" დამარცხება ვერ შეძლეს. 43-ე წუთზე მარიო ტურდოს გატანილი გოლი მეორე ტაიმში ბასკმა სანელი ესკერომ გაქვითა.

პრიმერა დივიზიონის ახალწვეულის — „რაიო ვალეკანოს" წარმატებულ სტარტს ბევრი დროებით მოვლენად მიიჩნევდა. მართლაც, მადრიდულმა გუნდმა პოზიციები ნელ-ნელა დათმო და ამას წინათ ზედიზედ ოთხი წარუმატებელი მატჩი გამართა. მიუხედავად ამისა, „რაიო" [illegible] მე-15 ტურში მან „მალაგას" [illegible] გო და მეოთხე ადგილზეა. მალაგელთა კარში გოლები [illegible] ჟან [illegible] ერნანდესმა, [illegible] ლორენსმა და მანუელ კანაბალმა გაიტანეს. მათგან ბოლო სამი თავურით გავიდა. სტუმართაგან ბრაზილიელმა თავდამსხმელმა კატანიამ შეაგდო. ეს გოლი „მალაგას", ცხადია, ვერ დაეხმარა, თუმცა კატანიასთვის მნიშვნელოვანი იყო. ბრაზილიელი 11 ბურთით ბომბარდირთა დავაში მეოთხეა.

კარგად ვიცით, მადრიდის „ატლეტიკოს" პრეზიდენტი ხესუს ხილი შარიანი კაცია და ოდნავ წაფორხილებასაც კი საშინლად აღიქვამს. საინტერესოა, ახლა როგორ ხასიათზეა სენიორ ხილი. „ატლეტიკომ" რვაკაციან „ვალენსიას" ვერაფერი მოუხერხა. მე-16 წუთზე გაისკა მენდიეტამ სტუმრები დააწინაურა. 10 წუთის შემდეგ მადრიდელთა ბომბარდირმა ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკმა წონასწორობა აღადგინა. შესვენების შემდეგ „ვალენსია" კვლავ დაწინაურდა. გოლი 53-ე წუთზე ხუან სანჩესმა შეაგდო. საინტერესო ამბები ამის შემდეგ მოხდა. მსაჯმა ჯერ ორი ვალენსიელი — ხერარდ ლოპესი და ამადეო კარბონი გააძევა. მატჩის მიწურულს მათ გზას ვალენსიელთა კერპი კლაუდიო ლოპესიც გაუდგა. „ატლეტიკო" გაათორებით უტევდა. სტადიონზე შეკრებილი 25 ათასი მადრიდელი ქომაგი გოლს ელოდა, მაგრამ „ვალენსიამ" გაძლო და თამაშიც მოიგო.

ბოლოსთვის მადრიდის „რეალი" მოვიტოვეთ. რაულის გოლს მატჩის მიწურულს, 82-ე წუთზე, რასინგელმა ვივარ დორადომ საპასუხო მიაყოლა და შეხვედრა ფრედ 1:1 დასრულდა. ვინც ეს თამაში ნახა, შეიძლება სამართლიანად მოეჩვენება — „რეალი" მოგებას არ იმსახურებდა. თუმცა „სამეფო კლუბმა" მოპოვებული ერთი ქულით მაინც ისარგებლა. მადრიდელებმა გათამაშების ცხრილში ორი საფეხურით წინ წაიწიეს და მეჩვიდმეტედან მეთხუთმეტე ადგილზე აღზევდნენ (ცხადია, ესეც ხუმრობით).

**გიორგი დარჯანია**

### მეორე დივიზიონი

XVIII ტური

**კომპოსტელა 1:1 ვილიარეალი**

0:1 კრაიოვეანუ (64), 1:1 ლეკუმბერი (73)

**ატლეტიკო B 0:1 სპორტინგი**

0:1 ალბერტო (55)

**სალამანკა 2:1 ალბასეტე**

0:1 საბასი (64), 1:1 კიკე მარტინი (85), 2:1 მუნტეანუ (92)

**ოსასუნა 2:0 ლევანტე**

1:0 მატეო (33), 2:0 პალასიოსი (35)

**ლოგრონიესი 1:0 ხეტაფე**

1:0 კაბესა (51)

**ლას პალმასი 1:1 ეიბარი**

1:0 ელოი (16), 1:1 ირასოკი (63)

**ლეგანესი 0:4 ტენერიფე**

0:1 ბარატა (32), 0:2 მისტა (44), 0:3, 0:4 ბარატა (59, 73)

**ტოლედო 2:0 ესტრემადურა**

1:0, 2:0 დავიდი (13, 55)

**მერიდა 2:0 უელვა**

1:0 პრიეტო (13), 2:0 ალექსი (64)

**ლეიდა 2:2 ბადახოსი**

0:1 კარლოს ტორესი (65), 0:2 ბრაკამონტე (78), 1:2, 2:2 ხოსემი (85, 88)

**კორდობა 2:1 ელჩე**

1:0 არნაუ (24), 1:1 ედუ გარსია (37), 2:1 დიეგო რიბერა (49)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სალამანკა | 18 | 12 | 4 | 2 | 31:14 | 40 |
| ლევანტე | 18 | 10 | 4 | 4 | 34:26 | 34 |
| ესტრემადურა | 18 | 9 | 4 | 5 | 19:17 | 31 |
| ტენერიფე | 18 | 9 | 3 | 6 | 29:20 | 30 |
| სპორტინგი | 18 | 9 | 2 | 7 | 26:21 | 29 |
| ლას პალმასი | 18 | 8 | 4 | 6 | 27:20 | 28 |
| მერიდა | 18 | 7 | 6 | 5 | 22:17 | 27 |
| ბადახოსი | 18 | 5 | 11 | 2 | 17:14 | 26 |
| ეიბარი | 18 | 6 | 7 | 5 | 28:25 | 25 |
| ხეტაფე | 18 | 7 | 4 | 7 | 18:18 | 25 |
| ვილიარეალი | 18 | 6 | 6 | 6 | 25:20 | 24 |
| ალბასეტე | 18 | 6 | 6 | 6 | 20:24 | 24 |
| ლეიდა | 18 | 6 | 5 | 7 | 29:25 | 23 |
| ელჩე | 18 | 5 | 7 | 6 | 20:23 | 22 |
| ოსასუნა | 18 | 7 | 1 | 10 | 17:20 | 22 |
| ლოგრონიესი | 18 | 5 | 6 | 7 | 25:26 | 21 |
| კომპოსტელა | 18 | 5 | 6 | 7 | 26:28 | 21 |
| კორდობა | 18 | 5 | 6 | 7 | 19:23 | 21 |
| უელვა | 18 | 6 | 3 | 9 | 16:25 | 21 |
| ლეგანესი | 18 | 4 | 6 | 8 | 16:31 | 18 |
| ატლეტიკო B | 18 | 4 | 3 | 11 | 19:29 | 15 |
| ტოლედო | 18 | 3 | 4 | 11 | 11:28 | 13 |

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | დეპორტივო | 15 | 10 | 3 | 2 | 31:17 | 14 | 33 | 7 | 6 | 0 | 1 | 20:9 | 11 | 18 | 8 | 4 | 3 | 1 | 11:8 | 3 | 15 |
| 2 | სელტა | 15 | 9 | 1 | 5 | 22:16 | 6 | 28 | 8 | 6 | 1 | 1 | 14:6 | 8 | 19 | 7 | 3 | 0 | 4 | 8:10 | -2 | 9 |
| 3 | სარაგოსა | 15 | 7 | 5 | 3 | 28:15 | 13 | 26 | 8 | 5 | 3 | 0 | 20:7 | 13 | 18 | 7 | 2 | 2 | 3 | 8:8 | 0 | 8 |
| 4 | რაიო | 15 | 8 | 1 | 6 | 24:21 | 3 | 25 | 8 | 4 | 0 | 4 | 14:13 | 1 | 12 | 7 | 4 | 1 | 2 | 10:8 | 2 | 13 |
| 5 | ალავესი | 15 | 7 | 3 | 5 | 19:17 | 2 | 24 | 8 | 5 | 2 | 1 | 11:6 | 5 | 17 | 7 | 2 | 1 | 4 | 8:11 | -3 | 7 |
| 6 | ბარსელონა | 15 | 7 | 2 | 6 | 33:24 | 9 | 23 | 7 | 5 | 1 | 1 | 19:7 | 12 | 16 | 8 | 2 | 1 | 5 | 14:17 | -3 | 7 |
| 7 | მალიორკა | 15 | 6 | 4 | 5 | 22:21 | 1 | 22 | 8 | 5 | 2 | 1 | 15:9 | 6 | 17 | 7 | 1 | 2 | 4 | 7:12 | -5 | 5 |
| 8 | ვალენსია | 15 | 6 | 3 | 6 | 20:15 | 5 | 21 | 7 | 4 | 1 | 2 | 12:5 | 7 | 13 | 8 | 2 | 2 | 4 | 8:10 | -2 | 8 |
| 9 | ბილბაო | 15 | 5 | 6 | 4 | 21:22 | -1 | 21 | 7 | 3 | 3 | 1 | 12:9 | 3 | 12 | 8 | 2 | 3 | 3 | 9:13 | -4 | 9 |
| 10 | ნუმანსია | 15 | 5 | 5 | 5 | 23:26 | -3 | 20 | 7 | 4 | 3 | 0 | 14:7 | 7 | 15 | 8 | 1 | 2 | 5 | 9:19 | -10 | 5 |
| 11 | ბეტისი | 15 | 6 | 2 | 7 | 15:26 | -11 | 20 | 7 | 5 | 1 | 1 | 9:6 | 3 | 16 | 8 | 1 | 1 | 6 | 6:20 | -14 | 4 |
| 12 | ესპანიოლი | 15 | 5 | 4 | 6 | 24:24 | 0 | 19 | 8 | 3 | 3 | 2 | 13:11 | 2 | 12 | 7 | 2 | 1 | 4 | 11:13 | -2 | 7 |
| 13 | რასინგი | 15 | 4 | 6 | 5 | 23:23 | 0 | 18 | 8 | 1 | 6 | 1 | 12:10 | 2 | 9 | 7 | 3 | 0 | 4 | 11:13 | -2 | 9 |
| 14 | სოსიედადი | 15 | 4 | 5 | 6 | 19:21 | -2 | 17 | 8 | 4 | 1 | 3 | 14:12 | 2 | 13 | 7 | 0 | 4 | 3 | 5:9 | -4 | 4 |
| 15 | რეალი | 15 | 3 | 8 | 4 | 24:27 | -3 | 17 | 7 | 1 | 3 | 3 | 12:16 | -4 | 6 | 8 | 2 | 5 | 1 | 12:11 | 1 | 11 |
| 16 | ატლეტიკო | 15 | 5 | 2 | 8 | 23:29 | -6 | 17 | 8 | 3 | 1 | 4 | 11:12 | -1 | 10 | 7 | 2 | 1 | 4 | 12:17 | -5 | 7 |
| 17 | მალაგა | 15 | 4 | 4 | 7 | 24:27 | -3 | 16 | 7 | 3 | 2 | 2 | 15:9 | 6 | 11 | 8 | 1 | 2 | 5 | 9:18 | -9 | 5 |
| 18 | ვალიადოლიდი | 15 | 4 | 4 | 7 | 14:22 | -8 | 16 | 7 | 4 | 0 | 3 | 10:10 | 0 | 12 | 8 | 0 | 4 | 4 | 4:12 | -8 | 4 |
| 19 | ოვიედო | 15 | 3 | 5 | 7 | 12:22 | -10 | 14 | 7 | 3 | 2 | 2 | 5:4 | 1 | 11 | 8 | 0 | 3 | 5 | 7:18 | -11 | 3 |
| 20 | სევილია | 15 | 2 | 7 | 6 | 16:22 | -6 | 13 | 8 | 2 | 5 | 1 | 10:7 | 3 | 11 | 7 | 0 | 2 | 5 | 6:15 | -9 | 2 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| მილოშევიჩი (სარაგოსა) | 15 |
| სალვა (რასინგი) | 15 |
| ჰასელბაინკი (ატლეტიკო) | 12 |
| კატანია (მალაგა) | 11 |
| მაკაი (დეპორტივო) | 9 |
| ტრისტანი (მალიორკა) | 9 |

**VI ტური**

19 დეკემბერი

ბეტისი — მალიორკა
ვალიადოლიდი — ალავესი
რეალი — ესპანიოლი
ნუმანსია — რასინგი
ბილბაო — სარაგოსა
დეპორტივო — სელტა
მალაგა — სოსიედადი
ვალენსია — რაიო
ბარსელონა — ატლეტიკო
ოვიედო — სევილია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპის ჩემპიონატი

UEFA EURO 2000

## ბელგია — ჰოლანდია 2000

### A ჯგუფი

გერმანია
რუმინეთი
პორტუგალია
ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 ივნისი, | ლიეჟი | გერმანია — რუმინეთი |
| | ეინდჰოვენი | პორტუგალია — ინგლისი |
| 17 ივნისი, | არნემი | რუმინეთი — პორტუგალია |
| | შარლერუა | ინგლისი — გერმანია |
| 20 ივნისი, | როტერდამი | პორტუგალია — გერმანია |
| | შარლერუა | ინგლისი — რუმინეთი |

### B ჯგუფი

ბელგია
შვედეთი
თურქეთი
იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 10 ივნისი, | ბრიუსელი | ბელგია — შვედეთი |
| 11 ივნისი, | არნემი | თურქეთი — იტალია |
| 14 ივნისი, | ბრიუსელი | იტალია — ბელგია |
| 15 ივნისი, | ეინდჰოვენი | შვედეთი — თურქეთი |
| 19 ივნისი, | ბრიუსელი | თურქეთი — ბელგია |
| | ეინდჰოვენი | იტალია — შვედეთი |

### მეოთხედფინალი

24 ივნისი, ამსტერდამი **B2-A1**

24 ივნისი, ბრიუსელი **B1-A2**

UEFA EURO 2000

### C ჯგუფი

ესპანეთი
ნორვეგია
იუგოსლავია
სლოვენია

| | | | |
|---|---|---|---|
| 13 ივნისი, | როტერდამი | ესპანეთი — ნორვეგია |
| | შარლერუა | იუგოსლავია — სლოვენია |
| 18 ივნისი, | ამსტერდამი | სლოვენია — ესპანეთი |
| | ლიეჟი | ნორვეგია — იუგოსლავია |
| 21 ივნისი, | არნემი | სლოვენია — ნორვეგია |
| | ბრიუგე | იუგოსლავია — ესპანეთი |

### D ჯგუფი

ჰოლანდია
ჩეხეთი
საფრანგეთი
დანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 11 ივნისი, | ამსტერდამი | ჰოლანდია — ჩეხეთი |
| | ბრიუგე | საფრანგეთი — დანია |
| 16 ივნისი, | ბრიუგე | ჩეხეთი — საფრანგეთი |
| | როტერდამი | დანია — ჰოლანდია |
| 21 ივნისი, | ამსტერდამი | საფრანგეთი — ჰოლანდია |
| | ლიეჟი | დანია — ჩეხეთი |

### მეოთხედფინალი

25 ივნისი, როტერდამი **C2-D1**

25 ივნისი, ბრიუგე **C1-D2**

### ნახევარფინალი

28 ივნისი, ბრიუსელი **C1-D2 — B2-A1**

29 ივნისი, ამსტერდამი **B1-A2 — C2-D1**

### ფინალი

2 ივლისი, როტერდამი



A ჯგუფის ნაკრებთა მწვრთნელები (მარცხნიდან): კევინ კიგანი — ინგლისი, დუმიტრუ მურარუ (ასისტენტი) — რუმინეთი, მანუელ უმბერტო კოელიუ — პორტუგალია, ერიხ რიბეკი — გერმანია



B ჯგუფის ნაკრებთა მთავარი მწვრთნელები (მარცხნიდან): რობერტ ვასეიგე — ბელგია, მუსტაფა დენიზლი — თურქეთი, ტომი სოდერბერგი — შვედეთი, დინო ძოფი — იტალია

# ნაცნობები

## ევრო 2000-ის ფინალური ეტაპის კენჭისყრამ მსოფლიოს პირველობისგან ოთხი წყვილი ისესხა

მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრაზე, ტოკიოში, 7 დეკემბერს, მე-9 ჯგუფში ინგლისისა და გერმანიის თავმოყრამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია და მაშინვე ითქვა, სეირი ის იქნება, 12-ში, ბრიუსელში, ევრო 2000-ის ფინალური ეტაპის კენჭისყრაზე ეს ქვეყნები ისევ ერთად თუ განაწილდებიანო. ისე ყველაფერი აგიხდეთ...

მაშ ასე, A ჯგუფი: გერმანია, რუმინეთი, პორტუგალია და ინგლისი.

ინგლისელთა და გერმანელთა შეხვედრა 17 ივნისს ბელგიის ქალაქ შარლერუაში გაიმართება.

შეჯიბრების დირექტორს, ალან კურტოს ჰკითხეს, გამოიწვევს თუ არა რაიმე გართულებებს ამხელა მნიშვნელობის შეხვედრის პატარა ქალაქში ჩატარება.

„შეხვედრის სხვაგან გადატანის მიზეზს ვერ ვხედავ. სტადიონი 30 ათას ადამიანს იტევს და, შესაბამისად, 30 ათასი ბილეთი გაიყიდება. სარბიელზე უბილეთოდ ვერავინ შევა. მეტიც, ახლოსაც არავის მიუშვებენ. ეჭვიც არ მეპარება, რომ შარლერუა ამოცანას თავს საუცხოოდ გაართმევს.

ჩვენ ძალიან დიდხანს ვემზადებოდით და დღეს, როდესაც კენჭისყრა უკვე ჩატარებულია, ცხადად ვგრძნობ, რომ შეჯიბრება ახლოს არის".

ბოლო 10 წლის განმავლობაში ინგლისმა გერმანიასთან ორ დიდ შეჯიბრებაში წააგო პენალტებით. ეს იყო 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, ნახევარფინალში და 1996 წლის ევროპის პირველობის იმავე ეტაპზე. გარდა ამისა, ინტრიგას მატებს ის გარემოებაც, რომ ეს ორი ქვეყანა ერთმანეთს 2006 წლის მსოფლიოს პირველობის მასპინძლობას ეცილება.

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი: გარდა ინგლისისა და გერმანიისა, ევროპის ჩემპიონატმა მსოფლიოს პირველობის სხვა სამი წყვილიც გაიმეორა, დანია და ჩეხეთი, იუგოსლავია და სლოვენია და შვედეთი და თურქეთი. გარდა ამისა, ნორვეგია და სლოვენია აგრეთვე პორტუგალია და რუმინეთი ის წყვილები გახლავან, ევრო 2000-ის შესარჩევ ეტაპზეც რომ ებრძოდნენ ერთმანეთს.

ჩემპიონი, გერმანია, პირველ თამაშს 12 ივნისს, ლიეჟში ჩაატარებს. მისი მეტოქე რუმინეთი იქნება. ამის შემდეგ გერმანელები ინგლისელებს შეხვდებიან, ხოლო ბოლოს, 20 ივნისს, როტერდამში პორტუგალიას გაეჯიბრებიან.

„არ მჯერა, რომ აქაც ინგლისთან გვიწევს თამაში. ეს ცოტა გასაკვირიც კი გახლავთ, მაგრამ უკმაყოფილო არ ვარ, რადგან ამ ქვეყანასთან შეჯიბრება ნათლად გვაჩვენებს, რა ადგილი გვიკავია საერთაშორისო სარბიელზე. შეიძლება მოვიგოთ, შეიძლება წავაგოთ კიდეც. მგონი, ინგლისის მაგვარ ცნობილ გუნდთან თამაში უცნობთან შეჯიბრებას უნდა სჯობდეს კიდეც" — ბრძანა გერმანიის ეროვნული გუნდის თავკაცმა ერიხ რიბეკმა.

მისმა ინგლისელმა კოლეგამ, კევინ კიგანმა კი განაცხადა: „ოთხ დღეში ორჯერ გერმანიას შევხვდით, მაგრამ როგორც ჩვენ, ასევე მეტოქეს რალაც-რალაცეები დასამტკიცებელი გვაქვს და ამიტომ კენჭისყრის შედეგებზე წუწუნს დიდი აზრი არ აქვს. ჩვენ ძლიერი ჯგუფი გვერგო, მაგრამ სხვებს რომ ვუყურებ, ისინიც ძალიან ძლიერები არიან. ვგონებ, როგორც შეგვიძლია, ისე თუ ვითამაშებთ, ჯგუფიდან გავაღწევთ".

პორტუგალიის ნაკრების თავკაცი უმბერტო კოელიუ: „გერმანია ყოველთვის ძლიერია. მნიშვნელობა არ აქვს, როგორ ითამაშა მან სხვა შეხვედრებში, მას ყოველი კონკრეტული მატჩის მოგება შეუძლია. რაც შეეხება ინგლისს, იგი ერთ დღეს რომ ჩინებულად გამოდის, მეორეში იმის ჩრდილადაც აღარ ღირს, ხოლო რუმინეთს შესარჩევში ვეთამაშეთ და მის შესახებ ყველაფერი კარგად მოგვეხსენება. ბუნებრივია, ევროპის პირველობაზე მხოლოდ ძლიერები არიან შეკრებილნი, მაგრამ ვგონებ, პორტუგალიელებს სამივე თანაჯგუფელის დამარცხება შეგვიძლია.

რუმინელთაგან კენჭისყრას ასისტენტი მწვრთნელი დუმიტრუ მურარუ ესწრებოდა: „ჩვენ ინგლისელებს 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოვუგეთ, მაგრამ ეს უკვე ისტორიის კუთვნილებაა. თუ თითოეულ შეხვედრას ფინალივით მივუდექით, წესით, არ უნდა გაგვიჭირდეს. ბევრი ამბობს, რომ ინგლისი დასუსტდა, მაგრამ ამას ვერ დავიჯერებ და კარგად ვიცი, რომ მათთან შეხვედრა უძნელესი იქნება" — ბრძანა მან.

B ჯგუფში ბედმა ბელგია, შვედეთი, თურქეთი და იტალია შეჰყარა.

„ერთ მეტოქესაც ვერ ჩავთვლი სუსტად" — განაცხადა იტალიელთა თავკაცმა დინო ძოფმა — „ხომ გახსოვთ, თურქულმა გუნდმა, „გალათასარაიმ" ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში „მილანს" აჯობა, ხოლო უეფას თასზე, ახლახან, „ბოლონიას" სძლია. ჩვენ ყველა შეხვედრას უკიდურესად სერიოზულად მივუდგებით და არ დავივიწყებთ, რომ ევროპის პირველობის ფინალურ ეტაპზე 16 უძლიერესი გუნდი ასპარეზობს".

ევრო 2000-ის შესარჩევი ეტაპის ერთ-ერთმა ტრიუმფატორმა, ესპანეთის ნაკრებმა C ჯგუფში ამოჰყო თავი. მასთან ერთად მოხვდნენ ნორვეგია, იუგოსლავია და სლოვენია.

„პირველ ეტაპზეც კი არ ვფიქრობთ ერთიანად. ჩვენ მნიშვნელობას ყოველ კონკრეტულ შეხვედრას მივანიჭებთ. ჯგუფი საკმაოდ ძლიერია და მდგომარეობა ერთიორად დაგვიმძიმდება, თუ გულშემატკივარი დიდი იმედით დაგვამძიმებს.

უნდა ვაღიარო, რომ იღბალმა გაგვიღიმა კიდეც. ხომ შეიძლებოდა, ინგლისი ან იტალია შეგვხვედროდა, თუმცა, ვიმეორებ, ვინც გვერგო, ძალიან ძლიერია" — ასეთი გახლდათ ესპანეთის ნაკრების თავკაცის, ხოსე ანტონიო კამაჩოს კომენტარი.

ნორვეგიელთა მწვრთნელმა, ნილს იოჰან სემბმა თქვა: „ამ შეჯიბრებაში, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვაში, შემტევი ფეხბურთის სათამაშოდ ვართ ჩართულნი, მაგრამ მიზნის მისაღწევად ერთსულოვანი გუნდი გვჭირდება. მოკლედ, მე გუნდის ფილოსოფიას არ შევცვლი. ვგონებ, ჯგუფში ყველაზე ძლიერი გუნდი და ფავორიტი ესპანეთის ნაკრები [illegible] რის დიდი [illegible].

მწვრთნელად [illegible] იუგო[illegible] კი ბრძანა: „მე გუნდში ბევრი დიდებული მოთამაშე მყავს, რომლებიც ყველგან თამაშობენ იუგოსლავიის გარდა. ეს, ბუნებრივია, საქმეს მირთულებს, რადგან ახლა გუნდი ცალკეული შეხვედრისთვის კი არა, ტურნირისთვის უნდა მოემზადოს, ოღონდ თუ შევძელით, მერე რა მოხდება, კაცმა არ იცის. შიშით არავისი გვეშინია. საინტერესოა, რომ ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი, კამაჩოცა და სლოვენი სრეჩკო კატანეციც ჩემი ფეხბურთელები იყვნენ, როდესაც მე მათ გუნდებს ვედექი სათავეში".

სრეჩკო კატანეცი, სლოვენია: „ფინალურ ეტაპზე თამაში ჩვენთვის უკვე ტრიუმფია. სლოვენმა ფეხბურთელებმა თავისი უკვე გააკეთეს და ამიტომ, ახლა, ყოველგვარი ნერვიულობის გარეშე ვისიამოვნებთ ევროპის პირველობაზე საკუთარი მონაწილეობით".

დაბოლოს, ჯგუფი D, ჩვენი აზრით, უძლიერესი: ჰოლანდია, ჩეხეთი, საფრანგეთი და დანია. არ არის გამორიცხული, რომ ევროპის მომავალი ჩემპიონი სწორედ აქ იყოს ჩამალული.

ჰოლანდიელთა მწვრთნელმა, ფრანკ რაიკარდმა განაცხადა: „ჩვენ ძალიან ძლიერ ჯგუფში მოვხვდით, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ამხანაგურ შეხვედრებში ნათამაშევ ფრეებს ოფიციალურ მატჩებში მოგებებად გარდავქმნით. ჩეხებს უძლიერესი გუნდი ჰყავთ, რომელმაც 10 შესარჩევ შეხვედრაში გაიმარჯვა, თუმცა მე საკუთარი ფეხბურთელებისა მწამს. დიდი პრობლემაა საფრანგეთიც. მას ყველაფერი აქვს, ტექნიკა, ფიზიკური მომზადების მაღალი დონე და გამარჯვების სულისკვეთება. მოკლედ, ესაა ჯგუფი, რომელშიც თითოეულ გუნდს შესწევს გამარჯვების უნარი".

ჩეხთა თავკაცი იოჟეფ ჰოვანეცი: „უძნელესი ჯგუფია, მაგრამ ჩემი გუნდი ყველაფრისთვის მზად გახლავთ. ბიჭებმა შესარჩევ შეჯიბრებაში საკუთარი ძალა ირწმუნეს. ახლა ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა დავხვეწოთ ოსტატობა და არ დავივიწყოთ, რომ ინგლისში, ოთხი წლის წინ ვიცე-ჩემპიონები ვიყავით. ამ ჯგუფში შანსი უკლებლივ ყველას აქვს".

საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი როჟე ლემერი: „ჰოლანდიელები ჩვენს მსგავს ფეხბურთს თამაშობენ. ასეთი რამ კი ყოველთვის სირთულეებთან არის დაკავშირებული. თუმცა, საფრანგეთის ნაკრები კვლავაც ძლიერი გუნდია. ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონები გახლავართ და შიშით ნამდვილად არავისი გვეშინია".

დანიელი ბო იოჰანსონი: „უძლიერეს ჯგუფში მოვხვდით. ჩემი აზრით, ფავორიტები საფრანგეთი და ჰოლანდია არიან, მაგრამ ჯგუფიდან გასვლის შანსი, ბუნებრივია, ჩვენც გვაქვს. ვგონებ, პირველი თამაში საფრანგეთთან რომ გვაქვს, კარგიც არის. ჩვენ შეგვიძლია მას სიურპრიზი შევთავაზოთ".

**მიხეილ სურგულაძე**




REUTERS ბრიუსელიდან



REUTERS ბრიუსელიდან

C ჯგუფის ნაკრებთა მთავარი მწვრთნელები (მარცხნიდან): ხოსე ანტონიო კამაჩო — ესპანეთი, ნილს იოჰან სემბი — ნორვეგია, ვუიადინ ბოშკოვი — იუგოსლავია, სრეჩკო კატანეცი — სლოვენია



D ჯგუფის ნაკრებთა მთავარი მწვრთნელები (მარცხნიდან): ბო იოჰანსონი დანია, როჟე ლემერი — საფრანგეთი, იოჟეფ ჰოვანეცი — ჩეხეთი, ფრანკ რაიკარდი — ჰოლანდია




REUTERS მეცილან

მეცი — პსჟ 1:3. მასპინძელი ფილიპ ჟალო (№3) პარიზელი კრისტიან დიონისიოს წინააღმდეგ

## საფრანგეთი

XIX ტური

**ბასტია 1:0 მონაკო**

1:0 მენდი (85)

**მეცი 1:3 პსჟ**

0:1, 0:2 კრისტიანი (16, 18), 1:2 იესტროვიჩი (57), 1:3 კრისტიანი (78)

**სენტ ეტიენი 5:1 მარსელი**

1:0 ალექსი (5), 2:0 პოტილიონი (17), 3:0, 4:0, 5:0 ალექსი (21, 26, 62), 5:1 დალმა (90)

**რენი 1:2 ლიონი**

0:1 მალბრანკი (18), 1:1 ბარდონი (24), 1:2 ანდერსონი (73)

**სედანი 1:1 ოსერი**

0:1 გივარში (27), 1:1 კრონიე (33)

**ტრუა 2:0 ბორდო**

1:0 ს. ჟუკიჩი (42), 2:0 გაზი (60)

**მონპელიე 1:1 სტრასბური**

0:1 ერე (55), 1:1 დელაი (81)

**ლე ავრი 0:1 ნანსი**

0:1 კასკარინო (62პ)

**ლანსი — ნანტი**

დღეს გაიმართება

ბერნარ ტაპისეული „ოლიმპიკიდან" სახელიღა დარჩა. ამას მარსელელი გულშემატკივრებიც ხვდებიან და პროტესტსაც გამოთქვამენ. თუმცა, მათ პროტესტის ფორმა კარგად ვერ შეურჩევიათ. სენტ ეტიენში ჩასულმა „ოლიმპიკის" ფანატიკოსმა გულშემატკივრებმა შეხვედრის 26-ე წუთამდე ითმინეს. ამ დროს „სენტ ეტიენმა" თავისი უპირატესობა ოთხ ბურთამდე გაზარდა და მარსელის ქომაგებს მოთმინების ფიალა აევსოთ. აგლეჯილი სკამები, სხვადასხვა ზომის და ფორმის ბოთლები და კიდევ რამდენიმე დასახელების ნივთები — აი, იმ საგანთა ნუსხა, ტრიბუნებიდან მინდვრისკენ რომ გადაუძახეს. თამაში ათიოდე წუთით შეწყდა. გულშემატკივართა დაშოშმინების შემდეგ მოედანზე სიტუაცია არ შეცვლილა. „სენტ ეტიენს" გოლების საკმაო მარაგი ჰქონდა და თავს მშვიდად გრძნობდა. სტუმრებს კი ერთი ქულის მოპოვების იმედიც დაეკარგათ. მეორე ტაიმში ბრაზილიელმა თავდამსხმელმა ალექსმა მატჩის დებიუტში გაკეთებულ ჰეთ თრიქს მეოთხეც მიაყოლა და შეხვედრის გმირი გახდა.

90-ე წუთზე სტეფან დალმამ „სენტ ეტიენის" კარში ერთი გოლი კი შეაგდო, მაგრამ მარსელელთათვის ეს ვერაფერი ნუგეში გამოდგა. თამაშის შემდეგ სტუმართა გულშემატკივრები პოლიციის მრავალრიცხოვანმა რაზმმა გააცილა. სტატისტიკოსებმა კი ერთი საინტერესო ფაქტიც აღმოაჩინეს. „სენტ ეტიენს" „მარსელისთვის" აქამდე მთელი ოცი წლის განმავლობაში არ მოეგო. ასე რომ, ნავსი გატყდა, ოთხი გოლის გამტანმა ალექსმა მატჩის შემდეგ თქვა: „ეს გამარჯვება ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო. დღეს მშობლიურ „ჯეფრი გიშარდზე" ამ საუკუნის ბოლო შეხვედრა გვქონდა. ვფიქრობ, ქომაგებს მშვენიერი საჩუქარი გავუკეთეთ."

ჩემპიონატის ლიდერი „მონაკო" სტუმრად „ბასტიასთან" დამარცხდა. მონაკოელები მატჩის განმავლობაში, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ ხელსაყრელი მომენტები გოლად ვერ აქციეს. კორსიკელებმა ერთადერთი ბურთი შეხვედრის მიწურულს, 85-ე წუთზე შეაგდეს. მისი ავტორი ფრედერიკ მენდი გახდა. „ბასტია" საფრანგეთის ჩემპიონატში მონაწილეთაგან ერთადერთია, ვისაც საკუთარ მინდორზე არ წაუგია.

მარცხის მიუხედავად, „მონაკომ" ლიდერობა შეინარჩუნა. თუმცა პსჟ მას კიდევ სამი ქულით მიუახლოვდა. პარიზელმა კრისტიანმა „მეცის" კარში პირველი გოლი მე-16 წუთზე გაიტანა. სანამ მასპინძლები გონს მოეგებოდნენ, მანვე მეორეც შეაგდო. მეორე ტაიმში ნენად იესტროვიჩმა ერთი ბურთის გაქვითვა მოახერხა, მაგრამ 78-ე წუთზე იმავე კრისტიანმა ჰეთ თრიქი შასრულა და „მეცს" მოგების არანაირი შანსი აღარ დაუტოვა. ბრაზილიელი ფორვარდი მატჩის დასრულების შემდეგ ერთობ ბედნიერი იყო: „პარიზში თავს ჩინებულად ვგრძნობ, მაგრამ ჩემი თამაშით ასე კმაყოფილი აქამდე არ ვყოფილვარ" — თქვა მან.

„ლიონი", რომელიც ერთ დროს გათამაშების ცხრილს სათავეში ედგა, ახლა მესამეა. „რენთან" შეხვედრა „ლიონმა" სონი ანდერსონის გადამწყვეტი გოლის წყალობით მოიგო და ლიდერს ხუთი ქულით ჩამორჩება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 19 | 12 | 3 | 4 | 40:17 | 39 |
| პსჟ | 19 | 11 | 3 | 5 | 30:21 | 36 |
| ლიონი | 19 | 10 | 4 | 5 | 23:18 | 34 |
| ოსერი | 19 | 9 | 4 | 6 | 25:23 | 31 |
| სენტ ეტიენი | 19 | 8 | 5 | 6 | 30:27 | 29 |
| სედანი | 19 | 8 | 4 | 7 | 27:28 | 28 |
| ბორდო | 19 | 7 | 6 | 6 | 30:29 | 27 |
| მარსელი | 19 | 6 | 8 | 5 | 26:23 | 26 |
| რენი | 19 | 7 | 5 | 7 | 26:25 | 26 |
| ტრუა | 19 | 8 | 2 | 9 | 22:28 | 26 |
| ბასტია | 19 | 6 | 7 | 6 | 24:22 | 25 |
| მეცი | 19 | 4 | 11 | 4 | 22:19 | 23 |
| სტრასბური | 19 | 6 | 5 | 8 | 19:27 | 23 |
| ნანსი | 19 | 5 | 5 | 9 | 25:28 | 20 |
| ნანტი | 18 | 6 | 2 | 10 | 19:22 | 20 |
| ლანსი | 18 | 5 | 5 | 8 | 15:23 | 20 |
| ლე ავრი | 19 | 5 | 4 | 10 | 19:31 | 19 |
| მონპელიე | 19 | 3 | 5 | 11 | 20:31 | 14 |

### მეორე დივიზიონი

XXII ტური. აიაჩო — ლილი 0:1; შატორუ — სოშო 1:1; კრეტეი — ლავალი 2:0; ლე მანი — კაენი 0:0; ლუანი — გენიონი 1:1; ნიცა — ამიენი 0:0; ნიორი — კანი 1:1; ტულუზი — ლორიანი 5:0; ვასკეალი — ვალანსი 3:3; ნიმი — გენგამი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 22 | 16 | 3 | 3 | 32:12 | 51 |
| ტულუზი | 22 | 12 | 5 | 5 | 36:15 | 41 |
| კაენი | 22 | 9 | 10 | 3 | 29:15 | 37 |
| გენგამი | 22 | 10 | 7 | 5 | 37:29 | 37 |
| ლე მანი | 22 | 9 | 9 | 4 | 27:23 | 36 |
| ნიმი | 22 | 9 | 6 | 7 | 27:23 | 33 |
| ლავალი | 22 | 8 | 8 | 6 | 24:21 | 32 |
| გენიონი | 22 | 7 | 10 | 5 | 27:21 | 31 |
| სოშო | 22 | 8 | 5 | 9 | 25:25 | 29 |
| ნიცა | 22 | 5 | 13 | 4 | 15:14 | 28 |
| აიაჩო | 22 | 8 | 4 | 10 | 22:26 | 28 |
| ლორიანი | 22 | 8 | 4 | 10 | 21:25 | 28 |
| კრეტეი | 22 | 7 | 6 | 9 | 20:25 | 27 |
| შატორუ | 22 | 6 | 8 | 8 | 20:27 | 26 |
| კანი | 22 | 6 | 7 | 9 | 16:21 | 25 |
| ამიენი | 22 | 4 | 11 | 7 | 19:24 | 23 |
| ნიორი | 22 | 4 | 10 | 8 | 19:27 | 22 |
| ვასკეალი | 22 | 3 | 10 | 9 | 15:24 | 19 |
| ლუანი | 22 | 4 | 5 | 13 | 18:39 | 17 |
| ვალანსი | 22 | 2 | 9 | 11 | 21:34 | 15 |

## თურქეთი

XII ტური. ადანა — დენიზლი 3:2; ისთანბული — სამსუნი 0:1; გიოზთეფე — ფენერბაჰჩე 0:0; ბურსა — ერზურუმი 4:2; გალათასარაი — ბეშიქთაში 1:0; ტრაბზონი — ქოჯაელი 1:0; ანკარაგიუჯიუ — ვანი 1:0; გაზიანთეფი — ალთაი 1:0; ანთალია — გენჩლერბირლიგი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 11 | 8 | 2 | 1 | 23:8 | 26 |
| გაზიანთეფი | 12 | 7 | 2 | 3 | 16:8 | 23 |
| დენიზლი | 12 | 6 | 4 | 2 | 19:13 | 22 |
| ფენერბაჰჩე | 11 | 5 | 5 | 1 | 20:13 | 20 |
| ანთალია | 12 | 6 | 2 | 4 | 16:18 | 20 |
| ბეშიქთაში | 12 | 5 | 4 | 3 | 21:9 | 19 |
| ტრაბზონი | 12 | 5 | 4 | 3 | 17:12 | 19 |
| სამსუნი | 12 | 6 | 1 | 5 | 17:14 | 19 |
| ალთაი | 12 | 4 | 4 | 4 | 15:11 | 16 |
| გენჩლერბირ. | 12 | 4 | 3 | 5 | 13:17 | 15 |
| ერზურუმი | 12 | 4 | 2 | 6 | 18:24 | 14 |
| ისთანბული | 12 | 3 | 4 | 5 | 11:15 | 13 |
| გიოზთეფე | 12 | 3 | 4 | 5 | 9:14 | 13 |
| ადანა | 12 | 3 | 3 | 6 | 16:22 | 12 |
| ანკარაგიუჯიუ | 12 | 3 | 3 | 6 | 11:21 | 12 |
| ბურსა | 12 | 2 | 4 | 6 | 13:18 | 10 |
| ვანი | 12 | 2 | 4 | 6 | 14:20 | 10 |
| ქოჯაელი | 12 | 2 | 3 | 7 | 12:24 | 9 |

## პორტუგალია

XIV ტური

**ფარენსე 1:1 ბრაგა**

0:1 ტონი დუარტე (38), 1:1 მარინესკუ (82პ)

**სალგეირუში 0:0 ბელენენსეში**

**სანტა კლარა 2:2 კამპომაიორენსე**

0:1 ფორტესი (3), 1:1 გამბოა (16), 1:2 ველინგტონ სილვა (49), 2:2 პროკოპენკო (60)

**სპორტინგი 2:1 რიუ ავე**

1:0 კვამე (26), 2:0 ფრანჩესკი (31), 2:1 ბაროში (48)

**ამადორა 3:0 ალვერკა**

1:0, 2:0 ლაზარო ოლივეირა (32, 43), 3:0 რაულ ოლივეირა (50)

**ჟილ ვისენტე 1:3 ბოავიშტა**

1:0 სერხიო (9ს.კ.), 1:1 ესტევანი (11), 1:2, 1:3 ველიტონ სილვა (58, 76)

**მარიტიმუ 1:1 გიმარაეში**

0:1 რივა სილვა (50), 1:1 პიაჯიო (87)

**ბენფიკა — ლეირია**

**სეტუბალი — პორტუ**

წუხელ გვიან გაიმართა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგი | 14 | 9 | 3 | 2 | 22:12 | 30 |
| პორტუ | 13 | 8 | 4 | 1 | 24:7 | 28 |
| ბენფიკა | 13 | 8 | 3 | 2 | 19:8 | 27 |
| ბოავიშტა | 14 | 8 | 3 | 3 | 16:10 | 27 |
| მარიტიმუ | 14 | 7 | 4 | 3 | 18:10 | 25 |
| ჟილ ვისენტე | 14 | 7 | 2 | 5 | 20:14 | 23 |
| გიმარაეში | 14 | 6 | 4 | 4 | 22:17 | 22 |
| ამადორა | 14 | 5 | 6 | 3 | 17:14 | 21 |
| ბელენენსეში | 14 | 4 | 6 | 4 | 14:12 | 18 |
| ალვერკა | 14 | 5 | 2 | 7 | 13:18 | 17 |
| სანტა კლარა | 14 | 3 | 5 | 6 | 17:20 | 14 |
| ბრაგა | 14 | 4 | 2 | 8 | 18:22 | 14 |
| რიუ ავე | 14 | 3 | 5 | 6 | 16:22 | 14 |
| კამპომაიორენსე | 14 | 4 | 2 | 8 | 12:21 | 14 |
| სალგეირუში | 14 | 4 | 2 | 8 | 9:19 | 14 |
| ფარენსე | 14 | 2 | 6 | 6 | 9:23 | 12 |
| ლეირია | 13 | 2 | 4 | 7 | 9:15 | 10 |
| სეტუბალი | 13 | 2 | 3 | 8 | 11:22 | 9 |

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

## ბელგია

XVII ტური

**აალსტი 2:5 მუსკრონი**

0:1 ვანდერშეიგი (13), 0:2 ლოური (21), 1:2 ტიბო (52), 1:3, 1:4 ჟევლიაკოვი (54, 74), 2:4 ჟოზე ოლივეირა (79), 2:5 ლოური (90)

**ჰარელბეკე 3:4 სტანდარდი**

ჰარელბეკედან გაიტანეს: ჟვინგილასი, კაკუ, კ. ვერშოენი

სტანდარდიდან: ტისი, ე. მპენზა, აფოლაბი, მ. მპენზა

**ბრიუგე 4:0 გეელი**

1:0 ვერშეინი (16), 2:0 ბორკელმანსი (25), 3:0 ვერმანტი (82), 4:0 დე კოკი (87)

**სენტ ტრუიდენი 2:0 ლომელი**

1:0 მერტენსი, 2:0 ფიერსი

**ლოკერენი 5:1 ლიერსი**

1:0 ვონასეკი (61), 1:1 ჰიუსემსი (63), 2:1 მბაიო (68), 3:1 დაგო (72), 4:1, 5:1 იულა (83, 86)

**ანდერლეხტი 3:0 შარლერუა**

1:0 ზეტერბერგი (21პ), 2:0, 3:0 კოლერი (63, 86)

**მეხელენი 2:0 გენკი**

1:0 ვან გეემი (ს.კ.), 2:0 ჟოაო ელიასი

**ვესტერლო 4:2 გენტი**

1:0 ბრონო (26), 1:1 აარსტი (43), 2:1 იანსენსი (60), 2:2 იოლი (69), 3:2 სერნელსი (72), 4:2 კ. მილოშევიჩი (90)

**ბეერსხოტი 2:0 ბევერენი**

1:0 მუტავჯიჩი (23), 2:0 დეგრიზი (48)

ჩემპიონატის მორიგ ტურში ერთი აღსანიშნავი ფაქტი მოხდა — შაბათს გამართული შვიდი შეხვედრიდან ყველა მასპინძელი გუნდის გამარჯვებით დასრულდა, ხოლო კვირის ორ მატჩში სტუმრებმა იმარჯვეს.

ქართველი ლეგიონერის, გელა შეყილაძის „ლიერსი" სტუმრად 1:5 განადგურდა „ლოკერენთან", რის შედეგადაც ლიდერთა სამეულში ადგილი დაკარგა და მე-4 პოზიციაზე გადაინაცვლა. კლუბს ამჟამად 17 თამაშიდან 31 ქულა აქვს და პირველადგილოსან „ანდერლეხტს" 8 ქულით ჩამორჩება, თანაც, მასზე მატჩით მეტი აქვს ჩატარებული.

თავის მხრივ, „ანდერლეხტმა" შინ სოლიდურ გამარჯვებას მიაღწია „შარლერუასთან" — 3:0. ამ მოგებით გუნდმა 4 ქულით ჩამოიტოვა უახლოესი მდევარი „გენკი", რომელმაც შაბათს გასვლითი შეხვედრა დათმო „მეხელენთან" 0:2. მატჩში ფავორიტად გენკელები მიიჩნეოდნენ, მაგრამ მათ 55-ე წუთზე ბრანკო შტრუპარი გაუძევეს და მასპინძლებს წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს.

მოიგო საშინაო შეხვედრა „ბრიუგემაც", რომელსაც „ანდერლეხტის" მსგავსად ყველა გუნდზე ერთი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული და 16 შეხვედრიდან 32 ქულა მოუგროვებია. „ბრიუგემ" ამჯერად „გეელი" გაანადგურა და მეტოქეს ოთხი უპასუხო ბურთი გაუტანა. ინტერესს იწვევდა ცხრილის ზედა პოზიციებზე მყოფი გუნდების — „ვესტერლოსა" და „გენტის" ორთაბრძოლა, რომელიც საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა და მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა, 4:2. აღსანიშნავია, რომ ორჯერ დაწინაურებულ მასპინძლებს სტუმრებმა ორჯერვე გაუთანაბრეს, მაგრამ 72-ე წუთზე საკუთარ კარში მიღებული მესამე გოლს ვერაფერი მოუხერხეს და შედეგად 90-ეზე კიდევ ერთ გაუშვეს.

კვირის ორ შეხვედრაში საგარეო შეხვედრები მოიგეს ცხრილის შუაგულში დამკვიდრებულმა „მუსკრონმა" და „სტანდარდმა". მათ შესაბამისად 5:2 და 4:3 სძლიეს „აალსტს" და „ჰარელბეკეს". როგორც ხედავთ, ორივე მატჩი უხვგოლიანი გამოდგა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 16 | 12 | 3 | 1 | 45:19 | 39 |
| გენკი | 17 | 10 | 5 | 2 | 43:22 | 35 |
| ბრიუგე | 16 | 10 | 2 | 4 | 37:14 | 32 |
| ლიერსი | 17 | 9 | 4 | 4 | 30:20 | 31 |
| გენტი | 17 | 10 | 0 | 7 | 48:34 | 30 |
| ბეერსხოტი | 17 | 9 | 3 | 5 | 30:24 | 30 |
| ვესტერლო | 17 | 8 | 4 | 5 | 38:36 | 28 |
| სტანდარდი | 17 | 8 | 2 | 7 | 28:31 | 26 |
| მუსკრონი | 17 | 7 | 4 | 6 | 34:26 | 25 |
| აალსტი | 17 | 7 | 2 | 8 | 32:30 | 23 |
| მეხელენი | 17 | 6 | 3 | 8 | 24:40 | 21 |
| ლოკერენი | 17 | 5 | 5 | 7 | 31:34 | 20 |
| შარლერუა | 17 | 4 | 5 | 8 | 20:29 | 17 |
| ბევერენი | 17 | 3 | 5 | 9 | 21:35 | 14 |
| სტ. ტრუიდენი | 17 | 3 | 5 | 9 | 18:37 | 14 |
| ჰარელბეკე | 17 | 3 | 4 | 10 | 26:34 | 13 |
| ლომელი | 17 | 1 | 8 | 8 | 14:32 | 11 |
| გეელი | 17 | 1 | 8 | 8 | 11:33 | 11 |

## შვეიცარია

XXII ტური

**სენტ-გალენი 2:0 სერვეტი**

1:0 კონტინი (67), 2:0 [illegible] (90)

**ივერდონი 0:0 ლოზანა**

**ლუგანო 1:2 დელემონი**

0:1 ჰუში (3), 0:2 ფაბინიო (27), 1:2 ბასტიდა (89)

**ბაზელი 2:1 არაუ**

1:0 კანტალუპი (8), 1:1 სკრჟიპჩაკი (21), 2:1 კროიცერი (79პ)

**გრასჰოპერი 2:0 ლუცერნი**

1:0 ზემანი (14), 2:0 ეკოკუ (31)

**ქსამაქსი 1:1 ციურიხი**

0:1 ფიშერი (46), 1:1 ბიელი (50)

ციურიხი: პასკოლო, ანდრეოლი, შტოკლასა, ფიშერი, კვენტინი, ჯანინი, კებე, (სანტანა 83), ჯამარაული (კასტილიო 90), გასპოზი, ყაველაშვილი (ფრიკი 61), ბარტლეტი

„ციურიხმა" შვეიცარიის ჩემპიონატის პირველი ეტაპის ბოლო ტურში სტუმრად „ქსამაქსთან" ფრედ ითამაშა და რადგან „არაუმ" „ბაზელთან" წააგო, ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება ციურიხელებმა მოიპოვეს, თუმცა... შესაძლოა სხვაგვარად მოხდეს — ქსამაქსელებმა შვეიცარიის საფეხბურთო კავშირში პროტესტი შეიტანეს.

„ქსამაქსი" — „ციურიხის" შეხვედრა ის იყო, უნდა დაწყებულიყო, რომ მასპინძელთა ხელმძღვანელობამ ერთი დარღვევა შენიშნა — სტუმართა თავკაცმა რაიმონდო პონტემ მატჩის განაცხადში რვა უცხოელი ფეხბურთელი შეიყვანა, რომელთაგანაც ხუთი (მათ შორის გოჩა ჯამარაული და მიხეილ ყაველაშვილი) ათამაშა.

ქვეყნის საფეხბურთო კავშირის დებულებაში კი გარკვევით წერია, რომ თითოეულ კლუბს უფლება აქვს, განაცხადში შეიყვანოს არაუმეტეს შვიდი უცხოელი ფეხბურთელი, მინდორზე კი ერთდროულად ჰყავდეს არაუმეტეს ხუთისა. პონტეს პირველისგან განსხვავებით, მეორე წესი (მინდორზე უცხოელთა რაოდენობა) არ დაურღვევია.

მიუხედავად ამისა, მასპინძლებმა თამაშის დაწყებამდე პროტესტი შეიტანეს, რაც მატჩის შემდეგ კიდევ ერთხელ, ოფიციალურად აღნიშნეს. ახლა საბოლოო გადაწყვეტილებას შვეიცარიის საფეხბურთო კავშირი მიიღებს. „ციურიხის" ხელმძღვანელობას (ქართველი კლუბებისგან განსხვავებით) ჯერ არ განუცხადებია, 0:3 წაგების ჩათვლის შემთხვევაში დატოვებს თუ არა ჩემპიონატს, არც ისაა ცნობილი, წინააღმდეგ შემთხვევაში როგორ მოიქცევა „ქსამაქსი".

შვეიცარიული ფეხბურთის მამები ვერდიქტს ამ დღეებში გამოიტანენ.

ყოველივე ამის შემდეგ ზემოხსენებულ მატჩზე რამის თქმას, ალბათ, აზრი აღარ აქვს, მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ფიშერმა თავური გოლი ჯამარაულის კუთხურიდან ჩაწოდების შემდეგ გაიტანა. გოლის გატანა ქართველებსაც შეეძლოთ. ყაველაშვილს და ჯამარაულს ხელსაყრელი მომენტები კარგი ინდივიდუალური თამაშის წყალობით მიეცათ, თუმცა გადამწყვეტ მომენტში ვერ ივარგეს.

„არაუს" სტუმრად „ბაზელისთვის" რომ მოეგო, „ქსამაქსის" პროტესტს აზრი დაეკარგებოდა, მაგრამ ბაზელელებმა მეტოქეს არ დაუთმეს და 2:1 გაიმარჯვეს. არ არის გამორიცხული, „არაუმ" ჩემპიონატი მიატოვოს, რადგან 1:1-ზე მსაჯმა მასპინძელთა კარში ნაღდი პენალტი არ დანიშნა.

სხვა კლუბებს ჩემპიონატის მიტოვების საბაბი ჯერჯერობით არ მისცემიათ.

ვანო ოქროპირიძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ გალენი | 22 | 13 | 6 | 3 | 42:25 | 45 |
| ბაზელი | 22 | 9 | 10 | 3 | 31:21 | 37 |
| ლოზანა | 22 | 9 | 9 | 4 | 35:25 | 36 |
| გრასჰოპერი | 22 | 9 | 7 | 6 | 40:25 | 34 |
| ივერდონი | 22 | 7 | 9 | 6 | 28:25 | 30 |
| ლუცერნი | 22 | 8 | 4 | 10 | 28:29 | 28 |
| სერვეტი | 22 | 8 | 4 | 10 | 32:36 | 28 |
| ციურიხი | 22 | 6 | 9 | 7 | 22:27 | 27 |
| ქსამაქსი | 22 | 6 | 8 | 8 | 32:34 | 26 |
| არაუ | 22 | 7 | 5 | 10 | 30:42 | 26 |
| ლუგანო | 22 | 5 | 6 | 11 | 27:34 | 21 |
| დელემონი | 22 | 4 | 5 | 13 | 24:48 | 17 |

## ინგლისი

### ასოციაციის თასი. III ეტაპი

**ჩესტერი 1:4 მანჩესტერ სიტი**
0:1 გოტერი (19), 1:1 რიჩარდსონი (28), 1:2 ბიშოპი (78), 1:3 გოტერი (89), 1:4 დოუთი (90ს.კ.)

**ჰადერსფილდი 0:2 ლივერპული**
0:1 კამარა (36), 0:2 მატეო (59)

**ლიდსი 2:0 პორტ ვეილი**
1:0, 2:0 ბაკე (61, 68)

**შეფილდი 1:1 რაშდენ დაიმონდსი**
1:0 ბენტი (14), 1:1 ბრედი (44)

**ტოტენჰემი 1:1 ნიუკასლი**
1:0 ივერსენი (56), 1:1 სპიდი (77)

**ასტონ ვილა 2:1 დარლინგტონი**
1:0 კარბონე (43), 2:0 დაბლინი (63), 2:1 ჰიკინგბოთემი (71)

**ჩარლტონი 2:1 სუინდონი**
1:0 კინსელა (48), 1:1 გუდენი (54), 2:1 კინსელა (61)

**ქრიუ 1:2 ბრედფორდი**
0:1 ბლეიკი (53), 1:1 ლიტლი (75), 1:2 სონდერსი (83)

**დერბი ქაუნთი 0:1 ბარნსლი**
0:1 კუკი (63)

**ექსეტერი 0:0 ევერტონი**

**ფულემი 2:2 ლუთონი**
0:1 ჯორჯი (6), 1:1 ჰორსფილდი (11), 2:1 დევისი (14), 2:2 სპრინგი (82)

**გრიმსბი 3:2 სტოკპორტი**
1:0 ლივინგსტონი (34), 1:1 ბეილი (61), 1:2 მური (81), 2:2 ლივინგსტონი (89), 3:2 ალენი (90)

**ჰერეფორდი 0:0 ლესტერი**

**ჰალი 1:6 ჩელსი**
0:1 პოიეტი (8), 0:2 სატონი (30), 1:2 ბრაუნი (38), 1:3 პოიეტი (48), 1:4 დი მატეო (49), 1:5 პოიეტი (58), 1:6 უაიზი (90)

**ნორვიჩი 1:3 ქოვენთრი**
0:1 ვილანი (58), 1:1 ლევლინი (66), 1:2 რუსელი (76), 1:3 იუსტეჩი (84)

**პრესტონი 2:1 ოლდემი**
1:0 მაკენი (6), 2:0 ალექსანდერი (69პ), 2:1 ადამსი (85)

**ქუინზ პარკი 1:1 ტორკი**
1:0 უორდლი (9), 1:1 ობრაიენი (82)

**რედინგი 1:1 პლიმუთი**
1:0 მაკინტირი (37), 1:1 ჰარგრევსი (82)

**უენსდი 1:0 ბრისტოლი**
1:0 ბუთი (24)

**სანდერლენდი 1:0 პორტსმუთი**
1:0 მაკკანი (24)

**ტრანმერი 1:0 ვესტ ბრომვიჩი**
1:0 ჰენრი (21)

**უოლსოლი 1:1 ჯილინგემი**
0:1 საუთჰოლი (27), 1:1 რობინსი (75პ)

**უოტფორდი 0:1 ბირმინგემი**
0:1 როუეტი (64)

**ვესტ ბრომვიჩი 2:2 ბლექბერნი**
0:1 ფრანდსენი (65), 1:1 ლი ჰიუზი (66), 1:2 ბლეიქი (70), 2:2 ევანსი (80)

**უიგანი 0:1 ვულვერჰემპტონი**
0:1 რობინსონი (90)

**უიმბლდონი 1:0 ბარნსლი**
1:0 კორტი (34)

**რექსჰემი 2:1 მიდლსბრო**
0:1 დინი (42), 1:1 გიბსონი (50), 2:1 დარენ ფერგიუსონი (68)

**კემბრიჯი 2:0 კრ. პალასი**
1:0 ბენჯამინი (74), 2:0 უონლესი (81)

**ნოტინგემი 1:1 ოქსფორდი**
1:0 ფრიდმანი (40), 1:1 პაუელი (75)

**ბოლტონი — კარდიფი**
გადაიდო

**არსენალი — ბლექპული**

**იფსვიჩი — საუთჰემპტონი**
ნუხელ გვიან გაიმართა

### IV ეტაპის წილისყრა

გრიმსბი — ბოლტონი ან კარდიფი; ასტონ ვილა — იფსვიჩი ან საუთჰემპტონი; მანჩესტერ სიტი — ლიდსი; რედინგი ან პლიმუთი — პრესტონი; უოლსოლი ან ჯილინგემი — ბრედფორდი; ფულემი ან ლუთონი — უიმბლდონი; ჩელსი — ნოტინგემი ან ოქსფორდი; ტრანმერი — სანდერლენდი; არსენალი ან ბლექპული — ჰერეფორდი ან ლესტერი; ტოტენჰემი ან ნიუკასლი — შეფილდ იუნაიტედი ან რაშდენ დაიმონდსი; რექსჰემი — კემბრიჯი; ქოვენთრი — ბარნსლი; ლივერპული — ვესტ ბრომვიჩი ან ბლექბერნი; შეფილდ უენსდი — ვულვერჰემპტონი; ჩარლტონი — ქუინზ პარკი ან ტორკი; ექსეტერი ან ევერტონი — ბირმინგემი

*მატჩები გაიმართება 2000 წლის 8, 9 იანვარს*

## მეორე დივიზიონი

XXI ტური. ბრისტოლი — კოლჩესტერი 2:1; ნოტსი — ბორნმუთი 5:1; უიკომბი — მილუოლი 1:2; ბრენტფორდი — ჩესტერფილდი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უიგანი | 20 | 11 | 9 | 0 | 40:19 | 42 |
| პრესტონი | 20 | 12 | 6 | 2 | 33:18 | 42 |
| მილუოლი | 21 | 11 | 6 | 4 | 34:22 | 39 |
| ჯილინგემი | 20 | 11 | 5 | 4 | 38:23 | 38 |
| როვერსი | 19 | 11 | 5 | 3 | 25:11 | 38 |
| ნოტსი | 21 | 11 | 5 | 5 | 35:23 | 38 |
| ბარნსლი | 20 | 10 | 7 | 3 | 26:12 | 37 |
| სტოკი | 20 | 9 | 7 | 4 | 30:18 | 34 |
| ბრენტფორდი | 21 | 9 | 7 | 5 | 32:27 | 34 |
| ლუთონი | 20 | 8 | 4 | 8 | 25:27 | 28 |
| ბორნმუთი | 21 | 8 | 4 | 9 | 29:33 | 28 |
| ბრისტოლი | 21 | 6 | 9 | 6 | 28:28 | 27 |
| უიკომბი | 21 | 6 | 7 | 8 | 25:29 | 25 |
| ბერი | 20 | 5 | 9 | 6 | 29:27 | 24 |
| ოქსფორდი | 20 | 5 | 6 | 9 | 19:24 | 21 |
| ოლდემი | 20 | 5 | 5 | 10 | 20:26 | 20 |
| სკანთორპი | 20 | 5 | 5 | 10 | 21:33 | 20 |
| რექსჰემი | 20 | 4 | 8 | 8 | 18:32 | 20 |
| კარდიფი | 20 | 4 | 7 | 9 | 22:28 | 19 |
| კოლჩესტერი | 21 | 4 | 6 | 11 | 22:44 | 18 |
| რედინგი | 19 | 4 | 5 | 10 | 21:37 | 17 |
| ბლექპული | 20 | 3 | 7 | 10 | 21:35 | 16 |
| კემბრიჯი | 20 | 3 | 6 | 11 | 28:36 | 15 |
| ჩესტერფილდი | 21 | 2 | 7 | 12 | 12:24 | 13 |

## მესამე დივიზიონი

XXI ტური. ჩელტენემი — მაკლსფილდი 1:1; ჰალიფაქსი — როტერჰემი 0:0; ჰარტლპული — სუონსი 0:1; შრიუსბერი — ნორთჰემპტონი 1:0; ბრაიტონი — როჩდეილი 3:4; საუთენდი — ბარნეტი 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარნეტი | 21 | 13 | 4 | 4 | 34:22 | 43 |
| როტერჰემი | 21 | 11 | 5 | 5 | 30:13 | 38 |
| დარლინგტონი | 20 | 10 | 6 | 4 | 26:13 | 36 |
| ნორთჰემპტონი | 21 | 11 | 3 | 7 | 23:16 | 36 |
| სუონსი | 21 | 10 | 5 | 6 | 20:14 | 35 |
| პიტერბრო | 20 | 10 | 4 | 6 | 28:22 | 34 |
| ტორკი | 20 | 10 | 4 | 6 | 26:21 | 34 |
| პლიმუთი | 20 | 9 | 6 | 5 | 27:21 | 33 |
| ჰალიფაქსი | 21 | 9 | 4 | 8 | 22:24 | 31 |
| ჰარტლპული | 21 | 9 | 3 | 9 | 26:21 | 30 |
| როჩდეილი | 21 | 8 | 6 | 7 | 18:14 | 30 |
| მაკლსფილდი | 21 | 8 | 6 | 7 | 31:29 | 30 |
| ლინკოლნი | 20 | 7 | 7 | 6 | 31:30 | 28 |
| საუთენდი | 21 | 8 | 4 | 9 | 27:30 | 28 |
| ბრაიტონი | 20 | 7 | 6 | 7 | 30:24 | 27 |
| ჩელტენემი | 21 | 7 | 5 | 9 | 18:19 | 26 |
| ექსეტერი | 20 | 7 | 4 | 9 | 22:26 | 25 |
| იორკი | 20 | 6 | 6 | 8 | 18:25 | 24 |
| ჰალი | 20 | 6 | 5 | 9 | 18:21 | 23 |
| მენსფილდი | 19 | 6 | 4 | 9 | 25:29 | 22 |
| შრიუსბერი | 21 | 5 | 4 | 12 | 19:33 | 19 |
| კარლაისლი | 20 | 4 | 6 | 10 | 18:33 | 18 |
| ლეიტონი | 20 | 3 | 5 | 12 | 14:30 | 14 |
| ჩესტერი | 20 | 3 | 4 | 13 | 16:36 | 13 |



ეროვნული ბიბლიოთეკა

მაროკოელები თასის მოპოვებას ზეიმობენ

## აფრიკის ჩემპიონთა ლიგა

ფინალი. საპასუხო მატჩი

**ესპერანსი (ტუნისი) 0:0 (პენ.3:4) რაჯა კასაბლანკა (მაროკო) (0:0)**

„რაჯა კასაბლანკამ" მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის საგზური მოიპოვა.

ამ შეხვედრის წინ სპეციალისტები ფავორიტად „ესპერანსის" მიიჩნევდნენ. მატჩის დებიუტიც ამგვარი პროგნოზის სასარგებლოდ მეტყველებდა. უკვე მე-13 წუთზე სტუმართა კაპიტანი, გუნდის ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო მოთამაშე, აბდელატიფ რინდუ მსაჯმა უხეშობისთვის გააძევა და მასპინძელთა სასარგებლოდ პენალტიც დანიშნა. ვილიდ აზაიეზმა უხეიროდ დაარტყა, რაც მისი გუნდისთვის საბედისწერო აღმოჩნდა.

საპასუხო მატჩი, პირველის მსგავსად, უგოლოდ დასრულდა. პენალტების სერიით კი „რაჯამ" აფრიკის ჩემპიონობა და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის ბილეთი, მერვე საგზური მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ მაროკოელებმა იგივე თასი ორი წლის წინაც პენალტების უკეთ შესრულების წყალობით მოიგეს. მაშინ მათი მოწინააღმდეგე განას „გოლდფილდი" იყო.

ახლა „რაჯა" მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადება. A ჯგუფში მისი მეტოქეები მადრიდის „რეალი", ბრაზილიური „კორინთიანსი" და საუდის არაბეთის „ალ ნასრი" იქნებიან. იქამდე კი მოულოდნელი ინფორმაცია გავრცელდა. მოსალოდნელია, რომ მაროკოელთა არგენტინელი მწვრთნელი ოსკარ ლუის ფულონე გადადგეს.

ფულონე, რომელმაც წინა სეზონში კოტდივუარული ასეკ-ი აფრიკის ჩემპიონი გახადა, ამბობს: „გადასადგომად ბევრი მიზეზი მაქვს. ახლა ძალიან გადაღლილი ვარ და საბოლოო გადაწყვეტილებას მოგვიანებით მივიღებ. ჩემგან მხოლოდ ოქროს მედლებს ელიან და სურთ, რომ გუნდს ყველა ტიტული მოვაგებინო. მე კი ამგვარ მიზანს არ ვისახავ".

ეგებ ფულონე ხვდება, რომ მის გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატების მიღწევის შანსი არ აქვს და ემე ჟაკესავით გამარჯვებულს უნდა წასვლა?

## ჰოლანდია

**უტრეხტი 1:1 პსვ**
1:0 ცვანცვიკი (39), 1:1 ბოუმა (45)

**დენ ბოსხი 2:1 ვიტესი**
1:0 ვან დერ ლაანი (32), 1:1 ვან ჰოიდონკი (39), 2:1 ვან დერ ლაანი (42)

**ვალვაიკი 0:4 მაასტრიხტი**
0:1 კაერსი (12), 0:2, 0:3 ვან დერ ვერტი (69, 72), 0:4 გუდიონსონი (85)

**როდა 2:3 გრააფსხაპი**
0:1 ტუმბა (18), 1:1 პეეტერსი (22), 1:2 ლინდენბერგი (24), 2:2 ვალგაერენი (37), 2:3 ტუმბა (50)

**ალკმარი 2:0 სიტარდი**
1:0 ვიკერი (10), 2:0 ობდამი (50)

**კამბური — სპარტა**

**ტილბურგი — ნაიმეგენი**

**ჰერენვენი — ფეიენოორდი**

**აიაქსი — ტვენტე**

გადაიდო

ჩემპიონატში ორხელისუფლებიანობა დამყარდა, მას შემდეგ, რაც ერთ-ერთმა ლიდერმა, პსვ-მ სტუმრად „უტრეხტთან" ფრედ 1:1 ითამაშა. ამსტერდამის „აიაქსისა" და „ტვენტეს" შეხვედრა კი გადაიდო. ორივე ლიდერს 15-15 მატჩიდან 35 ქულა აქვს, მაგრამ გატანილი და გაშვებული ბურთების უკეთესი შეფარდების წყალობით ცხრილს სათავეში პსვ მოექცა.

ზემოხსენებული „აიაქსი" — „ტვენტეს" გარდა, ტურში კიდევ სამი თამაში გადაიდო: „კამბური" — „სპარტა", „ჰერენვენი" — „ფეიენოორდი" და „ტილბურგი"— „ნაიმეგენი". მიზეზი დიდი წვიმებია, რამაც მოედნები დატბორა.

სენსაციური შედეგით დასრულდა კერკრადეში იქაური „როდასა" და „გრააფსხაპის" შეხვედრა. მასპინძლები დამარცხდნენ 2:3. თავდაპირველად, მე-18 წუთზე, სტუმრები ზიკო ტუმბამ დააწინაურა. 22-ეზე ბობ პეეტერსმა გაათანაბრა, თუმცა ორ წუთში წინ ისევ გრააფსხაპელები გავიდნენ. ეს ოლად ლინდენბერგმა შეძლო. 37-ე წუთზე „როდა" მეტოქეს კვლავ დაეწია — საგოლე მომენტი იოს ვალგაერენმა გამოიყენა. შეხვედრის მეორე ნახევარში ისევ და ისევ ზიკო ტუმბა გამოირჩა. მისმა დუბლმა სტუმრებს 3 ქულა მოუტანა. ამ მოგებით „გრააფსხაპმა" გასავარდნი ზონიდან ზედა პოზიციებზე აინაცვლა, ხოლო „როდამ" ლიდერებთან მიახლოების შანსი დაკარგა.

ტურში სტუმარი გუნდის კიდევ ერთი გამარჯვებაა გამოსაყოფი. „მაასტრიხტმა" 4:0 გაანადგურა „ვალვაიკი". აღსანიშნავი კიდევ ისაა, რომ მთავარმა არბიტრმა გუნდებს თითო-თითო ფეხბურთელი გაუძევა.

„დენ ბოსხმა" და „ალკმარმა" შესაბამისად 2:1 და 2:0 დაამარცხეს „ვიტესი" და „სიტარდი".

ჩემპიონობის ერთ-ერთი რეალური პრეტენდენტი, როტერდამის „ფეიენოორდი" ლიდერებს — პსვ-სა და „აიაქსს" ახლა 6 ქულით ჩამორჩება, თანაც, იმდენივე მატჩი აქვს გამართული რამდენიც მათ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 15 | 11 | 2 | 2 | 50:12 | 35 |
| აიაქსი | 15 | 11 | 2 | 2 | 45:20 | 35 |
| ჰერენვენი | 15 | 10 | 1 | 4 | 29:16 | 31 |
| ალკმარი | 17 | 10 | 1 | 6 | 35:27 | 31 |
| ტვენტე | 16 | 8 | 6 | 2 | 28:16 | 30 |
| ფეიენოორდი | 15 | 8 | 5 | 2 | 29:15 | 29 |
| როდა | 16 | 9 | 2 | 5 | 28:21 | 29 |
| ტილბურგი | 15 | 9 | 2 | 4 | 29:29 | 29 |
| ვალვაიკი | 17 | 9 | 2 | 6 | 29:31 | 29 |
| ვიტესი | 16 | 8 | 4 | 4 | 29:23 | 28 |
| უტრეხტი | 17 | 7 | 1 | 9 | 25:31 | 22 |
| გრააფსხაპი | 16 | 2 | 6 | 8 | 17:27 | 12 |
| სპარტა | 15 | 4 | 0 | 11 | 22:36 | 12 |
| მაასტრიხტი | 16 | 3 | 3 | 10 | 25:40 | 12 |
| ნაიმეგენი | 15 | 3 | 2 | 10 | 19:34 | 11 |
| სიტარდი | 17 | 2 | 4 | 11 | 17:30 | 10 |
| დენ ბოსხი | 17 | 2 | 4 | 11 | 16:44 | 10 |
| კამბური | 16 | 2 | 3 | 11 | 15:35 | 9 |

## შოტლანდია

### XVII ტური

**დანდი იუნაიტედი 1:0 დანდი**
1:0 ფერაზი (89)

**აბერდინი 0:6 სელტიკი**
0:1 ლამბერტი (21), 0:2 მაე (28), 0:3 მორავჩიკი (67), 0:4 ვიდუკა (75), 0:5 ბლინკერი (81), 0:6 რაიტი (87)

**ჰიბერნიანი 2:2 მოზერუელი**
1:0 პაატელაინენი (63), 1:1 სპენსერი (70), 2:1 მაკგინლი (88), 2:2 სპენსერი (89)

**რეინჯერსი 1:0 კილმარნოკი**
1:0 ალბერტცი (56)

**სენტ ჯონსტონი — ჰარტსი**
გადაიდო

ჩემპიონატის ცხრილში პირველ სამ პოზიციაზე განლაგებულმა გუნდებმა — „რეინჯერსმა", „სელტიკმა" და „დანდი იუნაიტედმა" მორიგ ტურში გამარჯვებას მიაღწიეს. ყველაზე შთამბეჭდავად მეორეადგილოსანმა „სელტიკმა" მოიგო, რომელმაც სტუმრად აშკარა აუტსაიდერი „აბერდინი" 6:0 გაანადგურა და ახლა თანაქალაქელ „გლაზგო რეინჯერსს" მხოლოდ ქულით ჩამორჩება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სელტიკელებს ორი შეხვედრით მეტი აქვთ ჩატარებული. მათ მიერ გატანილი 6 გოლიდან ერთი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის, მარკ ვიდუკას ანგარიშზეა. ფეხბურთელს მიმდინარე სეზონში 15 ბურთი დაუგროვდა და ბომბარდირთა დავაში უშუალო კონკურენტები უკვე 6-ით ჩამოიტოვა.

გათამაშების ლიდერმა „რეინჯერსმა" საკმაოდ მძიმე ბრძოლაში, ბოლოსწინა ადგილოსან „კილმარნოკს" მოუგო. ერთადერთი გოლი 56-ე წუთზე გავიდა — იორგ ალბერტცის მიერ ზუსტად შესრულებულმა საჯარიმო დარტყმამ „აიბროქსის" სტადიონზე შეკრებილი 47 ათასი გულშემატკივარი აღაფრთოვანა. გლაზგოელებმა, რომლებიც დორტმუნდის „ბორუსიამ" უეფას თასის გათამაშებიდან გამოთიშა, როგორც ჩანს, ძალა მოიკრიბეს და ოთხი დღის შემდეგ ჩემპიონატის ტურში გამარჯვება იზეიმეს.

მესამეადგილოსანმა „დანდი იუნაიტედმა" თანამოსახელე „დანდის" ბოლო წუთებზე 3 ქულა გამოსტაცა. ერთადერთი გოლი შეხვედრის მიწურულს, 89-ე წუთზე ჟოაკიმ ფერაზმა გაიტანა, რითაც თავისი გუნდის ქომაგები ერთობ გაახარა. ახლა „დანდი იუნაიტედი" მესამე ადგილზეა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ უახლოეს მდევარ „მოზერუელზე" მატჩით მეტი აქვს ჩატარებული და მას მხოლოდ 3 ქულით უსწრებს.

თავის მხრივ, „მოზერუელმა" ფრედ 2:2 ითამაშა „ჰიბერნიანთან". ოთხივე ბურთი მეორე ტაიმში გავიდა. თავიდან, 63-ე წუთზე, მასპინძლები, „ჰიბერნიანის" ფეხბურთელები დაწინაურდნენ, თუმც ეს მხოლოდ 7 წუთს გაგრძელდა — 70-ეზე მოზერუელელმა ჯონ სპენსერმა ანგარიში გაათანაბრა. მატჩის მიწურულს, 88-ე წუთზე, ისევ მასპინძლები გავიდნენ წინ. ბურთი პეტ მაკგინლიმ გაიტანა, მაგრამ „ჰიბერნიანს" გამარჯვება არ ეწერა. ერთ წუთში ისევ ჯონ სპენსერმა იხსნა თავისი გუნდი. მან დუბლი შეასრულა და „მოზერუელს" ქულა მოუტანა.

ტურის მეხუთე შეხვედრა „სენტ ჯონსტონსა" და „ჰარტსს" შორის გადაიდო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 14 | 12 | 1 | 1 | 38:12 | 37 |
| სელტიკი | 16 | 12 | 0 | 4 | 48:14 | 36 |
| დანდი იუნ. | 17 | 9 | 3 | 5 | 23:22 | 30 |
| მოზერუელი | 16 | 7 | 6 | 3 | 27:25 | 27 |
| ჰიბერნიანი | 18 | 5 | 6 | 7 | 27:33 | 21 |
| ჰარტსი | 16 | 5 | 5 | 6 | 26:24 | 20 |
| დანდი | 16 | 6 | 0 | 10 | 20:27 | 18 |
| სტ. ჯონსტონი | 16 | 4 | 4 | 8 | 15:21 | 16 |
| კილმარნოკი | 16 | 2 | 6 | 8 | 15:24 | 12 |
| აბერდინი | 17 | 2 | 3 | 12 | 17:54 | 9 |

# მასპინძლები დაადგინეს

უეფამ ოფიციალურად გამოაცხადა ის ქალაქები და შესაბამისად სტადიონები, რომლებიც 2001 და 2002 წლების ჩემპიონთა თასის ფინალს უმასპინძლებენ. 2001 წელს ფინალური მატჩის ჩატარების ადგილად უეფამ მილანის „სან სირო" დაასახელა, ხოლო 2002 წლისათვის ანალოგიური ტურნირის დამაგვირგვინებელ მატჩს გლაზგოს „ჰემპდენ პარკი" უმასპინძლებს. იტალიური ქალაქი მასპინძლის როლში რიგით მესამედ მოგვევლინება, ხოლო გლაზგოს აქამდე მხოლოდ ერთხელ რგებია ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩის მასპინძლობის პატივი. ეს 1960 წელს მოხდა, როდესაც მადრიდის „რეალმა" გერმანული ფრანკფურტის „აინტრახტი" დაამარცხა ანგარიშით 7:3.

აგრეთვე დადგინდა უეფას თასის ფინალური შეხვედრის მასპინძელი ქალაქი, თუმც მხოლოდ 2001 წლისთვის. ეს პატივი გერმანულ ქალაქ დორტმუნდს ერგო.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონის ფინალური შეხვედრები პარიზსა და კოპენჰაგენში გაიმართება — მსოფლიოს უკანასკნელი ჩემპიონატის ფინალური მატჩის მასპინძელი „სტად დე ფრანსი" ჩემპიონთა ლიგის სეზონის უკანასკნელ შეხვედრას უმასპინძლებს, ხოლო კოპენჰაგენის „პარკენის" არენაზე უეფას თასის ფინალი ჩატარდება.

# იწვოდა ჭეიშვილის მანქანა

**საქართველოს ჩემპიონატი. 11 ტური**

ვერის ბალი. 12 დეკემბერი

**გორი 69:60 ასკ**

I ტაიმი 34:28
**გორი:** ლ. იაშვილი (6), ნინოშვილი (23), გრძელიშვილი (17), აბრამაშვილი (10), მანველიშვილი (7); ცაცებაშვილი (4), ლოლიშვილი (2), არუთინიანი, დარგუაშვილი
**ასკ:** მარხვაშვილი (5), ბერაძე (2), ლვინაშვილი (16), ლაცაბიძე, მ. ფიცხელაური (4); ჯანელიძე (1), ქართველიშვილი (1), ქვანია (11)
**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერუკაშვილი
**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

**საქართველოს ჩემპიონატი. 11 ტური**

ვერის ბალი. 12 დეკემბერი

**დინამო 68:98 სდასუ**

I ტაიმი 40:53
**დინამო:** ნიკოლაძე (32), ორდენიძე, ახვლედიანი (9), ვ. აბულაძე (9), ზერეკიძე (2); მეგრელიშვილი (16), ენდელაძე, ყველაშვილი
**სდასუ:** არჩვაძე (15), ხოშტარია (19), უძილაური (15), სუხიშვილი (13), მაჭარაძე (10); კობახიძე (3), ნ. ნოზაძე (5), ლ. აბულაძე (16), ჭინჭარაძე (2)
**მსაჯები:** როლანდ ხომერიკი, მაკა კუპატაძე
**კომისარი:** მურმან ქურიძე

გიორგი ბიკაშვილი

კალათბურთის რა გითხრათ და კვირას ვერის ბალში შეკრებილებმა მუშტი-კრივი დიახაც რომ მოსაწონი ვიხილეთ. „გორი"-ასკ-ს უფერული შეხვედრის პირველი ტაიმი ილეოდა, როცა არმიელმა ივანე ლაცაბიძემ და გორელმა თემურ მანველიშვილმა ერთმანეთს ცუდად ჰკიდეს თვალი, ჯერ სიტყვიერად შეკამათდნენ, მერე გაეჭიმნენ ერთმანეთს და შეიბნენ კიდეც. ორთა დუელი გუნდურ დაკა-დაკაში გადაიზარდა, მოედანზე მყოფთა მისაშველებლად სათადარიგოებიდან თუ ტრიბუნებიდანაც იხუვლა ხალხმა და იცოცხლეთ, იქ ამბავი დატრიალდა.

როდის-როდის დაწყნარდნენ მოშუღარნი, ბუნტისთავებიც გაარიდეს ერთმანეთს და...

„მორჩა, თამაში აღარ იქნება, ხუთი ხუთზე კიდევ ასატანია და გუნდური ჩხუბი დებულებას ეწინააღმდეგება, ორივე გუნდს წაგება ჩაეთვლება" — გამოაცხადა ამ შეხვედრის კომისარმა როლანდ ხომერიკმა და მსაჯთა ოთახისკენ გაეშურა.

დავიდარაბა ხვეწნა-მუდარამ შეცვალა, დასცხათ და რა დასცხათ გუნდებს, შენი ჭირიმე, გადაწყვეტილება შეცვალე გვათამაშეო, შესთხოვდნენ ხომერიკს.

მერე საფიხვნოც შეიყარა, ერთხანს ითათბირეს შიგნით და ასე თხუთმეტიოდე წუთში ხომერიკს გულიც მოულბა, კომისარმა ხელი აიღო უწინდელ განზრახვაზე და გუნდებიც ხელახლა წარსდგნენ ერთმანეთის წინაშე. ლაცაბიძესა და მანველიშვილს კი ეგრეც აღარ ღირსებიათ იმ დღეს თამაში...

ჩხუბი ტოლ-სწორი იყო, ძლიერი ვერ გამოავლინა, ბურთაობაში კი ქართლელებმა აჯობეს დედაქალაქელებს, მიუხედავად იმისა, რომ „გორს" ძირითადი ხუთეულის ორი წევრი აკლდა — დისკვალიფიცირებული ფსუტური და ტრავმირებული დავით იაშვილი. აბა, ამ მხრივ ასკ იჩაგრება თუ იჩაგრება, ვინც სამხედრო სავალდებულო სამსახური მოიხადა, ყველამ ქუდი დაიხურა, არმიული კლუბიც წლევამდელებით შეივსო და მათ მთავარ მწვრთნელ ვაჟა ჭოტაშვილსაც სულ ახალ-ახალ ხალხთან უწევს საქმის დაჭერა.

სტუმართა საამმატჩო მობილიზება არ გვინდა, უყურადღებოდ დაგვირჩეს. გორელთა დელეგაციას თვით ქალაქის მერი ჩამოუძღვა საგულშემატკივროდ, გუნდის მხარდასაჭერად სხვა ოფიციალური პირებიც უხვად იყვნენ გუშინწინ ვერის ბალში.

ალბათ, ამანაც შეაგულიანა ქართლელი კალათბურთელები და სალამიც არ დააცადეს, ისე ეკვეთნენ მეტოქეს. მათ რიგებში ნიკა გრძელიშვილი გამოირჩეოდა და მისი ძალისხმევით თავიდანვე „გორი" დაწინაურდა 9:2.

მეტოქის მსგავსად არმიელებმაც ზონური დაცვა ირჩიეს, იმ განსხვავებით, რომ ბერაძე გორელთა ლიდერ სოსო ნინოშვილს მიამაგრეს, დანარჩენები კი კოლექტიურად აკონტროლებდნენ სივრცეებს.

უფრო ზუსტნი ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ ვერ ახერხებდნენ ამას ჯარისკაცები. მათი დაცვა უფრო ფორმალურ ხასიათისა გახლდათ, რადგან არმიელთა კალათის დალაშქვრა მოწინააღმდეგე გუნდისთვის დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა.

უხეირო დაცვას ასკ-მ უსარგებლო შეტევებიც დაურთო. პირველი ქულები გუნდს გიორგი მარხვაშვილმა შესძინა თამაშის დაწყებიდან შვიდნახევარი (!) წუთის შემდეგ. ამის მერე ისევ „გორმა" იმძლავრა, იმავე გრძელიშვილმა, იაშვილმა და მანველიშვილმა სხვაობა თვალშისაცემი გახადეს — 19:2.

გორელთა წუთშესვენებით ვაჟა ჭოტაშვილმა მეტად იხეირა. ამის მერე გამოერკვნენ არმიელები, დამშვიდნენ და ქაოსურ შეტევებს უფრო ორგანიზებული სახე მისცეს. კარგად ჩაერთო თამაშში ქვანია, ახალმა შემოსულმა ზედიზედ ორჯერ ზუსტი სამიანით დასაჯა მოწინააღმდეგე. მოგვიანებით მანვე ერთხელაც მოიმოქმედა იგივე, მარხვაშვილმაც გაისწორა სამიზნე და როცა ქართველიშვილმაც ივარგა საჯარიმო ხაზიდან, „გორი" ოთხ ქულასღა იგებდა — 32:28.

სწორედ ამ დროს მოხდა თავში ნათქვამი შეხლა-შემოხლა. დარჩენილ 21 წამში „გომა" ორი ქულა წაამატა მონაგარს...

მეორე ნახევრის სადებიუტო ნაწილი თანაბარ ბრძოლაში გაილია. რვა წუთის შემდეგღა მოახერხა „გორმა", ათი ქულით გაქცეოდა მეტოქეს. ნინოშვილი გააქტიურდა და მისი წყალობით ამ სხვაობას კარგა ხანს ინარჩუნებდნენ ქართლელები.

გადამწყვეტი მომენტი შეხვედრის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე დადგა. ასკ-მ უკანასკნელად გაიბრძოლა, რვა ქულამდე შეამცირა სხვაობა და ქართველიშვილს ფარქვეშიდან ნასროლი რომ არ გაცუდებოდა, უფრო მიუახლოვდებოდა მოწინააღმდეგეს. ღმერთმა უწყის, ასე რომ ყოფილიყო, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, საბოლოოდ კი არმიელები მაინც დამარცხდნენ, რაშიც მხოლოდ საკუთარ თავს თუ დაადანაშაულებენ. ერთიცაა, ასკ-ს ლიდერი ქართველიშვილი მხოლოდ ერთი ქულით შეეწია იმ დღეს თავისიანთ.

უპრეცენდენტო ფაქტი დაფიქსირდა „დინამო" — სდასუს შეხვედრაში. სამწვრთნელო კარიერის მანძილზე მხოლოდ „დინამოში" ნამუშევარი ლევან მოსეშვილი ისტორიაში პირველად დაუპირისპირდა თავის ყოფილ გუნდს. სდასუ-ს მცირე ტრამვის გამო გიორგი ჩხეიძე და სიყვითლეშეპარული (ჰეპატიტი) გიგი ნაცვლიშვილი აკლდა, „დინამოს" კი — შალვა ცხვედიანი.

დინამოელთაგან, როგორც ყოველთვის, გიორგი ნიკოლაძე გახლდათ ყველაზე სახიფათო, თანაგუნდელთაგან უმეტესად სწორედ იგი აგროვებდა ქულებს, რასაც მისი მეურვე შოთა უძილაური ვერაფრით პასუხობდა. სამაგიეროდ, სტუდენტთაგან ირაკლი ხოშტარია და ლადო სუხიშვილი გამოირჩეოდნენ და ტაიმის შუაგულამდეც მეტ-ნაკლებად თანაბარი თამაში ვიხილეთ.

მოსეშვილმა გადაადგილება მოახდინა, ნიკოლაძეს ლექსო არჩვაძე აადევნა, უძილაური კი ფრთაზე გასწია. სწორედ ეს დაედო საფუძვლად სტუდენტთა აღმაფრენას, რომელთაც ლიდერად მანამდე ჩრდილში მყოფი არჩვაძე მოევლინა. ლექსომ უმალ სწრაფი გარღვევა განავითარა, მერე მეტოქეს საპასუხო შეტევაც ჩაჭრა და გამოზომილი პასით უძილაური ხელსაყრელ პოზიციაში დატოვა. ირაკლი ხოშტარიამ ზედიზედ შორიდან დაბომბა დინამოელთა კალათი, სუხიშვილმა პერსონალურები ჩააგდო, მომდევნო ეპიზოდებში იმავე არჩვაძემ საშუალო მანძილიდანაც ივარგა, სამიანიც მოათავსა და ექვსწუთიანი მონაკვეთი „დინამომ" მშრალზე — 0:22 წააგო.

თვალის დახამხამებაში მდევრად ქცეული ახალგაზრდა დინამოელები ბოლომდე სხვაობის გაქარწყლებას ცდილობდნენ. ამაოდ, სდასუ საბოლოოდ გაბატონებულიყო მოედანზე და ჩამორჩენილი მეტოქე ახლოსაც აღარ გაიკარა.



თსუ — მაკაბი 71:65.საქართველოს ჩემპიონატების ვეტერანები: მაკაბელი ალექსანდრე ფერიაშვილი (მარცხნივ) და გიორგი ბერუაშვილი

**საქართველოს ჩემპიონატი. 11 ტური**

ვერის ბალი. 11 დეკემბერი

**თსუ 71:65 მაკაბი**

I ტაიმი 30:41
**თსუ:** ვეფხვაძე (6), ხეცურიანი (14), მარკოიშვილი (14), არსიაშვილი (7), გ. ბერუაშვილი (6); წოწელია (29), მშვილდაძე, მგალობლიშვილი
**მაკაბი:** დ. ბერიშვილი (9), ი. ბერიშვილი (23), ტალაბაძე (2), ბ. ნოზაძე (10), ფერიაშვილი (17); მჭედლიშვილი (4), ლასარეიშვილი
**მსაჯები:** როლანდ ხომერიკი, ზურაბ აბაშიძე
**კომისარი:** ნოდარ დარახველიძე

**საქართველოს ჩემპიონატი. 11 ტური**

ვერის ბალი. 11 დეკემბერი

**სტუ 114:72 სსუ**

I ტაიმი 52:34
**სტუ:** სულაძე (9), ტულუში (30), ლოსაბერიძე (12), კორძაძე (3), ოთიურიძე (14); მოისწრაფიშვილი (6), მდივანი (8), მინაშვილი (12), ორმოცაძე, მიქაძე (20)
**სსუ:** გ. ჟღენტი (4), ბ. ბერიშვილი (31), ქარუმიძე (7), ლ. ვაშაკიძე (16), ბ. ქვილითაია (4); ერქვანია (2), ფენდერავა (2), სორდია (6)
**მსაჯები:** დავით ანდრიაძე, მაკა კუპატაძე
**კომისარი:** როლანდ გელოვანი

როლანდ ლაბუჩიძე

პირველი წრის დასკვნით ტურში „ბასკო"-„ვითას" შემდეგ დიდ ინტერესს იწვევდა „მაკაბი" — თსუ-ს შეხვედრა. გუნდებისა, რომლებიც ხუთ-ხუთი მოგებით მეექვსე-მეშვიდე ადგილებს ინაწილებდნენ. მათ შორის გამარჯვებული ქულით გაუსწრებდა უშუალო მდევარს და პირველ წრეს მეექვსე ადგილით დაასრულებდა. ტექნიკურ ხარვეზს თუ არ ჩავთვლით, შეიძლება ითქვას, რომ თამაშმა გულშემატკივართა იმედები გაამართლა — იგი დაძაბული გამოდგა.

ექვსეულში მოხვედრის პრეტენდენტები — თსუ და „მაკაბი" მატჩს სრულ მზადყოფნაში შეხვდნენ. მოკლე სკამის მქონე „მაკაბის" ცხრათვიანი განშორების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა გამოცდილი დავით ტალაბაძე, მაგრამ ქართული კალათბურთის ვეტერანმა გუნდის ხელმძღვანელები გააწბილა. თითქმის ერთი წლის განმავლობაში ისრაელში მყოფ ტალაბაძეს აშკარად ეტყობოდა უვარჯიშებლობა და თანაგუნდელებს მხოლოდ ორი ქულით შეეწია. სამაგიეროდ, საუცხოოდ თამაშობდნენ ტყუპი ბერიშვილები, რომლებიც „მაკაბის" ცენტრებს უხვად ამარაგებდნენ პასებით. სხვა მატჩებისგან განსხვავებით, შებოჭილი ჩანდა ფერიაშვილი, არც ამჯერად მოუხდენიათ სასწაული ლასარეიშვილსა და მჭედლიშვილს, ბექა ნოზაძე კი ყველაზე მეტად აქტიურობდა. ტყუპი ბერიშვილების, „ფეროსა" და ნოზაძის წყალობით „მაკაბიმ" პირველი ნახევარი დიდებულად ჩაატარა, მაგრამ სტუდენტებმა გოჩა წოწელიას ძალისხმევით საწადელს მაინც მიაღწიეს. წოწელიასთან ერთად თსუ-ს გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს ახალგაზრდა ნიკა ვეფხვაძემ, გიორგი მარკოიშვილმა და შიო ხეცურიანმა. ვეტერანმა გიორგი ბერუაშვილმა მიმდინარე ჩემპიონატის პირველი წრის ბოლოს თავისი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. მართალია, მას შედეგიანობით არავინ გაუკვირვებია, მაგრამ ფარზე ბურთის მოხსნასა და დაფარებაში საუკეთესო იყო.

სწორედ ბერუაშვილის დამსახურება გახლდათ, რომ პირველი ოთხი წუთის განმავლობაში „მაკაბიმ" მხოლოდ ორი ქულის გაკეთება შეძლო და მეტოქეს რვა ქულით ჩამორჩა — 2:10. „მაკაბიმ" წუთშესვენება ითხოვა. რადგან ბერუაშვილი ფარქვეშ ოსტატურად თამაშობდა, ფარის დალაშქვრა სამქულიანებით ბერიშვილებს დაევალათ. ტყუპებმა გაამართლეს იმედები და მეათე წუთისთვის სხვაობა მინიმუმამდე შეამცირეს — 16:17. ბერუაშვილი რომ თითქმის უფუნქციოდ დარჩა, ფარზე მუშაობა შედეგიანობით უფრო გამორჩეულ არსიაშვილს დაევალა, ხოლო თავად ბერუაშვილი მსროლელმა გოჩა წოწელიამ შეცვალა. ამან „ფეროსა" და ბექა ნოზაძეს ფარისკენ გზა გაუხსნა, ბერიშვილებმაც ჩვეულ სტილში განაგრძეს თსუ-ს კალათის დაბომბვა და სანამ სტუდენტები გონს მოვიდოდნენ, ანგარიშში სხვაობამ ათ ქულას გადააჭარბა. „მაკაბის" მხრიდან მოედანზე ადგილს მხოლოდ ტალაბაძე ვერ პოულობდა, მაგრამ გუნდის ხელმძღვანელობა მის შეცვლას სულაც არ აპირებდა. მწვრთნელები მხოლოდ მეთხუთმეტე წუთზე შეელიენ ტალაბაძეს, როდესაც მან მეოთხე ჯარიმა მიიღო. მოედნიდან გასული ფორვარდის ადგილი ახალგაზრდა ცენტრმა გიგი მჭედლიშვილმა დაიკავა. ნოდარ ქორქიამ კვლავ უხმო ბერუაშვილს, მაგრამ თსუ-ს ტაიმის გადასარჩენად დრო არ ეყო.

შესვენების შემდეგ დაცვაში ფარს ისევ ბერუაშვილი დაეპატრონა. შეტევაში ვეფხვაძემ და მარკოიშვილმა თითო ორქულიანს ამდენივე სამქულიანი მოაყოლეს. წოწელიამაც თითქმის ყველა შეცდომა გამოიყენა, რომლებიც მეტოქემ დაცვაში დაუშვა და ათი წუთის შემდეგ „მაკაბის" უპირატესობა თვალსა და ხელს შუა გაუქრა. ანგარიში კი 31-ე წუთის ბოლოს გათანაბრდა, როდესაც ბერუაშვილის ზუსტი პასი წოწელიამ ბურთის კალათში მოთავსებით დაასრულა — 52:52.

სულ რაღაც ათი წამი დასჭირდა თსუ-ს, რათა ირაკლი ბერიშვილის სამქულიანით დაწინაურებულ „მაკაბის" კვლავ დასწეოდა. ამჯერად წოწელიას სამქულიანმა მიაღწია მიზანს. სწორედ მისი აქტიურობის წყალობით ჩამოიტოვეს სტუდენტებმა მეტოქე ოთხი ქულით — 65:61. მეცხრამეტე წუთის ბოლოს ტალაბაძემ ანგარიშის გათანაბრება სამქულიანით სცადა, მაგრამ ამაოდ 65:62 — წინ კვლავ თსუ-ა.

მეორე ტაიმის ბოლო წუთზე უფრო ზუსტნი სტუდენტები იყვნენ. მათ დამსახურებულად გაიმარჯვეს და ექვსი მოგებით მომდევნო ეტაპზე გამსვლელ ექვსეულში მეექვსე ადგილი დაიკავეს.

სტუ-მ გუნდის ლიდერი თორთლაძე და ჩუბინიძე მოისაკლისა, მაგრამ სსუ-სთან ფავორიტად მაინც იგი ითვლებოდა. თუმცა სსუ-ს პირველ ტაიმში ხელი ნამდვილად არ ჩაუქნევია. უიმედო აუტსაიდერმა ფინალში გასვლის პრეტენზიის მქონე ტექნიკოსებთან რამდენჯერმე ანგარიში გაათანაბრა და რამდენად მოულოდნელიც უნდა იყოს, წინ გასვლაც კი მოახერხა. სსუ-ს მონდომებას ვერ დავუკარგავთ, მაგრამ ძალას მაინც თავისი გაჰქონდა და სტუ პირველი ტაიმის ბოლოს დამაჯერებლად ლიდერობდა — 52:34.

შესვენების შემდეგ სტუ-ს უპირატესობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა. მეორე ტაიმის დამთავრებამდე 13,11 წუთით ადრე, როდესაც ტაბლოზე 74:47 ციმციმებდა სტუ-ს სასარგებლოდ, მატჩი მოულოდნელად შეწყდა. სტუ-ს მთავარი მწვრთნელის ნუგზარ ჭეიშვილის კუთვნილ „ჟიგულს" ცეცხლი წაჰკიდებოდა. მართალია, ხანძარი დროულად ჩააქრეს, ავტომანქანა დაწვას გადაურჩა, მაგრამ რამ გამოიწვია ყოველივე, ჯერჯერობით არავინ იცის.

სპორტსმენებმა მატჩი განაახლეს, ნუგზარ ჭეიშვილს ნაცვლად სტუ-ს მეორე მწვრთნელი ვაჟა ჭკუასელი გაუძღვა და ტექნიკოსებმა პირველი წრე ყველაზე დამაჯერებელი გამარჯვებით დაასრულეს.

**საქართველოს ჩემპიონატი. 11 ტური**

რუსთავი. 12 დეკემბერი

**აზოტი 96:81 შევარდენი**

**აზოტი:** ჟღენტი (5), გოგობერიშვილი (14), რ. ჩხეიძე (34), ბაბიაშვილი (21), მ. ბერუაშვილი (11), გაბისონია (3), წიკლაური (4), დანელიანი (2), ჯიმშელეიშვილი (2)
**შევარდენი:** ორჯონიკიძე (7), კაზანჯიანი (18), აკოლაშვილი (9), გიგაური (17), ალავიძე (6), ნუცუბიძე (24)
**მსაჯები:** ზურაბ აბაშიძე, დავით ანდრიაძე
**კომისარი:** ნოდარ დარახველიძე

**საქართველოს ჩემპიონატი. 11 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 11 | 11 | 0 | 1095:884 | 22 |
| აზოტი | 11 | 9 | 2 | 1039:875 | 20 |
| ვითა | 11 | 8 | 3 | 965:858 | 19 |
| სტუ | 11 | 8 | 3 | 1032:826 | 19 |
| სდასუ | 11 | 7 | 4 | 989:909 | 18 |
| თსუ | 11 | 6 | 5 | 972:967 | 17 |
| მაკაბი | 11 | 5 | 6 | 919:861 | 16 |
| დინამო | 11 | 4 | 7 | 833:923 | 15 |
| შევარდენი | 11 | 4 | 7 | 803:913 | 15 |
| გორი | 11 | 3 | 8 | 824:973 | 14 |
| ასკ | 11 | 1 | 10 | 785:1013 | 12 |
| სსუ | 11 | 0 | 11 | 771:1025 | 11 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ალთაბაევი დაუმარცხებელი გააცილეს

**საქართველოს ჩემპიონატი**
**11 ტური**

ბათუმი. 11 დეკემბერი

**ბასკო 91:80 ვითა**

I ტაიმი 47:24
ბასკო: აბრამიძე (13), დავითულიანი (23), ბეჟანიშვილი (9), ქარაბაკი (16), ვ. კილაძე (11); კვაჭაძე (8), ბერია (2), კეშელავა (9)
ვითა: უსტიაშვილი (10), ტურაშვილი (16), ბაქრაძე (4), კოკოლიშვილი (31), ახალკაცი (2); გ. გაგნიძე (2), შანიძე (13), ქეჩხიშვილი (2), ჭირაქაძე
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
კომისარი: მურმან ქურიძე

გოჩა ჯანაშია ბათუმიდან

ჩვენი კალათბურთის დონის ამაღლებაზე, აბა, რა გითხრათ, მაგრამ ერთი რამ უდავოა — ბათუმში კიდევ ერთი მძლავრი საკალათბურთო ცენტრი იქმნება. დიახ, ჩვენს მეცხრე ეროვნულ ჩემპიონატს „ბასკოს" სახით, მართლაც განსაკუთრებული ხიბლი შეემატა. რაც არ უნდა ვილაპარაკოთ, იქ გამოცდილ მოთამაშეთა კრებულმა მოიყარა თავიო, მაინც პირველი წრის თერთმეტივე მატჩში გამარჯვება ახლად შექმნილი კლუბისთვის სახუმარო საქმე როდი გახლავთ.

შაბათს ბათუმში ინტრიგა, იცოცხლე, დიდი იყო. ცხადი იყო, ტურის და შეიძლება ითქვას პირველი წრის ცენტრალურ შეხვედრაში, „ბასკო" დაუმარცხებელი გუნდის რენომეს განმტკიცებას სწორედ საქართველოს მრავალგზის ჩემპიონის ძლევით შეეცდებოდა. თავის მხრივ, „ვითა", ამ ბოლო დროს ჩვეულად ათამაშდა და წინა ტურში „აზოტის" დამარცხებით, ცხრილის მეორე საფეხურზე აინაცვლა. ბათუმში მოგებით კი, თბილისელთა საჩემპიონო ამბიციები ერთი-ორად გაიზრდებოდა.

ამ მატჩის ინტრიგას, კიდევ ერთი ნიუანსი ემატებოდა. ალბათ იცით, რომ ზღვისპირელთა მწვრთნელად ნაკრების თავკაცი ზურაბ ტომარაძე დაინიშნა. ტომარაძე კი, ჯერ კიდევ „ვითას" განაცხადში ითვლება და პირველი წრის დასრულებამდე დებულებით სხვა კლუბის გაწვრთნა ეკრძალება. და მაინც, მიუხედავად ამისა, მას მომავალი შეგირდებისთვის ვითელთა ამბის მოყოლა, ალბათ, არ გაუჭირდებოდა. ამის გაკეთება „ვითას" წარმატებების შემოქმედზე მეტად, აბა ვის ეხერხება.

მასპინძელთა სასტარტო ხუთეულის ხილვისთანავე, ნათელი გახდა — ფარის მისადგომებზე „ვითას" ერთობ გაუჭირდებოდა. დებიუტიც ამას მოწმობდა. „ბასკო" მეხუთე წუთისთვის უკვე 11:2-ს იგებდა. ამაში დიდი წვლილი, ლევან ქარაბაკმა შეიტანა, რომლის შეჩერება შეუძლებელი იყო. ამ დროისთვის „ვითას" მწვრთნელმა გელა წულაძემ თავისი გუნდის უნიათობა დროზე შენიშნა და წუთშესვენება აიღო. ამან თითქოს შედეგიც გამოიღო და ჯერ უსტიაშვილმა სამქულიანით, ხოლო იქვე ბაქრაძემ სხვაობა ოთხ ქულამდე დაიყვანეს.

ეს იყო და ეს, „ვითამ" აწყვეტილ მეტოქეს მეტი ვერაფერი დაუპირისპირა. ფარის დაკარგვას, წესით ტურაშვილის და უსტიაშვილის მრავლისმნახველი დუეტის საიმედო თამაში უნდა დაპირისპირებოდა. თუმცა, დავითულიანმა და აბრამიძემ ორივე ჩაკეტეს. განსაკუთრებით მამუკა ტურაშვილს არ წაუვიდა თამაში. მისი მონაგარი პირველ ტაიმში, მხოლოდ ოთხი ქულა იყო.

ამასობაში „ბასკო" წინ მიიწევდა. ტრავმირებული ქარაბაკის გასვლის შემდეგ, კეშელავამ გამოიდო თავი და ზედიზედ ოთხჯერ ესროლა ზუსტად. მას არც ბეჟანიშვილი და დავითულიანი ჩამორჩნენ. ეს ყველაფერი მალე ანგარიშშიც აისახა. ტაიმის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე სხვაობა ოცი ქულა გახდა — 33:13. ერთადერთი, ვინც სტუმართაგან არ ნებდებოდა, კოკოლიშვილი იყო, მაგრამ მარტო მისი გარჯა, ვერაფერი ნუგეში გახლდათ. ტაიმის ბოლო წუთებსაც, დიდად არაფერი შეუცვლია, უბრალოდ სხვაობამ მოიმატა. ტაიმიც 47:24 დასრულდა.

24 ქულა მთელ ტაიმში ნებისმიერი გუნდისთვის (მითუმეტეს „ვითასთვის") ერთობ დაბალი შედეგია. თუმცა, ვითელთა საბრძოლო ჟინი საქვეყნოდ ცნობილია. გამონაკლისი არც ამ დღეს იყო. შესვენების შემდეგ, ერთი ხანი თამაში გათანაბრდა. აი, მეშვიდე წუთისთვის ტურაშვილის პირველმა ზუსტმა სამიანმა, „ვითას" გამოცოცხლებას დაუდო სათავე. ამ მომენტში ანგარიში 60:39 იყო. ტაიმის შუაწელისთვის კი სხვაობა ათ ქულამდე შემცირდა. დროის ეს მონაკვეთი „ბასკომ" პირწმინდად დათმო, თანაც ქულა რაა, ისიც არ აუღია. სტუმართაგან ტურაშვილს ისევ კოკოლიშვილმა აუბა მხარი. ამათ კი, გონივრული პასებით უსტიაშვილი ამარაგებდა.

ბათუმელთა სიტუაციას ისიც ართულებდა, რომ მეოთხე პერსონალური მიიღო აბრამიძემ და იგი შეცვალეს. ამ რთულ სიტუაციაში ლიდერის როლი ალეკო დავითულიანმა იტვირთა. მისმა ზუსტმა სროლამ სიტუაცია ცოტათი კი განმუხტა, მაგრამ დროებით. „ვითა" მაინც არ ცხრებოდა, განსაკუთრებით კოკოლიშვილი. სწორედ მისი გამოისობით სხვაობა მხოლოდ შვიდი ქულა გახდა.

ამან „ბასკო" გამოაფხიზლა. კვაჭაძის, ბეჟანიშვილის და აბრამიძის ზუსტმა სროლებმა, ათქულიანი ზღვარი აღადგინა. აქ კი, აბრამიძემ მეხუთე პერსონალურით მოედანი დატოვა. თითქოს დარჩენილ 6 წუთში, „ვითას" გარდატეხის შანსიც მიეცა, მაგრამ ტრავმამოშუშებული ქარაბაკის გამოჩენამ, ზღვისპირელებს ფრთები შეასხა და თამაში ქულა-ქულაზე წავიდა. ამას ისიც დაემატა, რომ სტუმართაგან აბრამიძის დარად ადრე გასულ ბაქრაძეს, იგივე მიზეზით ტურაშვილი, ახალკაცი და გაგნიძე მიჰყვა. ამან კი, „ვითა" საბოლოოდ გატეხა და მხოლოდ ინერციით ეწინააღმდეგებოდა მეტოქეს. საბოლოო ანგარიშში კი, 11-ქულიანი სხვაობით დაფიქსირდა — 91:80.

მოკლედ, „ბასკო" კვლავაც უძლეველი დარჩა და ცხრილის პირველ საფეხურზეც მყარად გამაგრდა. კლუბის მესვეურებმა გარჯა არ დაუკარგეს ამ გამარჯვებების მთავარ შემოქმედ, გუნდის აწ უკვე მთავარ მწვრთნელს ვალერი ალთაბაევს, რომელსაც საზეიმო ვითარებაში გაცილება მოუწყვეს.



ელგუჯა ფხაკაძე ბათუმიდან

ალეკო დავითულიანმა (№15), ირაკლი ჰეიშვილმა (მარცხნიდან მეორე), ვლადიმერ ბეჟანიშვილმა და ვალერი კილაძემ (№7) საპატიო წრეზე შემოატარეს „ბასკოს" ყოფილი მთავარი მწვრთნელი ვალერი ალთაბაევი

NBA
**რეგულარული ჩემპიონატი**

# ბეიკერი ხალხს [illegible]



REUTERS ჩიკაგოდან

ჩიკაგო — ნიუ ჯერსი. ჩიკაგოელი რენდი ბრაუნი თავს დააცხრა ნიუჯერსელ სტივენ მარბერის (№33)

10 დეკემბერი

**იუტა 101:83 სიეტლი**
იუტა: სტოქტონი (15 ქულა, 10 პასი, 6 ჩაჭრა), ჰორნაჩეკი (19), რასელი (10), მელოუნი (21 ქულა, 11 მოხსნა), ეისლი (9); კიფი (6), პადჯეტი (4), ლუისი (4), ვონი (2), ჩილქათი
სიეტლი: პეიტონი (22 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა), ბერი (15), პატერსონი (2), ბეიკერი (11 ქულა, 10 მოხსნა), გრანტი; მაქსველი (9), ლუისი (7), მაკკოი (6), დევისი (6), ფოსტერი (5), ბორელი, სტეფანია

11 დეკემბერი

**სიეტლი 92:88 მაიამი**
სიეტლი: პეიტონი (26), ბერი (6), პატერსონი (7), ბეიკერი (25), ფოსტერი; მაქსველი (16), მაკკოი (8), პერსონი (2), დევისი (2), ლუისი
მაიამი: კარტერი (19), მარლი (11), მაშბურნი (21), ბრაუნი (2), მურნინგი (26 ქულა, 10 მოხსნა); ტორპი (6), ვოლტერსი (3), ლენარდი (3), ვეზერსპუნი

პარასკევს და შაბათს მძლავრ გუნდებთან მოუხდა შეჭიდება ვლადიმერ სტეფანიას გუნდს, „სიეტლ სუპერსონიქსს". ამ ორი შეხვედრიდან ერთი მოიგო, ერთიც წააგო. „იუტას" და „მაიამის" დარ გუნდებთან ქართველს იშვიათად თუ ვიხილავთ მოედანზე და ისიც ძალიან უმნიშვნელო ხანს, როცა მატჩის ბედი ძირითადად უკვე გადაწყვეტილია. ასე იყო ამჯერადაც. სტეფანიამ „იუტასთან" პირველ ნახევარშივე წაგებულ შეხვედრაში ბოლოს ორი წუთით „შეისეირნა" თამაშზე და კვლავ დაუბრუნდა სათადარიგოთა სკამს, „მაიამისთან" დაძაბულ ბრძოლისას კი არც ამდგარა იქიდან. „სიეტლს" მომდევნო მეტოქედ „დენვერი" ჰყავს და იქნებ მასთან ითამაშოს ქართველმა ცენტრმა.

გაუჭირდა „იუტასთან" „სიეტლს". სოლტ ლეიკ სიტიში ნებისმიერ მეტოქეს უჭირს თამაში და მათ შორის, ცხადია, არც „სუპერსონიქსი" გრძნობს „ჯაზის" „დელტა ცენტრში" თავს შინაურულად. სტუმრები ყველა სათამაშო კომპონენტში ჩამორჩნენ მეტოქეს. 18 ქულით წაგებასთან ერთად 34:49 დათმეს მოხსნები, თორმეტით ჩამორჩნენ პასებში ამდენითვე ნაკლები ჩაჭრეს და თუ ამას რვით ნაკლებ დაფარებასაც დაუმატებთ, სურათი ნათელია. ერთმა 37 წლის ჯონ სტოქტონმა მეტი ბურთი ჩაჭრა, ვიდრე მთლიანად „სუპერსონიქსმა", ექსსიეტლელმა ოლდენ პოლინაისმა კი მართალია, ქულა ვერ ჩააგდო, მაგრამ სამაგიეროდ ოთხჯერ დაუფარა ყოფილ გუნდს, რომელსაც მთლიანად ჰქონდა ოთხი დაფარება ანგარიშზე. ამ შემთხვევაში სტატისტიკა ყველაფერზე მეტყველებს და სათქმელიც არაფერია.

ჩნდება ეჭვი, „სიეტლმა" ასე უიმედოდ იმიტომ წააგო, რომ მეორე დღეს შინ „მაიამის" დასვენებული მეტოქე ელოდა. იქნებ ასეც იყო, რადგან „სუპერსონიქსი" უკვე მეორე მეოთხედში მოეშვა და ეს თორმეტწუთეული 14 ქულის სხვაობით დათმო, მეტოქეს 16 ქულით ჩამორჩა და არც მეორე ტაიმში მოუკლავს თავი.

აი, „მაიამისთან" კი სიეტლურ „კი არენაში" შეკრებილმა 15 ათასმა გულშემატკივარმა ნამდვილი „სუპერსონიქსი" იხილა. „სიეტლმა" არაფერი დაუთმო ლიგის ყველაზე აგრესიულ გუნდს, თავიდანვე ეკვეთა და მისივე ხერხით დაუწყო ბრძოლა. იძალეს მასპინძლებმა და საწყისი მეოთხედი 23:18 მოიგეს. მშვენივრად ირჯებოდა „იუტასთან" მელოუნის მიერ დაჩაგრული ვინ ბეიკერი. ძონძროხა სიეტლელმა მეურვე ფი ჯეი ბრაუნს ხუთი ჯარიმა მიაღებინა საწყის 15 წუთში და „მაიამის" მწვრთნელმა პატ რაილიმ იგი სკამზე დასვა. „ჰითის" თავდამსხმელის ჩამოცილების შემდეგ ბეიკერი ახლა მეტოქე გუნდის ცენტრს, ალონზო მურნინგს აედევნა, მაგრამ იგი ბრაუნი არაა, ბევრი უძლიერეს ცენტრად მიიჩნევს ლიგაში და ამ ორმა გიგანტმა საფუძვლიანად გააწვალეს ერთმანეთი, ქულებიც ბლომად აგროვეს და ბევრი ბურთებიც ხსნეს. საბოლოოდ სასწორი სიეტლელის მხარეს გადაიხარა, მურნინგი მატჩის ბოლოს მეექვსედ დაჯარიმდა და თამაშიც დატოვა, მაგრამ მანამდე თავის გუნდს ერთი მონაკვეთი 10:2 მოაგებინა და თორმეტქულიანი ჩამორჩენა ოთხამდე შეამცირა. მატჩის დამთავრებამდე 1,15 წუთით ადრე ანგარიში 86:82 გახდა, მაგრამ მურნინგის გარეშე „მაიამიმ" ველარაფერი მოახერხა სხვაობის შენარჩუნების მეტი და სტუმრად მიღწეული ზედიზედ სამი მოგების შემდეგ პირველად დამარცხდა.

ალსანიშნავია, რომ „მაიამის" ბოლო თერთმეტი წელია, არ მოუგია სიეტლში, საერთოდ კი „სუპერსონიქსთან" შინაც და გარეთაც უკვე მეცხრედ დამარცხდა. ასე რომ, „სიეტლს" „კლიპერსთან" და „ვანკუვერთან" ერთად ისეთ გრანდებთანაც შეუძლია ჭიდილი, როგორიც „მაიამი ჰითია". ამ გამარჯვების შემდეგ სტეფანიას გუნდმა დივიზიონის ცხრილში მესამე ადგილზე აინაცვლა.

**ირაკლი ფირაშვილი**

10 დეკემბერი

**საკრამენტო 97:107 მაიამი**
საკრამენტო: ვებერი (26 ქულა, 10 მოხსნა)
მაიამი: მურნინგი (37 ქულა, 11 მოხსნა, 8 დაფარება), მაშბურნი (18)

**ჩიკაგო 79:69 ნიუ ჯერსი**
ჩიკაგო: ბრენდი (16 ქულა, 14 მოხსნა)
ნიუ ჯერსი: ვან ჰორნი (19 ქულა, 11 მოხსნა), მარბერი (18)

**ნიუ იორკი 85:78 ფილადელფია**
ნიუ იორკი: სპრიუელი (31)
ფილადელფია: ჰილი (16 ქულა, 11 მოხსნა)

**დეტროიტი 107:83 კლიპერსი**
დეტროიტი: ჰილი (27 ქულა, 12 მოხსნა, 7 პასი), სტეკჰაუზი (23)
კლიპერსი: ოლოვოკანდი (16)

**ატლანტა 99:107 გოლდენ სტეიტი**
ატლანტა: რაიდერი (34)
გოლდენ სტეიტი: მილზი (20), ჯემისონი (19 ქულა, 10 მოხსნა)

**შარლოტი 106:99 დენვერი**
შარლოტი: მეისონი (21 ქულა, 12 მოხსნა, 8 პასი, 6 ჩაჭრა)
დენვერი: ლაფრენცი (20), ვან ექსელი (20)

**ბოსტონი 100:96 ჰიუსტონი**
ბოსტონი: ანდერსონი (20), პირსი (19)
ჰიუსტონი: მობლი (23)

**ინდიანა 136:88 კლივლენდი**
ინდიანა: სმიტსი (35), როუზი (23), დევისი (19 ქულა, 20 მოხსნა)
კლივლენდი: პერსონი (13)

**ტორონტო 91:107 მილუოკი**
ტორონტო: კარტერი (25)
მილუოკი: კასელი (22 ქულა, 10 პასი), რობინსონი (22)

11 დეკემბერი

**საკრამენტო 96:101 პორტლენდი**
საკრამენტო: ვებერი (36 ქულა, 12 მოხსნა)
პორტლენდი: პიპენი (24 ქულა, 9 მოხსნა, 7 პასი), ვოლესი (34 ქულა, 11 მოხსნა)

**სან ანტონიო 89:99 ვაშინგტონი**
სან ანტონიო: დანკანი (23 ქულა, 13 მოხსნა)
ვაშინგტონი: რიჩმონდი (31)

**მილუოკი 99:101 დენვერი**
მილუოკი: ალენი (25), რობინსონი (24)
დენვერი: ვან ექსელი (27), მაკლაუდი (21)

**ნიუ ჯერსი 106:94 ჰიუსტონი**
ნიუ ჯერსი: ვან ჰორნი (21)
ჰიუსტონი: მობლი (18), დრიუ (18)

**მინესოტა 76:104 გოლდენ სტეიტი**
მინესოტა: ნესტეროვიჩი (23 ქულა, 13 მოხსნა)
გოლდენ სტეიტი: სტარქსი (27), მილზი (23)

**დალასი 120:115 ფინიქსი**
დალასი: ფინლი (33 ქულა, 14 მოხსნა, 10 პასი), პეკი (24 ქულა, 11 პასი), სებალოსი (22)
ფინიქსი: რობინსონი (28), კიდი (19 ქულა, 13 მოხსნა, 9 პასი)

**ორლანდო 108:87 ჩიკაგო**
ორლანდო: არმსტრონგი (16), დოლიკი (16), მეჯიტი (16)
ჩიკაგო: არტესტი (20)

**კლივლენდი 127:116 ატლანტა**
კლივლენდი: კემპი (29 ქულა, 11 მოხსნა), სურა (24), მიურეი (21)
ატლანტა: რაიდერი (27), ჰენდერსონი (21), ჯექსონი (20)

**ფილადელფია 84:106 შარლოტი**
ფილადელფია: მაკკი (16)
შარლოტი: მილერი (19 ქულა, 12 მოხსნა)

**ინდიანა 108:90 კლიპერსი**
ინდიანა: მილერი (26)
კლიპერსი: ოლოვოკანდი (21 ქულა, 13 მოხსნა)

**ვანკუვერი 94:106 ლეიკერსი**
ვანკუვერი: ბიბი (23)
ლეიკერსი: ონილი (30 ქულა, 10 მოხსნა), რაისი (22)

12 დეკემბერი

**ლეიკერსი 101:93 დეტროიტი**
ლეიკერსი: ბრაიანტი (26), ონილი (22 ქულა, 24 მოხსნა), ფოქსი (20)
დეტროიტი: ჰილი (25 ქულა, 12 მოხსნა, 7 პასი), სტეკჰაუზი (24)

**ნიუ იორკი 99:97 ბოსტონი**
ნიუ იორკი: ჰიუსტონი (26), სპრიუელი (23)
ბოსტონი: უოლკერი (24), პოტაპენკო (21)

**ტორონტო 88:103 იუტა**
ტორონტო: კარტერი (16), ვილისი (16)
იუტა: მელოუნი (28 ქულა, 14 მოხსნა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

| | | | |
|---|---|---|---|
| გერმანია. ბუნდესლიგა. მე-16 ტური | | | |
| 14 დეკემბერი | | | |
| 003 ჰერტა-მიუნხენი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 007 შტუტგარტი-ჰანზა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 008 ბაიერნი-არმინია | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 009 დუისბურგი-ვერდერი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 15 დეკემბერი | | | |
| 001 ვოლფსბურგი-ულმი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 002 კაიზერსლაუტერნი-ფრაიბურგი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 004 უნტერჰახინგი-ჰამბურგი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| 005 შალკე-დორტმუნდი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 006 აინტრახტი-ლევერკუზენი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| გერმანია. II ბუნდესლიგა: მე-16 ტური | | | |
| 14 დეკემბერი | | | |
| 014 ჰანოვერი-კიკერსი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 016 ქემნიცი-ბოხუმი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 017 ნიურნბერგი-ბერლინი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 15 დეკემბერი | | | |
| 010 ზანქტ პაული-კიოლნი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 011 ალემანია-ობერჰაუზენი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 012 კარლსრუე-ფიურტი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 013 ფორტუნა-ვალდჰოფი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 015 კოტბუსი-ოფენბახი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 018 მაინცი-მიონხენგლადბახი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ინგლისი. I დივიზიონი | | | |
| 14 დეკემბერი | | | |
| 019 ქრიუ-ვულვერჰემპტონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 020 გრიმსბი-ვესტ ბრომვიჩი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 15 დეკემბერი | | | |
| 021 ნოტინგემი-ფულემი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ინგლისი. III დივიზიონი | | | |
| 14 დეკემბერი | | | |
| 022 კარლაისლი-ტორკი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 023 პიტერბრო-ჰალი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 15 დეკემბერი | | | |
| 024 დარლინგტონი-ჩესტერი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| იტალია. სერია B | | | |
| 15 დეკემბერი | | | |
| 025 ტერნანა-პისტოიეზე | 1,9 | 2,6 | 4,0 |
| საფრანგეთი | | | |
| 14 დეკემბერი | | | |
| 026 ლანსი-ნანტი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ჰოლანდია | | | |
| 15 დეკემბერი | | | |
| 027 აიაქსი-პსვ | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 028 ჰერენვენი-ვალვაიკი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 029 ნაიმეგენი-მაასტრიხტი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 030 როდა-კამბური | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 031 სპარტა-დენ ბოსხი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 032 ვიტესი-ტილბურგი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 16 დეკემბერი | | | |
| 033 ფეიენოორდი-გრააფსხაპი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| ბელგია. გადადებული მატჩი | | | |
| 15 დეკემბერი | | | |
| 034 ბრიუგე-ანდერლეხტი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| ინგლისი. ლიგის თასის მერვედფინალი | | | |
| 15 დეკემბერი | | | |
| 035 ლესტერი-ლიდსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ინგლისი. ლიგის თასის მეოთხედფინალი | | | |
| 14 დეკემბერი | | | |
| 036 ტრანმერი-მიდლსბრო | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 037 ბოლტონი-უიმბლდონი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 038 ვესტ ჰემი-ასტონ ვილა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| იტალია. თასის მერვედფინალი. II მატჩები | | | |
| 14 დეკემბერი | | | |
| 046 მილანი-ატალანტა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 15 დეკემბერი | | | |
| 039 ბოლონია-ინტერი | 2,6 | 2,8 | 2,5 |
| 040 პიაჩენცა-რომა | 3.5 | 2.8 | 2,0 |
| 041 პარმა-კალიარი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 042 ფიორენტინა-პერუჯა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 043 უდინეზე-ვენეცია | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 045 ლაციო-რავენა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 16 დეკემბერი | | | |
| 044 იუვენტუსი-ნაპოლი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| ესპანეთი. თასის II ეტაპი. I მატჩები | | | |
| 14 დეკემბერი | | | |
| 048 დეპორტივო-მალაგა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 15 დეკემბერი | | | |
| 047 სპორტინგი-სელტა | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 049 ლას პალმასი-ატლეტიკო | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 050 ოსასუნა-ვალენსია | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| 051 სარაგოსა-რასინგი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 052 ბილბაო-რაიო ვალეკანო | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 053 ლოგრონიესი-ოვიედო | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 054 ალბასეტე-ესპანიოლი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 055 მერიდა-ბეტისი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 056 ლეიდა-ეიბარი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 057 ტენერიფე-კომპოსტელა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| თურქეთი. თასის მე-3 ეტაპი | | | |
| 058 ერზურუმი-დენიზლი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 059 ადანა-სამსუნი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 060 ტრაბზონი-გიოზთეფე | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| შოტლანდია. ლიგის თასი | | | |
| 14 დეკემბერი | | | |
| 061 კილმარნოკი-ჰართსი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| კალათბურთი. NBA | | | |
| 14 დეკემბერი | | | |
| 801 ვაშინგტონი-იუტა | 2,1 | 12,0 | 1,45 |
| 802 ატლანტა-მინესოტა | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 803 ტორონტო-ინდიანა | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 804 კლივლენდი-ბოსტონი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 805 დალასი-სან ანტონიო | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 806 ჰიუსტონი-ნიუ იორკი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 807 ფინიქსი-დეტროიტი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 808 ლეიკერსი-კლიპერსი | 1,05 | 12,0 | 5,0 |
| 809 გოლდენ სტეიტი-მაიამი | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| 810 სიეტლი-დენვერი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 15 დეკემბერი | | | |
| 811 ბოსტონი-იუტა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 812 ნიუ ჯერსი-კლივლენდი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 813 ფილადელფია-ტორონტო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 814 ორლანდო-მილუოკი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 815 შარლოტი-მინესოტა | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 816 ინდიანა-ჩიკაგო | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 817 სან ანტონიო-ჰიუსტონი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 818 ვანკუვერი-საკრამენტო | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 16 დეკემბერი | | | |
| 819 ვაშინგტონი-ნიუ ჯერსი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 820 მაიამი-მილუოკი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 821 ატლანტა-ლეიკერსი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 822 დალასი-ნიუ იორკი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 823 დენვერი-საკრამენტო | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 824 გოლდენ სტეიტი-დეტროიტი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 825 სიეტლი-პორტლენდი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| ჰოკეი. NHL | | | |
| 14 დეკემბერი | | | |
| 838 ნიუ ჯერსი-ლოს ანჯელესი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 839 აილენდერსი-ედმონტონი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 840 პიტსბურგი-ბოსტონი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 841 ტამპა ბეი-ნეშვილი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 842 ბუფალო-ფილადელფია | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 843 სენტ ლუისი-კალგარი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 844 სან ხოსე-ჩიკაგო | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 15 დეკემბერი | | | |
| 845 რეინჯერსი-ლოს ანჯელესი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 846 ტორონტო-აილენდერსი | 1,25 | 4,4 | 4,4 |
| 847 კაროლინა-პიტსბურგი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 848 ატლანტა-ვაშინგტონი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 849 ფლორიდა-ნეშვილი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 850 დეტროიტი-ედმონტონი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 851 დალასი-კალგარი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| 852 კოლორადო-ანაჰაიმი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 16 დეკემბერი | | | |
| 853 მონრეალი-ნიუ ჯერსი | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| 854 ფილადელფია-ფინიქსი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 855 ვანკუვერი-ოტავა | 2,0 | 4,4 | 2,0 |

| | | | |
|---|---|---|---|
| კალათბურთი. ევროლიგა. მე-10 ტური | | | |
| 15 დეკემბერი | | | |
| 826 ეფესი (თურქეთი)-ციბონა (ხორვატია) | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 827 პაოკ (საბერძნეთი)-ბარსელონა (ესპანეთი) | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 828 ვარეზე (იტალია)-ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 829 პო ორტეზი (საფრანგეთი)-ფორტიტუდო (იტალია) | 4,0 | 12,0 | 1,15 |
| 16 დეკემბერი | | | |
| 830 პივივარნა (სლოვენია)-ულქერი (თურქეთი) | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 831 ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)-შოლე (საფრანგეთი) | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 832 ოლიმპია (სლოვენია)-ჟალგირისი (ლიტვა). | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 833 ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია)-კახა ს.ფ. (ესპანეთი) | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 834 ბენეტონი (იტალია)-ცსკა (რუსეთი) | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 835 ვილერბანი (საფრანგეთი)-მაკაბი (ისრაელი) | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 836 რეალი (ესპანეთი)-თოფაში (თურქეთი) | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 837 პანათინაიკოსი (საბერძნეთი)-ალბა (გერმანია) | 1,15 | 12,0 | 2,8 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ჩოგბურთი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლუსი ჰელდი

## საქორწინო ციებ-ცხელება

ინგლისის მეორე ჩოგნის — გრეგ რუზეცკის ქორწილიდან ერთი კვირის თავზე უცოლო კაცის სტატუსს პირველი ჩოგანი ტიმ ჰენმანიც გამოეთხოვა.

რუზეცკისა და ჰენმანს მძლავრი მოწოდებისა და ბადესთან ნებისმიერ ფასად გავარდნის სურვილის გარდა კორტის მიღმაც ბევრი რამ აერთიანებთ: ორივე ერთ დღეს, 4 სექტემბერსაა დაბადებული და ორივეს მეუღლეებს ლუსი ჰქვიათ.

25 წლის ჰენმანმა თანატოლი ლუსი ჰელდი სამი წლის წინ უიმბლდონზე გაიცნო. მის ჰელდი მაშინ ტელევიზიაში მუშაობდა და ჩოგბურთელს ინტერვიუსათვის ესტუმრა, რომელიც მასზე დოკუმენტური ფილმის გადასაღებად სჭირდებოდა.

მაგრამ ინტერვიუს მასპინძლის მხრიდან ჩაიზე მიპატიჟება მოჰყვა, მერე პირველი პაემანიც და რამდენიმე თვეში მომავალი მისის ჰენმანი უკვე რეგულარულად ესწრებოდა ჩოგბურთელის შეხვედრებს ინგლისის ფარგლებში, ხშირად კი მნიშვნელოვანი მატჩების დროს ევროპისა და ამერიკის სხვა ქვეყნებშიც.

წყვილი წლეულს, ივლისში დაინიშნა, ქორწილის თარიღის განსაზღვრის დროს კი მაინცდამაინც დიდი არჩევანი არ ჰქონიათ. „იანვრიდან ნოემბრამდე მუდმივად სხვადასხვა ტურნირებზე ვთამაშობ, ასე რომ, მეც და გრეგსაც ერთადერთი თავისუფალი თვე, დეკემბერი გვრჩება" — განაცხადა ცოტა ხნის წინ ამჟამად კლასიფიკაციით მე-12 ჩოგბურთელმა.

რუზეცკისგან განსხვავებით, რომლის მდიდრულ ქორწილსაც ბევრი ცნობილი პიროვნება ესწრებოდა, ჰენმანმა ნაკლები ხმაური და ალიაქოთი არჩია: ერთადერთი მეტ-ნაკლებად გამორჩეული სტუმარი აქ ინგლისის ყოფილი პირველი ჩოგანი ჯერემი ბეითსი იყო. როგორც ამბობენ, ჩოგბურთელმა ბევრი ბულვარული გაზეთის წინადადებაც იუარა, რომლებიც ცერემონიალის ექსკლუზიური ფოტოგრაფირების უფლებაში გვარიან თანხას იხდიდნენ.

ჰენმანი და ჰელდი ინგლისის სამხრეთში მდებარე სოფელ ჰემფშირის მე-12 საუკუნის მოკრძალებულ ეკლესიაში დაქორწინდნენ. პატარძალი მამასთან — ბილთან ერთად შავი „როლს როისით" გამოცხადდა, ხელში თეთრი ყვავილების თაიგული ეჭირა და დიდი ხნის მომლოდინე ფოტოგრაფებს მორჩილადაც გაუჩერდა წინ.

ერთსაათიანი ცერემონიალის დასრულების შემდეგ ეკლესიიდან გამოსულ ახალშეუღლებულებს ასობით ჟურნალისტი და ჩოგბურთის ქომაგი ელოდა. მცირე ხნით პოზირების შემდეგ ყველანი ჰელდების სახლში გაემართნენ წვეულებაზე.

კვირას კი ჰენმანი და მისი მეუღლე თაფლობის თვის გასატარებლად ერთი კვირით უცნობი მიმართულებით გაემგზავრნენ. ასეთია ჩოგბურთელის ცხოვრება: 20 დეკემბრისთვის ტიმმა უკვე ახალი სეზონისთვის უნდა დაიწყოს მზადება მწვრთნელ დევიდ ფელგეიტთან ერთად.

## ჩემპიონატი ახალი სახით

თითქმის ათწლიანი კონფლიქტის შემდეგ კაცების პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაცია (ATP) და ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია (ITF) ერთ რამეზე მაინც შეთანხმდნენ: ამიერიდან სეზონის დამაგვირგვინებელ ტურნირს ისინი საერთო ძალებით ჩაატარებენ.

კარგა ხნის მანძილზე სეზონის ბოლო პირველობას „მასტერსი" ერქვა და იგი ნიუ იორკში, „მედისონ სკვერ გარდენში" ტარდებოდა. 90-იანების დასაწყისში ძველი ორგანიზაციის, კაცთა საჩოგბურთო საბჭოდან ATP-ის გამოყოფის შემდეგ მან საკუთარი მსოფლიოს ჩემპიონატი შექმნა, რომელსაც ჯერ ფრანკფურტში, ბოლო ოთხი სეზონის მანძილზე კი ჰანოვერში ჰქონდა ბინა.

შურისძიების სახით, მაშინვე ITF-მა საკუთარი ტურნირი „დიდი სლემის თასი" დაარსა და ჩოგბურთელებს უზარმაზარი საპრიზო ფონდით იზიდავდა.

მაგრამ ბოლო ხანებში კაცების ჩოგბურთის საქმე უკან-უკან წავიდა, სხვა სპორტის სახეობებთან და პოპულარობაგაზრდილ ქალების WTP ტურთან კონკურენციამ კი აქამდე მოშუღარი მხარეები ერთმანეთთან დააახლოვა.

„სპორტი ბიზნესია, ჩვენ გასართობ ინდუსტრიაში ვართ და აქ კონკურენცია ძალიან მძაფრია. ჩოგბურთი ვერ იარსებებს, თუ ჩვენ შინაგანადაც მუდმივ დავაში ვიქნებით" — ეს ATP ტურის აღმასრულებელი დირექტორის ლარი სკოტის სიტყვებია.

ამიერიდან „დიდი სლემის თასის", რომლის წლევანდელი ჩემპიონი გრეგ რუზეცკია და „ATP ტურის მსოფლიოს ჩემპიონატის" ნაცვლად, რომელიც ორიოდ კვირის წინ პიტ სამპრასმა მოიგო, ერთი ტურნირი — „ჩოგბურთის მასტერსის (ოსტატთა) თასი" იარსებებს.

გაისად „მასტერსი" პორტუგალიურ ლისაბონში ჩატარდება, 2001-ში ბრაზილიურ სან პაულოში და საერთოდ, იგი ყოველწლიურად ახალ-ახალ ქალაქში გადაინაცვლებს. ისევე, როგორც აქამდე, მსოფლიოს სახეცვლილ ჩემპიონატში სეზონის ბოლოს კლასიფკაციით საუკეთესო 8 ჩოგბურთელი მიიღებს მონაწილეობას, და ისინი ისევ ორ ჯგუფად დაიყოფიან.

განსხვავება კი ის არის, რომ თუ რომელიმე დიდი სლემის ტურნირის მომგები ჩოგბურთელი სეზონის შედეგებით საუკეთესო რვაში ვერ მოხვდება, მას ავტომატურად მაინც მერვე საგზურს არგუნებენ.

„ბოლო ათწლეულში ჩვენს შორის ანტაგონიზმი და უნდობლობა იყო გამეფებული. ეს რამდენიმე სეზონია, თანდათან დავუახლოვდით ერთმანეთს და აღმოვაჩინეთ, რომ განსხვავებებზე მეტი საერთო გაგვაჩნია" — განაცხადა პრესკონფერენციაზე ATP-ის თავკაცმა მარკ მაილსმა.

ახალი ტურნირის საპრიზო ფონდის თაობაზე კი ჯერჯერობით არაფერს იუწყებიან.

ავთანდილ სვანიძე

# მითხარი, საიდან ხარ და... ქართველები? მაგათ ხომ ფული არა აქვთ...

არა და არ გამოუჩნდა მშველელი ჩასაძირად განწირული ქართულ ხელბურთს. არავინ მიაშველა ფული (ვისაც ევალებოდა, იმაზე ვამბობთ, თორემ...), რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში შვეიცარიელებისა და ისრაელის ნაკრებთა მასპინძლობას სჭირდებოდა. თავიდან კი ეგონათ საქართველოს ხელბურთის ასოციაციაში, მთავრობა, სპორტის დეპარტამენტი ფინანსურად დაგვეხმარება, გვერდში დაგვიდგება, ყოველნაირად ხელს შეუწყობდათ და კონტინენტის პირველობის საკვალიფიკაციო ტურნირში მიღწეულ წარმატებასაც განვამტკიცებთო, მაგრამ... შეაყარე კედელს ცერცვიო, ნათქვამია და ქართველ ხელბურთელთა არაერთი თხოვნა-ვედრებაც სრულიად უნაყოფო აღმოჩნდა. რამდენიმე დღის წინ ვწერდით, ვისაც კი ევალებოდა მათი დახმარება, ყველამ, თითქოს პირი შეკრესო, ერთნაირად უპასუხეს — ფული არა გვაქვს, ვერ დაგეხმარებითო, ერთნაირად გადაუწურეს წყალი. ამ სიტუაციაში ერთადერთი გამოსავალი რჩებოდა — ჩვენებს ორივე თამაში სტუმრად გაემართათ და მათაც გამოიყენეს ეს შანსი. მეტოქეებიც, ბუნებრივია, დათანხმდნენ (უარს ან კი რაზე იტყოდნენ), ისევე, როგორც ევროპის ხელბურთის ფედერაცია და ახლა უკვე გადაწყვეტილია — საქართველოს ნაკრები 6 და 8 იანვარს შვეიცარიაში ითამაშებს, 13 და 15 იანვარს კი — ისრაელში. ქართველთა თავმდაბლობით გახარებული მასპინძლები ჩვენგან გასაღებ ხარჯებს თვითონ კისრულობენ გზის ფულის გარდა. ეს თანხა კი, რომელიც ჯერ ისევ არ ჩანს, ჩვენი საშოვნელია. თუ მასაც ვერ გამოვძებნით და ვერ წავალთ, ევროპის ხელბურთის ფედერაცია ფინანსურადაც დაგვაჯარიმებს და სამი წლითაც გაგვრიცხავს თავისი რიგებიდან.

ჯგუფში რჩება კიდევ ერთი გუნდი — ბელარუსი, რომელმაც ადრევე დაუთმო მეტოქეებს მასპინძლობა და იანვრის ბოლოს მას თბილისში ორჯერ ვუმასპინძლებთ. თუმცა ჩვენთვის ეს რა ნუგეშია — ამ ორთან ის ორი მატჩიც რომ თბილისში გაგვემართა, დიდი შანსი იყო, ამ შესარჩევი ციკლის პლეი ოფში გავსულიყავით. ახლა კი შანსი მინიმუმამდე შემცირდა. ეს ფაქტი მორიგი დასტურია იმისა, რომ საქართველოში სპორტი სახელმწიფოებრივი ინტერესების მიღმაა.

**ირაკლი თავაძე**

| | |
|---|---|
| **ნახევარფინალი** | |
| საფრანგეთი 18:17 რუმინეთი | |
| ნორვეგია 30:18 ავსტრია | |
| **მე-5-8 ადგილებისთვის** | |
| დანია 30:25 მაკედონია | |
| უნგრეთი 39:25 გერმანია | |
| **ფინალი** | |
| ნორვეგია 25:24 საფრანგეთი | (18:18, 1დ.დ. 21:21) |
| **მე-3 ადგილისთვის** | |
| ავსტრია 31:28 რუმინეთი | |
| **მე-5 ადგილისთვის** | |
| უნგრეთი 35:27 დანია | |
| **მე-7 ადგილისთვის** | |
| გერმანია 37:26 მაკედონია | |

# მეფეო, ჰარალდ! მხევალნი შენნი...

## ნორვეგიელმა ქალებმა მონარქთან თავი არ შეირცხვინეს

ნორვეგია-დანიაში დასრულდა ხელბურთელ ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი. მეტად დაძაბული და ულამაზესი ფინალის შემდეგ ოქროს მედლები ნორვეგიელებმა მოიპოვეს, თუმცა ვიდრე ტურნირის ბოლო მატჩზე მოგითხრობდეთ, ნახევარფინალებზე გიამბობთ.

ევროპის ჩემპიონებისა და ავსტრიელების დაპირისპირება, როგორც მოსალოდნელი იყო, ყოველგვარი სიურპრიზების გარეშე ჩატარდა. ნორვეგიელებმა მოწინააღმდეგეს არანაირი შანსი არ მისცეს გამარჯვებისა და საკმაოდ იოლად მოიპოვეს ფინალში თამაშის უფლება — 30:18. აი, მეორე ნახევარფინალი კი ძალიან დაძაბული გამოდგა. ერთმანეთს საფრანგეთი და რუმინეთი ხვდებოდნენ, რომლებსაც ამ ტურნირზე უკვე მოესწროთ ერთმანეთთან თამაში. ეს ჯგუფში მოხდა და მაშინ ფრანგებმა მოიგეს.

თამაში სწრაფ ტემპში დაიწყო და მე-4 წუთისთვის რუმინელები 2:0 დაწინაურდნენ. მათი დაცვა საიმედოდ მოქმედებდა და ფრანგებმა მხოლოდ მე-6 წუთისთვის მოახერხეს პირველი გოლის გატანა. რუმინელები ძირითადად თავიანთი გოლიათის ამარიერის ხარჯზე ცდილობდნენ ფონს გასვლას, მაგრამ მას თამაში ნამდვილად არ წაუვიდა (9 ტყორცნიდან მხოლოდ 1 გაიტანა) და თანაგუნდელებსაც მეტოქის კარის დალაშქვრის სხვა გზების ძიება დასჭირდათ. ამასობაში ფრანგებიც „გაშინაურდნენ“ და დუშემენის კონტრშეტევაზე გატანილი გოლის წყალობით 30-ე წუთისთვის 9:8 დაწინაურდნენ კიდეც.

შესვენების შემდეგ ინიციატივა კვლავ რუმინელთა ხელში გადავიდა და ხუთიოდ წუთში მათ ისევ გაასწრეს მეტოქეს — 11:10. აქ კი დაიწყო დროის მონაკვეთი, რომელმაც გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი. ექვს წუთში საფრანგეთმა ექვსი გოლი გაიტანა, თვითონ ერთიც არ გაუშვა და 16:11 დაწინაურდა. „ლურჯები“ კარგა ხანს ახერხებდნენ უპირატესობის შენარჩუნებას და 54-ე წუთისთვის 18:14 იგებდნენ, მაგრამ მერე ყურადღება ოდნავ მოადუნეს და მეტოქეს ორ წუთში ორი ბურთით წამოწევის საშუალება მისცეს.

მატჩის დასასრული მეტად საინტერესო გამოდგა. საფინალო სირენამდე ერთი წუთით ადრე პატრუმ 7-მეტრიანი საჯარიმო ტყორცნა ზუსტად შეასრულა და ანგარიში 18:17 გახადა. რამდენიმე წამის შემდეგ კი მსაჯებმა ფრანგებს ბურთი ჩამოართვეს და რუმინეთს ანგარიშის გათანაბრების შანსი მიეცა. თუმცა სტოიკამ, რომელმაც მანამდე 4 გოლი გაიტანა, ბოლო სროლა არაზუსტად შეასრულა (ბურთი ზედა ძელს მოხვდა) და ფინალშიც საფრანგეთი გავიდა.

მეოთხედფინალებში დამარცხებულმა გუნდებმა ბრძოლა უკეთესი ადგილებისთვის გააგრძელეს. დანიამ მაკედონიას მოუგო, უნგრეთმა გერმანიას და მე-5 ადგილისა და სიდნეის ოლიმპიადის საგზურისთვისაც სწორედ ისინი შეებნენ ერთმანეთს. რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, უნგრეთმა ძალიან იოლად აჯობა მსოფლიოს ექსჩემპიონს და გაისად ავსტრალიაშიც სწორედ ის გაემგზავრება მოწინავე ოთხეულთან ერთად.



REUTERS ლილეჰამერიდან

მსოფლიოს ჩემპიონატის თასი პირველმა, ნორვეგიელთა კაპიტანმა სუზანა გოკსოიერმა ასწია

ლილეჰამერში გამართულ ფინალს 12 ათას[illegible] მაყურებ[illegible] დასწრ[illegible] რომელთაგან უმრავლესობა ნორვეგიელი [illegible] მაგი იყო თავისი [illegible] სამხ[illegible] ლესობა, ნორვეგიის მეფე ჰარალდ V-ც კი მიბრძანდა ლილეჰამერის სპორტის სასახლეში. ნორვეგიელმა ქალებმა მეფესთან თავი არ შეირცხვინეს, მართალია გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოიპოვეს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული.

სკანდინაველებს ფრანგებმა 5-1 ტაქტიკა დაუპირისპირეს დაცვაში, რამაც ნამდვილად სასურველი შედეგი გამოიღო. თავიდან მასპინძლები დაწინაურდნენ — 2:1. თუმცა მალე გამოჩნდა, რომ „ლურჯები“, რომელთა მიზანი ამ ტურნირზე ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვება იყო, სულაც არ აპირებდნენ ოქროს მედლების იოლად დათმობას. მე-15 წუთისთვის ისინი 6:3 იგებდნენ, მაგრამ აშკარად ეტყობოდათ, რომ დანიასთან და რუმინეთთან უმძიმეს მატჩებში დიდი ენერგია დაეხარჯათ და ჩვეულად ველარ ირჯებოდნენ. მე-20 წუთისთვის ანგარიში გათანაბრდა — 7:7. თუმცა ტაიმი მაინც ფრანგების სასარგებლოდ დასრულდა 10:8.

მეორე ნახევარი ვიკინგების აშკარა უპირატესობით დაიწყო. მათი მეტოქე რამდენჯერმე რიცხობრივ უმცირესობაშიც აღმოჩნდა და მათ დროის მცირე მონაკვეთი 4:0 მოიგეს. ამის მერე ხელი მიარომ გამოიღო, ნორვეგიელებს ზედიზედ სამი გოლი გაუტანა და ისევ თავისიანები დააწინაურა. საფინალო სირენამდე ორიოდ წუთით ადრე საფრანგეთი 18:17 იგებდა და ბურთსაც ის ფლობდა. თუმცა, ფრანგთა სამწუხაროდ, პეკიემ „ოქროს“ მომტანი ტყორცნა ვერ შეასრულა. მისი ნასროლი ბურთი ლეგანგერის კარის ზედა ძელს მოხვდა. საპასუხო იერიში კი გრინის გოლით დასრულდა და ორი დამატებითი ხუთწუთიანი ტაიმიც დაინიშნა.

ნორვეგია 21:19 დაწინაურდა და თითქოს გაინაღდა ჩემპიონობა, მაგრამ ფრანგებმა ანგარიში გაათანაბრეს და ბოლო წამებზე კინაღამ ხელიდან გამოგლიჯეს კიდეც მეტოქეს გამარჯვება, თუმც სორლის წინააღმდეგ ლეგანგერს ჯერ თავისი კარის მარცხენა ძელი მიეხმარა, შემდეგ კი ზედა.

მეორე დამატებითი დრო!

ნორვეგიამ ისევ უკეთ დაიწყო და მალე 25:22 დაწინაურდა. საფრანგეთმა ისევ გაქვითა სხვაობა, მაგრამ ამჯერად დრო აღარ ეყო და საბოლოოდ 25:24 ნორვეგიელთა სასარგებლოდ.

„მარცხი იმდენად ლამაზი იყო, რომ, სიმართლე გითხრათ, გული დიდად არ დამწყვეტია“ — თქვა ფრანგთა ერთ-ერთმა ლიდერმა ნოდიალენ მიარომ. სკანდინაველთა კარის დარაჯმა სესილი ლეგანგერმა მატჩის შემდეგ სიხარულზე მეტად გაოცება გამოხატა ფრანგების ესოდენ კარგი თამაშის გამო.

**გაგი გურული**





REUTERS ლისაბონიდან

შვედი ქალები: კამერლინგი, ალშამარი, სობერგი და სვენსტრიომი

# შვედ ქალთევზათა ბენეფისი

ხუთი მსოფლიოს რეკორდით აღინიშნა კვირას ლისაბონის 25-მეტრიან აუზში დამთავრებული მოცურავეთა ევროპის ჩემპიონატი. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი შვედმა ქალებმა — ხუთივე რეკორდი სწორედ მათი კუთვნილებაა.

ასეთ შედეგებს მიაღწიეს ტერეზა ალშამარმა, ანა კარინ კამერლინგმა და ესტაფეტებში მონაწილე მათმა თანაგუნდელებმა.

ალშამარმა მსოფლიოს რეკორდები დაამყარა 50 და 100 მეტრზე თავისუფალი სტილით (შესაბამისად 24,09 და 52,80) ცურვაში. აგრეთვე 40X50 მეტრზე იმავე სტილით ასპარეზობაში (1.38,45). აქ კამერლინგთან და ალშამართან ერთად ცურავდნენ იოჰანა სობერგი და მალინ სვენსტრიოგი. კამერლინგმა და არშამარმა ასევე მსოფლიოს რეკორდით თავი გამოიჩინეს 4X50 მეტრზე კომბინირებულ ცურვაშიც (1.49,47). აქ მათ პარტნიორობას უწევდნენ ემა იგელსტრიომი და იოჰანა სობერგი. ამას გარდა კამერლინგმა მსოფლიოს რეკორდი დაამყარა 50 მეტრზე ბატერფლაით ცურვაშიც — 25,64.

დაწვრილებით ხვალინდელ „სარბიელში“ მოგითხრობთ.

| ქვეყანათა მონაგარი | | | |
|---|---|---|---|
| 1 შვედეთი | 10 | 6 | 1 |
| 2 გერმანია | 5 | 13 | 8 |
| 3 უკრაინა | 5 | 1 | 3 |
| 4 ბრიტანეთი | 3 | 3 | 9 |
| 5 ნიდერლანდები | 3 | 1 | 2 |
| 6 ესპანეთი | 2 | 2 | 1 |
| 7 საბერძნეთი | 2 | 1 | 0 |
| 8 სლოვაკეთი | 2 | 1 | 0 |
| 9 ისლანდია | 2 | 0 | 0 |
| 10 დანია | 1 | 1 | 2 |
| 11 იტალია | 1 | 1 | 2 |
| 12 ბელგია | 1 | 0 | 1 |
| 13 რუსეთი | 1 | 0 | 1 |
| 14 საფრანგეთი | 1 | 0 | 0 |
| 15 უნგრეთი | 0 | 3 | 0 |
| 16 ბელარუსი | 0 | 1 | 1 |
| 17 პორტუგალია | 0 | 1 | 1 |
| 18 სლოვენია | 0 | 1 | 1 |
| 19 შვეიცარია | 0 | 1 | 1 |
| 20 თურქეთი | 0 | 1 | 0 |
| 21 ჩეხეთი | 0 | 0 | 1 |
| 22 ფინეთი | 0 | 0 | 1 |
| 23 ისრაელი | 0 | 0 | 1 |

# 51,81 — კლიმის შედევრი

როცა შაბათის „სარბიელში“ ავსტრალიელი მაიკლ კლიმის მიერ 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში მსოფლიოს რეკორდის (52,03) დამყარების თაობაზე გაუწყეთ, თავად სპორტსმენის აზრიც გაგაცანით.

„ვფიქრობ, ამაზე სწრაფად გავცურავ. ჩემი შედეგი საკმაო არ იქნება ოლიმპიურ თამაშებზე გასამარჯვებლად“ — თქვა კლიმმა. ისიც დასძინა, მიუხედავად რეკორდული შედეგისა, სულაც არ ვფიქრობ, რომ საუკეთესო ფორმაში ვარო.



მაიკლ კლიმი

სიტყვა ერთია, საქმე კი სულ სხვას ლაღადებს. მაიკლ კლიმმა პარასკევს დამყარებული მსოფლიოს რეკორდი კვირას ისევ გააუმჯობესა.

22 წლის კლიმმა ისევ კანბერაში, კვლავ საცდელ გაცურვაში, იმავე დისტანციაზე და სახეობაში 51,81 აჩვენა.

— ეტყობა ეს შედეგი ჩემი შედევრია — ამბობს აღტაცებული კლიმი — ამ ციფრებს ვეებად დავწერ და კედელზე ჩამოვკიდებ, რათა რამდენიმე თვე მისით დავტკბე, გაისად კი ციფრების „ხატვას“ გავაგრძელებ. მე შევძელი დამეფიქსირებინა ჩემი ფიზიკური შესაძლებლობანი მაშინ, როდესაც საუკეთესო სპორტულ ფორმაში შევედი. ეს ამ შაბათ-კვირას იყო.

**გიგა გურასაშვილი**

## მთის თხილამურობა

# კოსტელიჩი — ახალი ვარსკვლავი?!



REUTERS სესტრიერიდან

იანიკა კოსტელიჩი

**ხორვატი** იანიკა კოსტელიჩის გამარჯვებით დასრულდა მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპი სესტრიერში. იტალიის ამ მაღალმთიან კურორტზე ზაფხულობით არცთუ იშვიათად „ჯირო დიტალიის" ტრასაც რომ გადის ხოლმე, სამთომოთხილამურეები სპეციალურ სლალომში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. კოსტელიჩმა დიდი უპირატესობით მოიგო ორივე ცდა, 100 ქულა წაამატა თავის მონაგარს და საერთო ჩათვლაში მსოფლიოს თასის ლიდერადაც მოგვევლინა, ახლა ამ ახალგაზრდა ხორვატ ქალს 420 ქულა აქვს და თითქმის ასი ქულით უსწრებს ავსტრიელ მიქაელა დორფმაისტერს (342) და იტალიელ იზოლდე კოსტნერს (319). მათ კვალში უდგანან ავსტრიელი რენატა გოეტჩლი, ფრანგი რეგინა კავანიუ და გერმანელი ჰილდე გერგი.

ერთი სიტყვით, ქალებმა წარმატებით გადაკვეთეს ჯიროს ტრასა, რასაც სამწუხაროდ ვერ ვიტყვით კაცებზე. ფრანგულ ვალ დიზერში არაერთხელ გაუვლია ჯიროზე გაცილებით პოპულარულ „ტურ დე ფრანსს". ზამთრობით ეს მთაც სამთომოთხილამურეთა ასპარეზად იქცევა ხოლმე. ამჯერად ვალ დიზერი გაჭირვეულდა, შეჯიბრება ახალი დაწყებული იყო, როცა ისეთი ბარდნა დაიწყო, რომ ორგანიზატორები იძულებული გახდნენ, ეტაპი გადაედოთ. ამ ამბავმა ყველაზე მეტად, ალბათ, წლევანდელი თასის ლიდერი ავსტრიელი ჰერმან მაიერი გაახარა. ამ მომენტისთვის მას მხოლოდ მეშვიდე შედეგი ჰქონდა და პერსპექტივაც — მეორე ცდას ვგულისხმობ — მაინცდამაინც სასიხარულო არ ჩანდა, რადგან სპორტსმენს ზურგის ტრავმამ შეახსენა თავი. დაგეგმილი ეტაპი გიგანტურ სლალომში სლოვენიაში 22 დეკემბერს გაიმართება. მსოფლიოს თასისთვის ბრძოლის სცენარი კი, როგორც ჩანს, შარშანდელი რეჟისურით განვითარდება. ჰერმან მაიერს, თუ ტრავმამ მხოლოდ დროებით არ შეახსენა თავი, ნამდვილად გაუჭირდება ნორვეგიული დუეტის, კიუსისა და ამოდტის შეტევების მოგერიება.

| | |
|---|---|
| **8 დეკემბერი. ვალდიზერი. საფრანგეთი. სუპერგიგანტი** | |
| 1. იზოლდე კოსტნერი (იტალია) | 1.19,18 წთ |
| 2. ჰილდე გერგი (გერმანია) | 1.19,88 |
| 3. პერნილა ვიბერგი (შვედეთი) | 1.20,14 |
| 4. სილვანა ბერტოდი (შვეიცარია) | 1.20,29 |
| 5. რენატა გოეტჩლი (ავსტრია) | 1.20,31 |
| **9 დეკემბერი. გიგანტური სლალომი** | |
| 1. მიქაელა დორფმაისტერი (ავსტრია) | 2.17,10 წთ |
| 2. სილვია პერვერი (ავსტრია) | 2.17,92 |
| 3. რეგინა კავანიუ (საფრანგეთი) | 2.18,62 |
| 4. სონია ნეფი (შვეიცარია) | 2.18,99 |
| 5. ანიტა ვახტერი (ავსტრია) | 2.19,03 |
| **12 დეკემბერი. სესტრიერი. იტალია. სლალომი** | |
| 1. იანიკა კოსტელიჩი (ხორვატია) | 1.40,48 წთ |
| 2. ანია პერსონი (შვედეთი) | 1.41,44 |
| 3. კრისტელ საიონი (საფრანგეთი) | 1.42,00 |
| 4. ტრინე ბაკე (ნორვეგია) | 1.42,08 |
| 5. ელენ რეჟარდი (საფრანგეთი) | 1.42,17 |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. იანიკა კოსტელიჩი | 420 |
| 2. მიქაელა დორფმაისტერი | 342 |
| 3. იზოლდე კოსტნერი | 319 |
| 4. რენატა გოეტჩლი | 287 |
| 5. რეგინა კავანიუ | 280 |

## ჰოკეი

NHL

10 დეკემბერი

**ანაჰაიმი — კოლორადო 1:2**

0:1 1:1 0:0

0:1 დრური 18'46 (8); 0:2 ოჯერსი 25'44 (1); 1:2 სალეი 35'04 (1)

**დალასი — ფლორიდა 4:3**

3:0 0:3 1:0

1:0 ზუბოვი 4'10 (4); 2:0 ნუინდაიკი 10'55 (7); 3:0 მოდანო 12'37(11); 3:1 მელანბი 37'14 (5); 3:2 დოსი 38'16 (1); 3:3 კოზლოვი 38'54 (6); 4:3 ლინგენბრუნერი 42'52 (6)

**კალგარი — ვანკუვერი 3:2**

2:1 0:1 1:0

1:0 ნაზაროვი 8'11 (5); 2:0 ჰალსი 8'21 (1); 2:1 მეი 10'01(5); 2:2 შეფერი 34'02 (8); 3:2 ბურე 41'09 (15)

**ბუფალო — ჩიკაგო 2:1**

0:1 0:0 2:0

0:1 ეჩინამი 13'11 (4); 1:1 შატანი 40'34 (13); 2:1 აფინოგენოვი 48'04 (7)

**ტამპა — კაროლინა 3:2**

1:1 1:0 1:1

1:0 ლეკავალიე 4'58 (9); 1:1 რანჰეიმი 16'20 (2); 2:1 დრულია 34'19 (7); 3:1 გრეტონი 47'06 (8); 3:2 ჰილი 49'22 (6)

**დეტროიტი — ლოს ანჯელესი 3:1**

1:0 1:1 1:0

1:0 აიზერმანი 3'27 (12); 1:1 მიურეი 24'05 (13); 2:1 აიზერმანი 24'52 (13); 3:1 კოზლოვი 56'49 (7)

**ნეშვილი — სენტ ლუისი 2:4**

1:0 0:2 1:2

1:0 ჩელბერგი 18'38 (7); 1:1 პრონგერი 25'03 (3); 1:2 ტარჯონი 27'57 (15); 1:3 იანგი 40'41 (6); 2:3 ბერეჰოვსკი 54'01 (5); 2:4 იანგი 59'48 (7)

**სან ხოსე — ატლანტა 4:1**

0:1 2:0 2:0

0:1 ბრიუნეტი 6'50 (13); 1:1 ფრიზენი 30'34 (13); 2:1 რიჩი 34'04 (7); 3:1 მარლო 47'26 (8); 4:1 გრენატო 59'10 (2)

11 დეკემბერი

**ნიუ ჯერსი — ედმონტონი 1:3**

0:3 1:0 0:0

0:1 დევერო 6'45 (2); 0:2 მორო 10'05 (4); 0:3 ბერანეკი 14'24 (5); 1:3 ოლივა 37'03 (5)

**ოტავა — აილენდერსი 1:1**

0:0 0:0 1:1 0:0

0:1 ჩერკავსკი 49'41 (11); 1:1 არვედსონი 54'41 (10)

**ბოსტონი — დეტროიტი 4:5**

1:2 1:0 2:3

0:1 კოზლოვი 3'34 (8); 1:1 [illegible] 4'51 (3); 1:2 ლიდსტრომი 11'03 (7); 2:2 სამსონოვი 38'08 (7); 3:2 [illegible] 41'14 (7); 3:3 [illegible] 45'[illegible] (9); 3:4 [illegible] 49'38 (6); 3:5 [illegible]ნი 56'22 (14); 4:5 კარტერი 59'37 (9)

**მონრეალი — ლოს ანჯელესი 2:4**

0:1 0:2 2:1

0:1 სმოლინსკი 19'50 (7); 0:2 გელი 21'29 (4); 0:3 ჩარტრანდი 28'49 (2); 1:3 კამინსკი 41'34 (2); 2:3 ჟოლტოკი 42'50 (8); 2:4 ჩარტრანდი 58'45 (3)

**ტორონტო — ფილადელფია 6:4**

2:2 3:0 1:2

1:0 ტომასი 4'20 (5); 1:1 ლანგკოუ 9'37 (8); 1:2 ჯონსი 10'37 (1); 2:2 ჯონსონი 13'06 (8); 3:2 ველკი 24'01 (3); 4:2 ბერეზინი 25'23 (11); 5:2 ველკი 25'44 (4); 5:3 რეკი 41'38 (13); 5:4 ლინდროსი 57'35 (16); 6:4 ჰოგლუნდი 59'48 (14)

**პიტსბურგი — ფინიქსი 4:2**

0:0 1:1 3:1

1:0 იაგრი 25'40 (21); 1:1 ოლივერი 38'09 (1); 2:1 ტიტოვი 40'45 (8); 2:2 დენიო 49'24 (1); 3:2 მილერი 53'52 (3); 4:2 იაგრი 59'32 (22)

**ნეშვილი — ფლორიდა 2:4**

1:2 0:0 1:2

0:1 კოზლოვი 3'17 (7); 1:1 რონინგი 10'07 (12); 1:2 დვორჟაკი 12'20 (7); 1:3 პერიში 42'33 (7); 2:3 ჩელბერგი 47'47 (8); 2:4 ბურე 59'51 (14)

**სენტ ლუისი — დალასი 4:2**

1:2 0:0 3:0

0:1 ნუინდაიკი 5'07 (8); 0:2 მოროუ 10'12 (3); 1:2 დემიტრა 17'19 (14); 2:2 მაიერსი 43'27 (2); 3:2 კონროი 43'57 (5); 4:2 იანგი 50'04 (8)

12 დეკემბერი

**ანაჰაიმი — ატლანტა 4:1**

0:0 3:0 1:1

1:0 სელიანე 23'45 (12); 2:0 ლეკლერკი 24'24 (6); 3:0 კონი 21'50 (2); 3:1 სილვესტრი 48'11 (6); 4:1 სელიანე 57'14 (13)

**ჩიკაგო — კალგარი 1:2**

0:0 0:1 1:1

0:1 ბურე 36'33 (16); 1:1 სალივანი 55'06 (3); 1:2 უიმერი 58'24 (2)

**ვანკუვერი — კოლორადო 2:3**

0:1 0:1 2:0 0:1

0:1 ტანგეი 6'27 (7); 0:2 ჰოდინი 22'06 (4); 1:2 კომარნიცკი 40'13 (1); 2:2 კესელსი 45'19 (8); 2:3 ჰეიდუკი 61'36 (16)



REUTERS ანაჰაიმიდან

ატლანტელთა მეკარე ნორმ მაკარლეს ანაჰაიმელებმა ოთხი შაიბა გაუტანეს

## ბიატლონი

# თხილამურიანი რეინჯერები სლოვენიაში

**ბიატლონისტები** გერმანიის ტყეების დაცხრილვის შემდეგ სლოვენიას ესტუმრნენ. პოკლიუკში მსოფლიოს თასის მორიგ ეტაპზე მორიგ წარმატებას მიაღწია უკრაინელმა ალიონა ზუბრილოვამ. ეს სპორტსმენი შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ნებისმიერი შეჯიბრების ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად ითვლება. 10 კილომეტრიან დისტანციაზე პრიზიორთა შორის კიდევ ერთი უკრაინელი ტატიანა ვოლოპიანოვა მოხვდა. მეორე შედეგი აჩვენა მსოფლიოს ჩემპიონმა მაგდალენა ფორსბერგმა. შვედმა დისტანციაზე განლაგებულ ოთხ სასროლეთზე თითო ტყვია ააცდინა მიზანს და ალბათ, ესეც იქცა მარცხის მთავარ მიზეზად.

კაცების შეჯიბრებას ტრადიციულად ან ნორვეგიელი ან გერმანელი ბიატლონისტები იგებენ. ამჯერად ნორვეგიელებს სწყალობდათ ბედი — გაიმარჯვა ფროდ ანდერსენმა. მეორე დღეს ესტაფეტაშიც ნორვეგიელთა გუნდს, რომელშიც ოლიმპიური ჩემპიონი ოლე ბიორნდალენი გამოდიოდა, ოდნავადაც არ გასჭირვებია პირველი ადგილის დაკავება. ფინიშთან, ბიორნდალენის შემდეგ, თითქმის ორი წუთი იყო გასული, როცა რუსეთის გუნდი გამოჩნდა. ორ წუთზე მეტი წააგეს გერმანელებმა.

## თხილამურობა

# ბიორნ დელი არ არის

## ნორვეგია კი ისევ ნორვეგიაა

**იტალიურ** საპადაში თხილამურებით მრბოლელთა შეჯიბრებაში კიდევ ერთი სენსაცია მოხდა. 15 კმ-იანი ტრასის ფინიშთან საუკეთესო დრო გაესპანელებულ გერმანელს იოჰან მიულეგს აღმოაჩნდა. ბოლო წლებში დამკვიდრებული ფორმულის მიხედვით, გამარჯვებულსა და იმათაც, ვინც კარგი დრო აჩვენეს, მეორე დღეს თავიანთი პოზიციების შენარჩუნება უხდებათ. მათ ერთადერთი, თუმცა საკმაოდ მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვთ — ისინი სტარტიდან იმ განსხვავებით გადიან, რა სხვაობასაც წინა დღეს მიაღწიეს. იმარჯვებს ის, ვინც ფინიშთან პირველი მიდის. ასე რომ, გაუგონარი სენსაციის ავტორი პირველი გაუდგა 7,5 კმ-იან გზას. მაგრამ ნორვეგიელები რის ნორვეგიელები არიან, რომ თოვლიან ტრასაზე ესპანელს გაამარჯვებინონ. სულ რაღაც ოციოდე წუთის შემდეგ ფინიშთან შეკრებილი იტალიელი ქომაგები წითელკომბინიზონიან სპორტსმენებს ეგებებოდნენ — პირველ სამეულს თავში ოლიმპიური ჩემპიონი ტომას ალსგარდი ედგა, ექვსი წამის დაგვიანებით მოდიოდა ესპენ ბიერვიგი, 12 წამის შემდეგ გამოჩნდა ფროდ ესტილი — ასე რომ, გამარჯვებულთა კვარცხლბეკი ნორვეგიელებმა დაიკავეს.

ქალების დავაში ჯერ 5, შემდეგ კი გამოდევნებით 7,5 კილომეტრზე იმარჯვეს რუსებმა — აქ პირველი სამეული წმინდა რუსული იყო: ლარისა ლაზუტინა, ნინა გავრილიუკი და ოლგა დანილოვა, მეოთხე იყო თოვლიანი ტრასებისა და საერთოდ სპორტის მშვენება იტალიელი სტეფანია ბელმონდო.



სარბიელელები ვწუხვართ
ცნობილი ქართველი
სამბისტის, მსოფლიოს
ჩემპიონის
**ივანე გამხიტაშვილის**
გარდაცვალების გამო და
სამძიმარს ვუცხადებთ
განსვენებულის ოჯახს


**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კეღელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზბეგის გამზირი 42, II
კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.opentext.org.ge/sarbieli